

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის  
ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების  
სისტემური ანალიზი

დოქტ. შინ ბილინგი  
პეტერ ლუტრინგჰაუსი

**SYSTEMATISCHE DARSTELLUNG  
EINZELNER ANSPRUCHSGRUNDLAGEN  
DES GEORGISCHEN ZIVILGESETZBUCHES**

Dr. Hein Bölling  
Peter Lüttringhaus

ბრემენი – თბილისი  
Bremen - Tbilisi  
2004 – 2009

Das vorliegende Buch wird mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH herausgegeben. Die im Buch dargestellten Ansichten geben ausschließlich die Meinung der Autoren wieder. Der Herausgeber übernimmt für die Richtigkeit und Vollständigkeit des Inhaltes keine Verantwortung.

წინამდებარე წიგნი გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის უშუალოდ ავტორს. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

გამოცემაზე პასუხისმგებელი | ჯგუფი „სიესტა“  
გამომცემელი | ქეთევან კილურაძე  
კორექტორი | ლელა არაბული  
ტექნიკური უზრუნველყოფა | გვანცა მახათაძე  
© GTZ

© გამომცემლობა „სიესტა“, 2009

გამოცემულია 2009, თბილისი

ISBN 978-9941-9089-3-4

გამომცემლობა შპს „სიესტა“

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27

ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49

ელ-ფოსტა: [books@siestagroup.ge](mailto:books@siestagroup.ge)

სიესტა

gtz



im Auftrag des

Bundesministerium für  
wirtschaftliche Zusammenarbeit  
und Entwicklung

Das Werk ist urheberrechtlich geschützt. Weder das Werk noch Teile davon ohne schriftliche Einwilligung des Herausgebers öffentlich zugänglich gemacht oder reproduziert werden. Ein Verstoß hat sowohl zivil- als auch strafrechtliche Folgen.

წაშრომი დაცულია საავტორო სამართლით. დაუშვებელია გამომცემლის ნერილობით თანხმობის გარეშე მისი ცალკეული ნაწილებისა და მთლიანი წაშრომის საჯარო მიზნებისათვის გამოყენება ან რეპროდუცირება. აღნიშნულის დარღვევა გამოიწვევს როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლისსამართლებრივ შედეგებს.

## წინასინტყვაობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნის საფუძვლების წინამდებარე სისტემატური ჩამონათვალი წარმოადგენს GTZ-ის მრავალწლიანი საქმიანობის შედეგს მოსამართლეთა განათლება-გადამზადების სფეროში საქართველოში. ამ პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მოსამართლის მუშაობის მეთოდისა სამოქალაქო პროცესში, რაც გამომწვეულია იმით რომ ქართული კანონმდებლობა გერმანული სამოქალაქო კოდექსის მოდელზეა ორიენტირებული. GTZ-ის დავალებით გერმანელი მოსამართლეები, უმეტესწილად ქალაქ ბრემენიდან, ადგენდნენ, მუდმივად ამუშავებდნენ და აუმჯობესებდნენ სასწავლო მასალას ქართველ კოლეგებთან ერთად. ქართული კანონმდებლობის ცვლილებების შესაბამისად ხდებოდა სასწავლო მასალის მუდმივი განახლება.

წინამდებარე ტექსტი, მაგალითებისა და მოთხოვნის საფუძვლების კატალოგის ჩათვლით გათვლილი იყო მხოლოდ ქართველ მოსამართლეებზე, რათა მათ გაადვილებოდათ კაზუსების დამუშავება და გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ მეთოდებს გაეცნონ ასევე იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები, ადვოკატები და მეცნიერები. ამიტომ გადანყდა, გამოიცეს ეს წიგნი და ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი გახდეს. ეს ასევე მომავალი იურისტების განათლების განვითარებას შეუწყობს ხელს.

წიგნი სამ ნაწილადაა წარმოდგენილი: პირველი ნაწილი განიხილავს მოთხოვნის საფუძვლების მნიშვნელობას. მეორე ნაწილში განხილულია მოთხოვნის საფუძვლების გამოყენება მაგალითების მეშვეობით. მესამე ნაწილში მოყვანილია მოთხოვნის საფუძვლების კატალოგი, ანუ ნორმებისა და მოთხოვნის შინაარსის ჩამონათვალი, რაც გაადვილებს კანონის ტექსტში ძებნას.

ჩვენ დიდ მადლობას ვუხდით ამ წიგნის შედგენაში მონაწილე ყველა ადამიანს, კერძოდ კი მის გერმანელ ავტორებს, ბატონ ჰაინ ბილინგს,

ბრემენის მიწის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეს და პეტერ ლიუტრინგჰაუსს, მიწის სასამართლოს მოსამართლეს.

ასევე გვინდა მადლობა მოვახსენოთ ყველა იმ ქართველ მოსამართლეს, რომლებმაც ამ წიგნის გამოცემას იდეებისა და წინადადებების მონოდებით, ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარებით ხელი შეუწყვეს, უპირველეს ყოვლისა, ბატონ მიხეილ გოგიშვილს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესა და ქალბატონ ნუნუ კვანტალიანს, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მოსამართლეს.

ცენო რაიჰენბეჰერი

ფრანცისკა ბიომი

GTZ-ის პროგრამის ხელმძღვანელი  
„სამართლისა და იუსტიციის  
რეფორმები სამხრეთ კავკასიაში“

GTZ-ის პროექტის ხელმძღვანელი  
„სამართლისა და სასამართლო  
სისტემის ხელშეწყობა  
საქართველოში“

## **Vorwort**

Die hier vorgelegte systematische Darstellung der Anspruchsgrundlagen des georgischen Zivilgesetzbuches ist das Ergebnis der langjährigen Beratungstätigkeit durch die GTZ im Bereich der Aus- und Fortbildung der Richter in Georgien. Insbesondere die Arbeitsmethode des Richters im Zivilprozess war dabei immer ein Schwerpunkt der Fortbildung, da sich auch die georgische Gesetzgebung in diesem Bereich maßgeblich am Vorbild des deutschen Bürgerlichen Gesetzbuches orientiert. Für die Fortbildungen haben Richter aus Deutschland, vor allem aus Bremen, im Auftrag der GTZ umfangreiche Unterrichtsmaterialien erstellt und diese gemeinsam mit den georgischen Richterkollegen fortlaufend überarbeitet und vervollständigt. Die Materialien wurden dabei ständig auch an die Änderungen in der georgischen Gesetzgebung angepasst.

Anfangs war das vorliegende Skript samt den Fallbeispielen und dem Katalog der Anspruchsgrundlagen des Zivilgesetzbuches also speziell für die georgischen Zivilrichter gedacht, um diesen die Fallbearbeitung und die Entscheidungsfindung zu erleichtern. Ebenso wichtig ist es aber auch, die Studenten der juristischen Fakultäten, die Rechtsanwälte und die Rechtswissenschaftler an den Universitäten mit der hier angewendeten Arbeitsmethode vertraut zu machen. Daher wurde entschieden, die Unterrichtsmaterialien in konzentrierter Form zu publizieren und dem interessierten Fachpublikum insgesamt zugänglich zu machen. Damit wird nicht zuletzt auch ein Beitrag zur Ausbildung des juristischen Nachwuchses für die georgische Justiz insgesamt geleistet.

Die Darstellung ist daher in drei Teile gegliedert: im ersten Teil wird eine Einführung zur Bedeutung von Anspruchsgrundlagen gegeben. Im zweiten Teil werden die einzelnen Anspruchsgrundlagen des georgischen Zivilgesetzbuches anhand vieler Beispielsfälle erläutert. Im dritten Teil werden

schließlich alle Anspruchsgrundlagen in einen Katalog zusammengeführt, das heißt alle Anspruchsnormen und deren Anspruchsinhalte werden in einer Übersicht dargestellt, um die Suche im Gesetzestext zu erleichtern.

Wir danken Mitwirkenden für ihre engagierte Mitarbeit bei der Entstehung dieser Publikation, namentlich den maßgeblichen deutschen Verfassern, dem Vorsitzenden Richter am Oberlandesgericht Bremen Dr. Hein Bölling und dem Richter am Landgericht Peter Lüttringhaus.

Gleichermaßen möchten wir all den georgischen Richtern danken, die diese Publikation aktiv mit Anregungen und Verbesserungsvorschlägen sowie mit ihren Rückmeldungen zur Entwicklung der georgischen Gerichtspraxis unterstützt haben, allen voran der Vorsitzende der Zivilkammer des Obersten Gericht von Georgien, Herr Mikheil Gogishvili und die Richterin der Zivilkammer am Obersten Gericht von Georgien, Frau Nunu Kvantaliani.

Zeno Reichenbecher

Franziska Böhm

GTZ-Programmleiter

„Rechts- und Justizreformen im  
Südkaucasus“

GTZ-Teamleiterin

„Unterstützung des Rechts- und  
Gerichtssystems in Georgien“

## სარჩევი

ზოგადი შენიშვნები . . . . .	9
I. საპროცესო სამართლებრივი საკითხები . . . . .	9
II. მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლები . . . . .	14
ცალკეული მოთხოვნის საფუძვლები (ვალდებულებები): . . . . .	20
A. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძვლები . . . . .	20
1. ზოგადი ნაწილი . . . . .	20
2. პირველადი მოთხოვნები . . . . .	23
3. მეორადი მოთხოვნები . . . . .	30
ა. ზოგადი შენიშვნები . . . . .	30
ბ. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას . . . . .	32
გ. ზიანის ანაზღაურება შესრულების მაგივრად . . . . .	38
დ. მოვალის მიერ ვადის გადაცილება . . . . .	41
ე. კერძო ნაწილის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები . . . . .	45
4. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი შედეგი . . . . .	47
ა. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა და კაუზალურობა . . . . .	47
ბ. რესტიტუცია და თანხის ანაზღაურება . . . . .	49

B. კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლები . . . . .	50
1. ზოგადი მიმოხილვა . . . . .	50
2. ცალკეული კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლები . . . . .	55
ა) დელიქტი . . . . .	55
ბ) მესაკუთრის მიერ უკან გამოთხოვის მოთხოვნა მფლობელის წინააღმდეგ . . . . .	62
გ) მფლობელობასთან დაკავშირებული მოთხოვნები . . . . .	71
დ) უსაფუძვლო გამდიდრება . . . . .	75
III. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ მოთხოვნათა საფუძვლების ჩამონათვალი . . . . .	105
GTZ-ის შესახებ . . . . .	138
Das Profil der GTZ . . . . .	139



# ნანილი 1

## ზოგადი შენიშვნები

### I. საპროცესო სამართლებრივი საკითხები:

როდესაც ერთი მხარე სამოქალაქო სამართლებრივი დავის ფარგლებში საჩივრით მიმართავს სასამართლოს, ეს ძირითადად იმ მოთხოვნის განხორციელებისათვის ხდება, რომლის შესრულებაზეც მოპასუხემ მას უარი განუცხადა. ამისათვის მოთხოვნის წარმომდგენმა მხარემ, ანუ კრედიტორმა ძირითადად მიკუთვნებითი სარჩელი უნდა გამოიყენოს. შესაძლებელი და გათვალისწინებულია, აგრეთვე, სხვა საპროცესო ფორმებიც, მაგალითად: აღიარებითი სარჩელი<sup>1</sup>, უდაო წარმოება<sup>2</sup>, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში უმნიშვნელო როლს თამაშობენ, ან უნდა თამაშობდნენ<sup>3</sup>.

უდაო წარმოების შემთხვევები კანონში ამომწურავად არის წარმოდგენილი და ამით შემოფარგლული. აღიარებით სარჩელსაც იგივე ეხება: იგი შესრულების სარჩელთან შედარებით მეორადია და გვხვდება მხოლოდ მაშინ, როცა მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. ეს გარემოება თუმცა არ არის სიტყვიერად კანონში დადგენილი, მაგრამ გამომდინარეობს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესიდან აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ, ეს არის სსკ-ის 180-ე მუხლის წინაპირობაც. აღნიშნულიდან გამომდინარეობს მიკუთვნებითი სარჩელის უპირატესობა აღიარებითი სარჩელთან მიმართებაში: ყოველთვის, როცა მოსარჩელეს შეუძლია მიკუთვნებითი სარჩელით სარგებლობა, აღიარებითი სარჩელის გამოყენება დაუშვებელია. მოსარჩელე ვერ იქნება ამ უკანასკნელით სამართლებრივად დაინტერესებული, რადგან მას შესაძლებლობა აქვს, სარჩელის სხვა ფორმით (იგულისხმება მიკუთვნებითი სარჩელი) ბევრად უკეთ მიაღწიოს მიზანს. ეს გამომდინარეობს, პირველ რიგში, მოსარჩელის მიერ წამოწყებული პროცესის შედეგიდან: თუ მისი აღიარებითი სარჩელი დაკმაყოფილდება, სამართლებრივი დავა მთავრ-

<sup>1</sup> შეადარეთ სსკ-ის 180-ე მუხლი.

<sup>2</sup> შეადარეთ სსკ-ის 310-351-ე მუხლები.

<sup>3</sup> თუ ყურადღებით გადავხედავთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკას, თვალში მოგვხვდება, რომ მხარეთა აღიარებით სარჩელს აქ საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ. ისინი ხშირად დაუშვებელნი არიან, რაც შემდეგ განმარტებებში აისახება.

დება მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელის მიერ აღძრული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებით. ამით კი მოსარჩელეს ვერ აღმოუჩნდება სათანადო დახმარება:

მოპასუხეს აქვს უფლება გადაწყვიტოს, გაიზიარებს (გაითვალისწინებს) იგი სასამართლო გადაწყვეტილებას, თუ არა. თუ იგი არ გაიზიარებს, არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, მოსარჩელეს არ აქვს შესაძლებლობა იძულების გზით, განსაკუთრებით კი აღმასრულებელის დახმარებით აიძულოს მოპასუხე შესრულებაზე: აღიარებითი სარჩელი არ მოიცავს მოპასუხის მიმართ შესრულების მოთხოვნას, ან ამ შესრულების იძულებითი გზით განხორციელებას მოსარჩელის მიერ აღმასრულებელი ორგანოების ჩართვით<sup>4</sup>.

#### *მაგალითი 1:*

*ა-სა და ბ-ს შორის წარმოიშვა დავა იმის შესახებ, შედგა თუ არა მათ შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ა მიმართავს სასამართლოს აღიარებითი სარჩელით და მოითხოვს იმის დადგენას, რომ მათ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია. ა იგებს პროცესს და სასამართლო ადგენს, რომ ხელშეკრულება ყველა წესის დაცვით დაიდო.*

*ბ კი ისევ უარს აცხადებს ხელშეკრულების შედეგად დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე, კერძოდ, საფასურის გადახდაზე. მას გადაწყვეტილება არასწორად მიაჩნია და ამასთანავე მიაჩნია, რომ შემოთავაზებული საქონელი ნაკლის მქონეა.*

#### *ამოხსნა:*

*ა-ს ამ გადაწყვეტილებით ვერ აღმოუჩნდა სათანადო დახმარება. მართალია, ნასყიდობის ხელშეკრულება სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით კანონიერ ძალაში შევიდა, მაგრამ თავის თანხას იგი ვერ მიიღებს, რადგან*

<sup>4</sup> გამოწვევის მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების რეგულირება, რომელსაც უნდა შეიცავდეს აღიარებითი სარჩელი თანახმად, სსკ-ის 38-ე და 53-ე მუხლებისა.

სასამართლოს ბ-სთვის არ დაუკისრებია შეთანხმებული ფასის გადახდა. ეს მხოლოდ და მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით შეიძლება მოხდეს.

ე. ი. ა-ს ხელმოწერედ უნდა მიემართა სასამართლოსათვის და ამჯერად იმ განცხადებით, რომ ბ-ს დაკისრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, კერძოდ, საქონლის მიღება და საფასურის გადახდა. მხოლოდ ასეთი გადანაცვტილებების საფუძველზე ექნებოდა ა-ს შესაძლებლობა, აღსრულების გზით დაექმაცოფილებინა თავისი მოთხოვნა.


აქედან გამომდინარე, პირველი პროცესი აბსოლუტურად ზედმეტი იქნებოდა: თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულების სინამდვილე უკვე მეორე პროცესისათვის და მხარეებისათვისაც დადგენილად ჩათვლებოდა<sup>5</sup>, მაგრამ სხვა საკითხები, იქნებოდა ეს საქონლის ნაკლოვანება, შესაძლებელი შუალედური გადახდა ბ-ს მხრიდან ურთიერთმოთხოვნათა გაქცევისა თუ მსგავსი გზით, ჯერ კიდევ გასარკვევი იქნებოდა.

საჭიროა ზედმეტი პროცესუალური ღონისძიებების თავიდან აცილება. ისინი ტყუილად ტვირთავენ მხარეებსა და სასამართლოებს და ეწინააღმდეგებიან პროცესის ეკონომიის პრინციპს, რომლის მიხედვითაც სასამართლო ვალდებულია აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში შეამონმოს, ნამდვილად შეესაბამება თუ არა ამგვარი სარჩელი მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს და შეძლებს თუ არა მოსარჩელე თავისი ნამდვილი მიზნის მიკუთვნებითი სარჩელით უფრო იოლად მიღწევას. თუ ეს ასეა, მაშინ აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია და სასამართლომ იგი, როგორც დაუშვებელი არ უნდა მიიღოს<sup>6</sup>. უკეთესია, თუ სასამართლო სარჩე-

<sup>5</sup> შეადარეთ სსკ-ის მე-10 მუხლი. ამ კანონის სანინაღმდეგოდ, კანონიერ ძალაში შესული გადანაცვტილებით შეიძლება, აგრეთვე, მხოლოდ მხარეები იქნენ დავალდებულებულნი. მისი მესამე, პროცესში არამონაწილე პირზე გავრცობა დაუშვებელია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე.

<sup>6</sup> სსკ-ის 275-ე, 276-ე და 284-ე მუხლების თანახმად, სასამართლო განუზილველად დატოვებს შესაბამისი განჩინების საფუძველზე. სარჩელის განუზილველად დატოვების შესახებ სასამართლო განჩინება მოიცავს არა მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების, ანუ თვითონ საქმის შესახებ გადანაცვტილების მიღებას, არამედ სარჩელის საპროცესო წინაპირობების განხილვას და გადანაცვტილებას, დაშვებულია თუ არა სარჩელი. ამ ყოველივეს მძაფრი საპროცესო შედეგები მოჰყვება: თუ განჩინების საფუძველზე სარჩელი განუზილველი დარჩება, იგი უნდა დაფიქსირდეს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში როგორც დაუშვებელი, რათა ნათელჰყოფს, რომ თვითონ საქმეში ჯერ გადანაცვტილება არ მიღებულა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონისმიერი ძალის საკითხისათვის. სსკ-ის 266-ე მუხლი კრძალავს სარჩელის ხელმოწერედ შეტანას, თუ მის შესახებ უკვე მიღებულია კანონიერ ძალაში შესული გადანაცვტილება. ხოლო თუ სარჩელის განუზილველად დატოვების შესახებ სასამართლო განჩინების შედეგად მოხდა სარჩელის დაუშვებლად აღიარება, მაშინ მოსარჩელეს შეუძლია ხელმოწერედ შეიტანოს იგი, მას შემდეგ, რაც აღკვეთის დაუშვებლობის მიზეზებს. სსკ-ის 278-ე მუხლი.

### საქმის წარმოება დაუშვებელი აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში



ლის დასაშვებობასთან დაკავშირებით არსებულ ეჭვებზე მიუთითებს და მოსარჩელეს მისცემს მათი აღმოფხვრის შესაძლებლობას. ეს სასამართლოსათვის სსკ-ის 185-ე მუხლის I ნაწილის, ასევე 178-ე I თ პუნქტის მიხედვით, ნებადართულია და შესაძლებელია სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2- მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სარჩელის შეცვლის ფარგლებში.

ეს მოკლე მონახაზი მიგვანიშნებს კავშირზე მატერიალური მოთხოვნის საფუძველს, სასარჩელო განცხადებას, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილსა და იძულებით აღსრულებას შორის: განსაკუთრებით უშუალოა ეს კავშირი ზემოდხსენებულ ბოლო სამ კომპონენტს (ტერციას) შორის; აუცილებელია მათი ჰარმონიულობა მსგავსად მუსიკალური ტერციისა: სასარჩელო განცხადება<sup>7</sup> უნდა შეესაბამებოდეს მატერიალური მოთხოვნის საფუძველს. მან ისე ნათლად უნდა წარმოაჩინოს მოსარჩელისათვის სასურველი საპროცესო მიზანი, რომ სასამართლომ შეძლოს მისი პირდაპირი გათვალისწინება და იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე პროცესს მოიგებს, იგივე შინაარსის (რაც განცხადებაშია მოთავსებული) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში<sup>8</sup> ფორმულირება. სარეზოლუციო ნაწილი კი, თავის მხრივ, იძულებითი აღსრულების საფუძველს წარმოადგენს: სააღსრულებლო ორგანოს იძულების გზით მხოლოდ იმის აღსრულება ევალება, რაც სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩამოაყალიბა და დაადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასარჩელო განცხადება და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ისე ნათლად უნდა იქნენ ჩამოყალიბებული, რომ შესაძლებელი იყოს ორივეს, თავისივე შინაარსიდან გამომდინარე გაგება. ამას გარდა, ისინი სათითაოდ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც უნდა წარმოადგენდნენ აღსრულების საფუძველს.

<sup>7</sup> შეადარეთ სსკ-ის 178-ე მუხლის I ნაწილის გ) პუნქტი.

<sup>8</sup> შეადარეთ სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

## II. მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლები

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე გაირკვა, რომ პროცესუალური თვალსაზრისით მიკუთვნებითი სარჩელი სარჩელის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კი მოსამართლისათვის მოთხოვნის საფუძველი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას კანონის ნორმათა შორის. მოთხოვნის საფუძვლის გარეშე მოსამართლის ნებისმიერი საქმიანობა მოკლებულია კანონიერ ლეგიტიმაციას, რამეთუ მოსამართლე, პარლამენტის წევრისაგან განსხვავებით, არ არის ხალხის მიერ არჩეული. სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, რომ ყველანაირი ძალაუფლება ხალხისაგან უნდა მომდინარეობდეს<sup>9</sup>. სწორედ ამიტომ ხდება გადაწყვეტილებების ხალხის, ანუ „საქართველოს სახელით“ მიღება<sup>10</sup>. ამის უფლებას მოსამართლეს ანიჭებს არა მისი წოდება, არამედ კანონი, რომელსაც იგი ეყრდნობა, რამეთუ კანონი პარლამენტის მიერ ხალხის შეჯერებული ნების გამოხატულებაა. მოსამართლეს მხოლოდ მაშინ შეუძლია „სამართლის“ ღალატება, თუ მისი გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეობს. მოსამართლის ყოველი გადაწყვეტილება და განსაკუთრებით კი სასამართლოსი აუცილებლად სამართლებრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, რომელსაც მოთხოვნის უფლებათა სფეროში „მოთხოვნის საფუძველი“ ეწოდება<sup>11</sup>.

რა არის მოთხოვნის საფუძველი? ამ კითხვაზე პასუხს სკ-ის 316-ე მუხლის I ნაწილი გვთავაზობს: მოთხოვნის საფუძველი წარმოადგენს კანონის განაწესს, რომლის საფუძველზეც კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს მოქმედების შესრულება. ხოლო იგივე მუხლის შემდეგი წინადადების მიხედვით, შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებაშიც და მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

<sup>9</sup> შეადარეთ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის I ნაწილი, ა) პუნქტი.

<sup>10</sup> შეადარეთ საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სსკ-ს მე-8 მუხლი.

<sup>11</sup> რა თქმა უნდა, აღიარებითი სარჩელის შემთხვევაშიც მოსამართლის გადაწყვეტილება კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს. აქ დასაბუთება ნების უფრო რთული და შრომატევადია. მაგალითად, თუ მოსარჩელე სასამართლოსაგან მოითხოვს იმის დადგენას, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლა არ არის ნამდვილი, მოსამართლემ მაშინ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამის კანონზე დაყრდნობით უნდა წარმოაჩინოს, რომ ხელშეკრულება ამ კანონის მიხედვით ნამდვილად შედგა, ხოლო მეორე ეტაპზე მან შრომითი ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული მოქმედი წესების დახმარებით უნდა განმარტოს, მოიშლა თუ არა ამ წესების მიხედვით ზემოდახსენებული ხელშეკრულება.

ზემოთ აღნიშნული არ არის სწორად მოთავსებული ვალდებულებითი სამართლის დასაწყისში (სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი), თუმცა სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველები არა მხოლოდ სახელმწიკრულებო შეთანხმებების საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას, არამედ, აგრეთვე, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე: კერძოდ, დელიქტის, გამდიდრებისა სხვა კანონისმიერი დებულებებით. მაგრამ, როგორც ახლა დავინახავთ, ეს განვრცობაც არ არის საკმარისი. მოთხოვნის საფუძველებს (ვალდებულებას) ჩვენ ვხვდებით სანივთო სამართალშიც<sup>12</sup> და სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილშიც<sup>13</sup>, ასევე საოჯახო სამართალშიც და მემკვიდრეობით სამართალშიც.

ყველა ვალდებულება შედგება ძირითადად ორი ნაწილისაგან: კონკრეტული საქმის (შემთხვევის) ფაქტობრივი გარემოებისა და ნორმის აღწერილობითი ნაწილისაგან, რომელიც აბსტრაქტული და ზოგადი ფორმისაა და სამართლებრივი შედეგისაგან, რომელსაც კანონი ითვალისწინებს ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების არსებობისას<sup>14</sup>.

მოსამართლე ვალდებულია მოსარჩელის სასარჩელო განცხადებიდან გამომდინარე მოძებნოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს იმ სამართლებრივ შედეგს, რომელსაც მოსარჩელე თავისი სარჩელით მოითხოვს. შემდგომ მან უნდა გაარკვიოს, მიუთითებს თუ არა მოსარჩელე იმ გარემოებებზე, რომლებიც კანონის მიერ განსაზღვრულია ამ სამართლებრივი შედეგის დადგენის წინაპირობად.

ამისათვის ჯერ უნდა დადგინდეს განსახილველი მოთხოვნის საფუძვლისათვის აუცილებელი ფაქტობრივი წინაპირობანი ანუ კანონით დადგენილი ნორმის შემადგენლობის ნიშნები.

შემონიშნებას, შეესაბამება თუ არა სამართლებრივი დავის საქმის ფაქტობრივი გარემოება კანონით დადგენილი ნორმის შემადგენელ ნიშნებს, სუბსუმცია ანუ იურიდიული კვალიფიკაცია ეწოდება.

<sup>12</sup> შეადარეთ სკ-ის 172-ე მუხლის I ნაწილი, ე.წ. ვინდიკაცია.

<sup>13</sup> შეადარეთ სკ-ის 18-ე მუხლის I ნაწილი – პირადი უფლებების დაცვა, ასევე მოქმედებისაგან თავის შეკავებასთან დაკავშირებული მოთხოვნის საფუძვლის მაგალითი სკ-ის 316-ე მუხლის I ნაწილის მე-2 ნინადადების გაგებით.

<sup>14</sup> შეადარეთ *ბოლინგი/ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, პირველი ნაწილი, ნ, 37-დან 48 გვერდამდე.

პირიქით რომ ჩამოვყალიბოთ: კანონით დადგენილი ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დაწესება სასამართლოს გადაწყვეტილების საშუალებით, მოსამართლემ სწორედ სუბსუმციის გზით უნდა გადაწყვიტოს. მან უნდა დაადგინოს, მოცემულია თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ამ ნორმისა და მოთხოვნის საფუძვლის შემადგენელი ნიშნები. მოსამართლე, აგრეთვე, ამონიშნებს, ემთხვევა თუ არა მის მიერ გადასაწყვეტი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოება იმ კანონის აბსტრაქტული ნორმის შემადგენლობას, რომელსაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყენებს.

მოთხოვნის კლასიკური საფუძველი ფორმულირებულია სკ-ის 477-ე მუხლში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე... და მიაწოდოს საქონელი. ეს ფორმულირება შეიცავს ფაქტობრივ გარემოებას და ასევე ადგენს სამართლებრივ შედეგსაც. ნორმის აღწერილობითი ნაწილის ელემენტები კანონში ძალიან მოკლედ აღინიშნება სიტყვებით „ნასყიდობის ხელშეკრულებით...“, ხოლო სამართლებრივი შედეგი – ხელშეკრულების მხარეთა მოვალეობების დასახელებით, ანუ უკვე აღნიშნული ერთი მხარის მოვალეობა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ნივთზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და თავად საქონელი და მეორე მხარის მოვალეობა, გადაიხადოს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება (...სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ფორმულირება „ნასყიდობის ხელშეკრულებით...“ მოიცავს მთელ რიგ განსახილველ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც უაღრესად ლაკონურად და მოკლედ არის გადმოცემული: რამდენადაც ზოგიერთ შემთხვევაში ამ ნიშნობის არსებობა ერთმნიშვნელოვანი და ნათელია, მაგალითად, როცა მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის უდავოა ხელშეკრულების ნამდვილობა და დავის საგანი სხვა საკითხს, მაგალითად საქონლის ნაკლს უკავშირდება, იმდენად მრავალფეროვანი და მრავალმნიშვნელოვანი შეიძლება იყოს პრობლემები დაკავშირებული, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობასთან, მხარეთა ქმედითუნარიანობის საკითხთან, შეთანხმების ფორმასა და წარმომადგენლობასთან.



უკანასკნელ შემთხვევაში მოსამართლემ ყველა აღნიშნული პრობლემა ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტის „ნასყიდობის ხელშეკრულებით...“ ფარგლებში უნდა შეამოწმოს, სანამ, მაგალითად, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგს დაადგენს და მყიდველს შეთანხმებული საფასურის გადახდას დააკისრებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სკ-ის 172 მუხლის I ნაწილის მოთხოვნის საფუძველი (უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მე-საკუთრის მიერ = ვინდიკაცია), რომელიც ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელ სამ ელემენტს შეიცავს:

1. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე;
2. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი;
3. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება (ნორმის აღწერილობითი ნაწილის ე.წ. ნეგატიური, უარყოფითი შემადგენელი ელემენტი).

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე ამ სამივე წინაპირობის (ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების) არსებობას დაადგენს, შეუძლია განაწესოს სამართლებრივი შედეგი: მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დაკისრება. აქ, განსაკუთრებით საკუთრების საკითხის გარკვევისას, მრავალი პრობლემა შეიძლება წამოიჭრას<sup>15</sup>.

აქ უკვე ჩანს იურიდიული მუშაობის მეთოდოლოგია: ნორმები (განსაკუთრებით კი მოთხოვნის საფუძველები) უნდა დაიშალოს მისი ელემენტების, კერძოდ, ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების მიხედვით. იურიდიული სამუშაო სწორედ ამ ამოხსნის სისწორეზეა დამოკიდებული. ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა წინაპირობებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი წესები იყრიან თავს. ამ შემთხვევაში იურისტმა და განსაკუთრებით კი მოსამართლემ მათი არსებობა დიფერენციულად, განცალკევებულად უნდა შეამოწმოს.

<sup>15</sup> იხ. ქვემოთ ბ), II, 2, ბ).

მოთხოვნის საფუძვლის გარკვევისას უნდა მივყვეთ ბევრისათვის ნაცნობ სქემას, რომელიც ოთხ საკითხს (ნაბიჯს) მოიცავს:

### 1 + 2. კითხვა: ვინ ვისგან?

პირველ რიგში უნდა ვიკითხოთ, თუ მოცემულ შემთხვევაში ვინ (კრედიტორი) ითხოვს რაიმეს და ვისგან (მოვალე) ითხოვს. აქ ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რომელ პირზე ან პირთა ჯგუფზეა საუბარი, რადგან შესაძლებელია, რომ ორივე მხარეს და განსაკუთრებით კი მოვალეს მხარეს მოცემული იყოს რამდენიმე პირი, მაგალითად, როგორცაა სოლიდარული მოვალე.

ასევე გასარკვევია, აღნიშნული პირები იურიდიულ პირებს წარმოადგენენ თუ ფიზიკურ პირებს და ისინი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ თუ წარმომადგენლებად გვევლინებიან.

### 3. კითხვა: რა?

შემდეგ ეტაპზე უნდა მოხდეს იმის დადგენა, თუ რას ითხოვს კრედიტორი მოვალესაგან. ეს მოთხოვნა ხშირად გარკვეული თანხის გადახდასთან არის დაკავშირებული, მაგალითად, შეთანხმებული ფასის გადახდა რაიმე ნივთის შეძენისას. მაგრამ იგი ასევე შეიძლება საგნის უკან გამოთხოვას, რაიმე უფლების მიკუთვნებას, ქმედების მოთხოვნას ან რაიმე ქმედების მოთმენას უკავშირდებოდეს.

### 4. კითხვა: საიდან?

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარკვევის შემდეგ უნდა განისაზღვროს მოთხოვნის საფუძველი. იგი უნდა შეესაბამებოდეს ჩვენ მიერ უკვე განსაზღვრული კრედიტორის მოთხოვნას, ასევე განსაზღვრული მოვალეს მიმართ. ხშირად მოთხოვნა რამდენიმე მოთხოვნის საფუძველთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში ჯერ უნდა მოხდეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ხოლო შემდეგ კი კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლების განხილვა.

რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის არსებობისას შესაძლებელია მოთხოვნების განხორციელება ერთმანეთის პარალელურად ან შესაძლოა მათ შორის არსებობდეს რანგთა სხვადასხვაობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული პირველ ეტაპზე საკმარისია იმისათვის, რომ წარმოჩინდეს მოთხოვნის საფუძვლების განსაკუთრებული მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესისა და მოსამართლის საქმიანობისათვის. ცალკეულ მოთხოვნის საფუძვლებზე (ვალდებულებებზე) კი ამ ნაშრომის<sup>16</sup> კერძო ნაწილში იქნება საუბარი.

დამატებით კი ვიტყვოდი:

მართალია სამოქალაქო კოდექსი ურიცხვ ვალდებულებას ითვალისწინებს, მაგრამ ბუნებრივია, რომ იგი არა მხოლოდ ამ ვალდებულებებისაგან შედგება. მასში მოთავსებულია ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებული მრავალი წესი, მაგალითად, გარკვეული შეთანხმებების დასაშვებობა<sup>17</sup>, სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტების წინაპირობებისა და შედეგების აღწერა<sup>18</sup>, ნამდვილობის წინაპირობის განსაზღვრა<sup>19</sup>, გარკვეული, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების განმარტება<sup>20</sup>.

*ხშირად ამ წესებს, როგორც დამხმარე ნორმებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ მოთხოვნის საფუძვლების გამოყენებისათვის.*

*როდესაც დგას, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი, რომელიც სკ-ის 477-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, მის სწორ გადაჭრაში ხშირად გვეხმარებიან დამხმარე ნორმები, მაგალითად, როგორცაა ქმედითუნარიანობის საკითხი, წარმომადგენლობა, ფორმა და ა.შ.*

<sup>16</sup> იხ. ქვემოთ ბ).

<sup>17</sup> შეადარეთ სკ-ის 319-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სავალდებულო ხელშეკრულებათა შინაარსის დაშვებულობას.

<sup>18</sup> შეადარეთ სკ-ის 103-ე მუხლი, წარმომადგენლობა

<sup>19</sup> შეადარეთ სკ-ის 323-ე მუხლი, ფორმის დაცვა უძრავი ქონების გასხვისებისას.

<sup>20</sup> შეადარეთ სკ-ის 20-ე მუხლის I ნაწილი: საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი განმარტება.

## ნაწილი 2

### ცალკეული მოთხოვნის საფუძვლები (ვალდებულებები):

აქ მოყვანილი განმარტებები, ბუნებრივია, ვერ ამოწურავს ყველა მოთხოვნის საფუძვლის წარმოდგენას.

შემდგომში განხილული იქნება რამდენიმე ძირითადი მოთხოვნის საფუძველი მათი წინაპირობებითა და სამართლებრივი შედეგებით, რაც მოსამართლეს გაუადვილებს მათთან მუშაობას.

ყოველთვის უნდა განვსახვაოთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე და კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლები.

### A. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძვლები

#### 1. ზოგადი ნაწილი

ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის სისტემატიკის მიხედვით (წიგნი მესამე, თავი პირველი) ყოველთვის ვალდებულებით ურთიერთობას წარმოადგენს; ეს არის გარიგება, რომელიც სულ მცირე ორი ნების გამოვლენისაგან შედგება (შეადარეთ სკ-ის 50-ე მუხლი), რომლის შინაარსის მიხედვითაც კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება (სკ-ის 316-ე მუხლის I ნაწილი). მართალია, სკ-ის 316-ე მუხლის I ნაწილი მოიცავს ნორმის აღწერილობით ნაწილსა და სამართლებრივ შედეგს და ზემოთ მოცემული განმარტებების მიხედვით იგი შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნის საფუძველად, მაგრამ ეს მუხლი არ წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს, არამედ მოიცავს კანონისმიერ განმარტებას (აქ: ვალდებულებითი ურთიერთობის). განსხვავება კანონისმიერ განმარტებასა და მოთხოვნის საფუძველს შორის მდგომარეობს შემდეგში: სკ-ის 316-ე მუხლის I ნაწილი კრედიტორს არ ანიჭებს ინდივიდუალურ მოთხოვნას რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულებაზე.

სკ-ის ნაწილი, რომელიც ვალდებულებით სამართალს ეხება, 316-დან 476-ე მუხლამდე მოიცავს ზოგად ნორმებს ვალდებულებითი ურთიერთობებისა და ხელშეკრულების შესახებ (ზოგადი დებულებები). ხოლო კერძო ნაწილი კი, 477-დან 1016-ე მუხლამდე მოიცავს ხელშეკრულების კონკრეტულ ფორმებთან (მაგ: ნასყიდობის, ქირავნობისა და ნარდობის ხელშეკრულებები) დაკავშირებულ სპეციალურ ნორმებს; ეს ხელშეკრულებები, საერთო გამოცდილების მიხედვით, განსაკუთრებულად ხშირად გვხვდება იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას. აქედან გამომდინარე, ისინი ხშირად გვევლინებიან დავის საგნად ან საჭიროებენ დეტალურ მონესრიგებას.

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებებისა და კერძო ნაწილის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით მოქმედებს *სპეციალურობის პრინციპი*: ზოგად დებულებებში არსებული ყველა ნორმა ვრცელდება კერძო ნაწილში განთავსებულ ხელშეკრულების სახეობაზე, თუ კერძო ნაწილი არ შეიცავს უფრო კონკრეტულ, სპეციალურ ნორმას (შეადარეთ: აგრეთვე, სკ-ის მუხ. 2 მე-2 ნაწილი).

### *მაგალითი 2:*

*როდესაც ბინის გამქირავებელი დამქირავებელს ისეთ მდგომარეობაში გადასცემს ბინას, რომ არსებობს მაგ. ჭერის ჩამონგრევის საშიშროება, მაშინ ადგილი აქვს გამქირავებელის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის დარღვევას (კერძოდ, გამქირავებლის მოვალეობაა, გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში სკ-ის 532-ე მუხლის მიხედვით), რომლის საფუძველზეც ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმების მიხედვით (405-ე მუხლის / ნაწილის / წინადადება), დამქირავებელს უფლება აქვს დამატებით განსაზღვრული ვადის უშუდეგოდ გასვლის შემდეგ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. მაგრამ ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი შეიცავს ისეთ განსაკუთრებულ ნორმას (542-ე მუხლის / წინადადება), რომლის მიხედვითაც დამქირავებელს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშეც.*

ამიტომ, ზოგადი დებულებების რომელიმე მოთხოვნის საფუძვლის გამოყენებისას, ყოველთვის საჭიროა გაირკვეს, მოიცავს თუ არა კერძო ნაწილი რაიმე უფრო სპეციალურ ნორმას.

სშირად კერძო ნაწილის ნორმები მიუთითებენ ზოგადი დებულებების ნორმებზე, რაც განსაკუთრებით გარკვეული სამართლებრივი ცნებების გამოყენებით ხდება. მაშინ საჭიროა ზოგადი დებულებების ნორმების გამოყენება.

### *მაგალითი 3:*

*თუ გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულებისას გადასცემს მყიდველს ნაკლის მქონე ნივთს, რომლით სარგებლობისასაც მყიდველს ზიანი მიადგება (მაგ. თუ გადაცემული ზეთის ქურა დეფექტის გამო აფეთქდა და მყიდველის ავეჯი დაიწვა), მაშინ, სკ-ის 494-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მყიდველს აქვს უფლება გამყიდველისაგან მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება. თუ რა სახის ზიანი უნდა ანაზღაურდეს, ამის შესახებ კერძო ნაწილი (ნასყიდობა) არ მიგვითითებს, აქ საჭიროა ზოგადი დებულებების წესების გამოყენება (სკ-ის 408-დან 415-ე მუხლამდე).*

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებებისა და კერძო ნაწილის ასეთი ურთიერთმონაცვლეობითი კავშირი განსაკუთრებით მკაფიოდ არის მოცემული ხელშეკრულებიდან გასვლასა (სკ-ის 352-359-ე მუხლამდე) და ვალდებულების დარღვევასთან (სკ-ის 394-407-ე მუხლამდე) დაკავშირებულ ნორმებში.

მოთხოვნის საფუძვლების ფარგლებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შემდეგი წესები:

- კრედიტორი ითხოვს ხელშეკრულების შესრულებას (ე.წ. პირველადი მოთხოვნა)
- კრედიტორი მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა მოვალის ქმედების გამო (ე.წ. მეორადი მოთხოვნა; აქ: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფორმით)
- კრედიტორს სურს ხელშეკრულებიდან გასვლა

- კრედიტორს სურს გარკვეული მოთხოვნების წაყენება, რომლებიც ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად წარმოადგენენ ხელშეკრულების შესრულების აუცილებელ წინაპირობას (დამხმარე ანუ არაძირითადი უფლებები).

## **2. პირველადი მოთხოვნები**

მოთხოვნათა საფუძვლების ამომწურავი ჩამოთვლა სახელშეკრულებო ე.წ. პირველად მოთხოვნათა კუთხით პრაქტიკულად შეუძლებელია. მართალია, შესაძლებელია კანონში მოცემული ყველა მოთხოვნის საფუძვლის განხილვა, მაგრამ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან (სკ-ის მუხ. 319, I ნაწილი) გამომდინარეობს კერძო სამართლის სუბიექტების შესაძლებლობა (მე-8 მუხლი), დაამყარონ თავიანთი სამართლებრივი ურთიერთობები სკ-ში მონესრიგებული ხელშეკრულებების ფარგლებს გარეთაც, ანუ დადონ კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც თავისთავად წარმოიშობა ისეთი უფლება-მოვალეობები, რომლებიც კანონში (ჯერ) არ არის კოდიფიცირებული. შესრულების მოთხოვნის საფუძვლად ასეთ შემთხვევებში თავად ხელშეკრულება გვევლინება, რომელიც წარმოშობს ამა თუ იმ უფლებასა თუ ვალდებულებას. ხშირად ამგვარი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილ ვალდებულებებსა და კანონით გათვალისწინებულ ხელშეკრულების სახეობებს შორის ისეთი დიდი მსგავსებაა, რომ შესაძლებელი და საჭირო ხდება ხელშეკრულების ამ ფორმისათვის, როგორც „ახალი“ სამართლებრივი კონსტრუქციისათვის, კანონით დაწესებული ნორმების გამოყენება.

### ***მაგალითი 4:***

*კრედიტორს, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიას, გააჩნია მრავალი მოთხოვნა, რომელთა შესრულებაზეც (ამოღებაზე) მას თავად არ სურს ზრუნვა. იგი დებს ხელშეკრულებას საინკასო ორგანიზა-*

ციასთან (ორგანიზაცია, რომელიც აგვარებს საქმიანი მოთხოვნების ამოღებას), რომელიც იღებს თავის თავზე ვალდებულებას, სასამართლო გზის გამოყენებლად უზრუნველჰყოს კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილება და საზღაურად მიიღოს ამოღებული თანხის გარკვეული ნაწილი. აქვე იდება შეთანხმება იმის თაობაზე, რომ საინკასო ორგანიზაციას მოთხოვნები გადაეცემა მინდობილი საკუთრების სახით (სკ-ის 198-ე მუხლი) და იგი მოვალის წინაშე წარსდგება, როგორც მოთხოვნების მქონე პირი. როდესაც ეს საინკასო ორგანიზაცია თავის საქმიანობას შეუდგა, მან ბევრი მოვალისაგან მიიღო პასუხად, რომ მათ უკვე პირდაპირ კრედიტორისათვის ჰქონდათ თანხები გადახდილი. შეუძლია თუ არა საინკასო ორგანიზაციას კრედიტორისაგან მოითხოვოს ინფორმაცია ამ თანხების გადახდასთან დაკავშირებით და მიიღებს თუ არა იგი საზღაურს შემოსული თანხებიდან? ვალდებულია თუ არა იგი მიაწოდოს კრედიტორს თავის მხრივ ინფორმაცია მის საქმიანობაზე?

#### ამოხსნა:

სკ არ მოიცავს „საინკასო ხელშეკრულებას“. თუ კრედიტორსა და საინკასო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციის გაცემის (მიღების) და საზღაურის საკითხებს, დავის შემთხვევაში სასამართლო მოთხოვნის საფუძვლად სწორედ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებს განიხილავს. ხოლო თუ ეს საკითხები არ არის ხელშეკრულების საგანი, მოსამართლემ უნდა განსაჯოს, შეესაბამება თუ არა ეს ხელშეკრულება რომელიმე კანონით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას ისე, რომ შესაძლებელი იყოს კანონით გათვალისწინებული წესების საინკასო ხელშეკრულებაზე (ანალოგია სკ-ის მე-5 მუხლის 1 ნაწილი) გამოყენება. აქ, შესაძლებელია, მართებული იყოს დავალებასთან (სკ-ის 709-722-ე მუხლები) დაკავშირებული წესების გამოყენება, რადგან, ძირითადად, მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა კრედიტორის კომპეტენციაა (მისი საკუთარი საქმეა), რომელიც მოცემულ შემთხვევაში საინკასო ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს. სკ-ის 709-ე მუხლი



ითვალისწინებს, რომ რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული მოქმედება „მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე“. ზემოთ მოცემულ მაგალითში კი ეს ასე არ არის, რადგან საინკასო ორგანიზაციამ თავისი სახელით უნდა იმოქმედოს.

საინკასო ხელშეკრულების კანონთან მაკავშირებელ სხვა გარემოებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მოთხოვნები საინკასო ორგანიზაციას გადაეცა მინდობილი საკუთრების სახით (რადგან კრედიტორს სურს დარჩეს მფლობელი ეკონომიკური თვალსაზრისით) და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მართებული იყოს საკუთრების მინდობის კანონით გათვალისწინებული წესები (სკ-ის 724-729-ე მუხლები).

სკ-ის 724-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების მინდობის ხელშეკრულების წინაპირობაა, რომ საკუთრების მიმნდობი გადასცემს მოძრავ ქონებას ან უფლებებს მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მათ საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. მოთხოვნის დათმობა (სკ-ის 198-ე მუხლის I ნაწილი), უფლებების გადაცემის სახით, მოექცევა ამ ნორმების ჩარჩოში. მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა საინკასო ორგანიზაციისათვის მოთხოვნების ამოღების (რეალიზაციის) დავალება ჩაითვალოს სკ-ის 724-ე მუხლით გათვალისწინებულ „მიღებად და მართვად“.

საკუთრების მინდობის ძირითადი პრინციპია უცხო ინტერესების დაცვა; შესაძლებელია, რომ ეს, აგრეთვე, უცხო მოთხოვნების რეალიზაციასაც მოიცავდეს. საინკასო ორგანიზაცია ამ დათმობის საფუძველზე მოთხოვნის მესაკუთრე გახდა, რაც სამართლებრივი კუთხით იმას ნიშნავს, რომ აქ უკვე საუბარია საკუთარ მოთხოვნაზე. საკუთრების მინდობის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც აგვარებს სამართლებრივ ურთიერთობას საკუთრების მიმნდობსა და მინდობილ მესაკუთრეს შორის, ეს უკანასკნელი არ სარგებლობს სრული თავისუფლებით მინდობილი საკუთრების მართვისას, არამედ ექვემდებარება მიმნდობის მითითებებსა და ინტერესებს. მოცემულ მაგალითში ეს გარემოება იმით დასტურდება, რომ საინკასო ორგანიზაცია ვალდებულია, გადასცეს ამოღებული თანხები კრედიტორს, ანუ, მარწმუნებელს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას,

რომ საკუთრების მიმდობი მოთხოვნის ეკონომიკური მესაკუთრეა, რის შედეგადაც ეს რეალიზაცია ეკონომიკური თვალსაზრისით უცხო (სხვისი) მოთხოვნის რეალიზაციად გვევლინება<sup>21</sup>.

ყოველივე ზემოდსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკუთრების მინდობის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესების გამოყენებას ვერ მივყავართ მიზნამდე, რადგან კანონიდან გამომდინარე მინდობილ მესაკუთრეს გასამრჯელო არ ეკუთვნის (სკ-ის 726-ე მუხლი). ეს წესით მართებულია, რადგან მინდობილი მესაკუთრე ზოგადად იცავს მიმდობის უფლებას, მაგრამ არ ანარმოებს აქტიურ მოქმედებებს. „საინკასო ხელშეკრულება“ ავლენს პარალელებს (მსგავსებებს) დავალებასთან (სკ-ის 709-ე მუხლი), სადაც დავალებით რწმუნებული ასრულებს დავალებულ მოქმედებას და ამისათვის ძირითადად იღებს გასამრჯელოს (სკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

აქედან გამომდინარე, მართებული იქნება საინკასო ხელშეკრულების როგორც დავალებასთან ასევე საკუთრების მინდობასთან დაკავშირებული კანონისმიერი ნორმების ჩარჩოებში მოქცევა, რადგან იგი ორივე ხელშეკრულების ფორმის შემადგენელ კომპონენტებს შეიცავს. ეს ნიშნავს იმას, რომ საინკასო ორგანიზაციას შეუძლია გასამრჯელოს მოთხოვნა სკ-ის 710-ე მუხლის თანახმად, ხოლო კრედიტორი კი ინფორმაციის მოთხოვნისას სკ-ის 729-ე და 713-ე მუხლებს დაეყრდნობა. რაც შეეხება საინკასო ორგანიზაციის მოთხოვნას, მიიღოს მარწმუნებელისაგან ინფორმაცია მოვალეებისაგან მიღებულ თანხებზე, ამის შესახებ არც დავალებისა და არც საკუთრების მინდობის ნორმებით არ წესრიგდება.

ამ უკანასკნელის საფუძვლად შესაძლებელია მართებული იყოს სკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება, რადგან კრედიტორის მიერ საინკასო ორგანიზაციაზე მოთხოვნის დათმობა მხოლოდ გადაცემის გზით შეიძლება განხორციელდეს, მაშინაც, თუ ეს დათმობა საკუთრე-

<sup>21</sup> შეთანხმებას მინდობილ საკუთრებაზე გულისხმობს იმას, რომ უფლების დათმობა არ არის საბოლოო ხასიათის მატარებელი; ის ხელშეკრულების მხარეების სურვილის მიხედვით, ძალაშია, სანამ საინკასო ორგანიზაცია ანარმოებს მოთხოვნათა დაკმაყოფილებას (ამოღებას). თუ შეუძლებელია მოთხოვნათა დაკმაყოფილება, ან თუ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის დასრულება, მაშინ საინკასო ორგანიზაცია ვალდებულია, უკან გადასცეს (დაუბრუნოს) მარწმუნებელს თავისი მოთხოვნების უფლება. ასე, რომ, კრედიტორი რჩება დათმობილი მოთხოვნების „მატერიალურ მესაკუთრედ“. შეადარეთ ასევე Bölling, Festschrift für Liluashvili, გვ. 100-126.

ბის მინდობასთან დაკავშირებული შეთანხმების საფუძველზე ხდება. იმ შემთხვევაშიც, როცა დათმობა შეზღუდულია გარკვეული ვადით, კერძოდ, მხოლოდ მოთხოვნის რეალიზაციის მიზნით, საინკასო ორგანიზაცია უნდა იყოს უფლებამოსილი იმ საჭირო ინფორმაციის მიღებაზე, რომელიც დაკავშირებულია ამ რეალიზაციასთან.

მოყვანილ მაგალითში განხილული „საინკასო ხელშეკრულების“ მოთხოვნის საფუძველები უკავშირდებიან სკ-ის სხვადასხვა სფეროს.

როდესაც მოსამართლე ყოველდღიურ პრაქტიკაში კანონით გაუთვალისწინებელ ხელშეკრულებებს აწყდება, მოთხოვნის საფუძველების კანონში ძეზნის პარალელურად მან ასევე უნდა განიხილოს შემდეგი გარემოება: კერძოდ, ხომ არ სცილდება მხარეთა გარიგებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობანი მხარეთა ავტონომიის ფარგლებს (სკ-ის 54-ე მუხლიდან).

#### მაგალითი 5:

თუ ბანკი გასცემს კრედიტს 50.000. ლარის ოდენობით და კრედიტის უსაფრთხოების მიზნით მთელს თანხაზე კრედიტის მიმღების სრულწლოვანი ქალიშვილის თავდებობას მიიღებს, რომელიც ჯერ უმაღლესში სწავლობს, კრედიტის მოშლის შემთხვევაში – როცა წარმოიშობა თავდებობის საჭიროება – თავდებობის მოთხოვნა (სკ-ის 891-ე მუხლი) შეიძლება გაბათილდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო (სკ-ის 55-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, თავდებობა შეიძლება ჩაითვალოს ბათილად, თუ იგი ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ ნორმებს, როდესაც ემოციური კავშირის საფუძველზე ვალდებულების საკუთარ თავზე აღებით თავდები თავისი თავდებობით მკვეთრად აჭარბებს თავის შესაძლებლობებს და გონიერი კრედიტორის თვალთვალს ეს თავდებობა ეკონომიკურად უაზროდ აღიქმება. მკვეთრ გადაჭარბებაზე საუბარი, როცა თავდებს კრედიტის პროცენტის გადახდის უნარიც კი არ შესწევს; ეს გადაჭარბება მიგვანიშნებს – თავდებსა და მოვალეს შორის გარკ-

*ვეული ურთიერთობის არსებობისას (აქ: მამა და ქალიშვილი) – თავდებობის ვალდებულების აღებისას ემოციური კავშირის საფუძველზე.*

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესრულების მოთხოვნა, ბუნებრივია, ითვალისწინებს ხელშეკრულების ნამდვილობას. ასე რომ, თუ საქმე გვაქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებთან, მოთხოვნის საფუძვლის განხილვას მივყავართ ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებულ ზოგად დებულებებამდე და მეორე ეტაპზე კი – ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის სპეციალურ ნორმებამდე.

თუ მოპასუხის მიმართ წარდგენილია მოთხოვნები თავდებობის საფუძველზე (სკ-ის 891-ე მუხლი), მოსამართლემ სკ-ის 891-ე მუხლის მოთხოვნის საფუძვლების განხილვამდე უნდა გაარკვიოს ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი ოფერტისა და აქცეპტის საფუძველზე (სკ-ის 329-ე და 331-ე მუხლები), ამასთან, მან უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ თავდებობის ხელშეკრულება სამენარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ, მოითხოვს ფორმის დაცვას (სკ-ის 892-ე მუხლი) და რომ თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა (სკ-ის 893-ე მუხლი).

***მაგალითი:***

*ს-ს უნდა გ-სგან კრედიტის მიღება. გ-ს ეეჭვება, რომ ს-ს შესწევს ამ კრედიტის უკან დაბრუნების უნარი. ამიტომ, იგი წერილობით მიმართავს ფ-ს, ს-ს მამას, თხოვნით, შეატყობინოს მას, დაუდგება თუ არა იგი თავის ვაჟიშვილს თავდებად. ამის საპასუხოდ იგი ფ-სგან იღებს წერილს, სადაც ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში თანახმაა თანხის გადახდაზე. გ გასცემს კრედიტს ს-ზე, რომელიც შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ ვერ აბრუნებს თანხას.*

### ამოხსნა:

ფ-ს მიმართ გ-ს მოთხოვნის საფუძველს სკ-ის 891-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმად, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს კრედიტორის სასარგებლოდ მოვალისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას. აქედან გამომდინარეობს ნორმის შემადგენლობის ორი შემადგენელი ნიშანი, კერძოდ, (1) თავდებობის ხელშეკრულების დადება (ნერილობითი ფორმა – სკ-ის 892-ე მიხედვით) და (2) ძირითადი ვალდებულების არსებობა, რომლის შესრულებასაც კისრულობს თავდები.

რაც შეეხება პირველ საკითხს, რომელიც მოიცავს იმის განხილვას, იქნა თუ არა დადებული თავდებობის ხელშეკრულება, აქ არ არის მნიშვნელოვანი ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადების ინიციატივა გ-დან გამომდინარეობდა. სკ-ის 329-ე მუხლის მიხედვით, ოფერტი მოიცავს ოფერენტის მზადყოფნას წინადადების შესრულებაზე. შესრულებისათვის მზადყოფნა, რაც ვალდებულების თავის თავზე აღებაში გამოიხატება, ეკისრება თავდებს. აქედან გამომდინარე, ოფერენტი ფ უნდა ყოფილიყო. თუ სიტყვა-სიტყვითი განმარტების ფარგლებს გავცდებით, შესაძლებელია ფ-ს საპასუხო წერილი ჩაითვალოს ოფერტად, რომელსაც, მართალია, გ ფ-სკენ მიმართული მკაფიო ნების გამოვლენით არ დაეთანხმა, მაგრამ ს-ზე თანხის გაცემა შეიძლება ჩაითვალოს ოფერტის კონკლუდენტურ თანხმობად (აქცეპტად). აქცეპტთან დაკავშირებით სკ არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ მითითებებს. სკ-ის 333-ე მუხლის მიხედვით, აქცეპტი შინაარსობრივად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ოფერტს. ე.ი. ის შეიძლება უბრალო თანხმობით ან შესაბამისი მოქმედებით გამოიხატოს.

რაც შეეხება ფორმას, ესეც შეიძლება მოცემულად ჩაითვალოს, რადგან სკ-ის 829-ე მუხლი მოითხოვს თავდების წერილობით განცხადებას და არა ასევე წერილობით აქცეპტს (თანხმობას). საკითხავი აქ შეიძლება იყოს ერთი გარემოება: შეიძლება თუ არა თავდების ოფერტი ჩაითვალოს ნამდვილად, როცა იგი არ შეიცავს ძირითადი ვალდებულების რაოდენობრივად განსაზღვრულ თანხას, როცა სკ-ის 891-ე მუხლის თანახმად, თავდების განცხადებაში გარკვევით უნდა იქნეს მითითებული თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული თანხა. თუმცა შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ ამ თანხის განსაზღვრა გამომდინარეობს გ-ს თავდაპირვე-

ლი წერილიდან და რომ თავდებობის განმარტება შესაძლებელია სკ-ის 52-ე მუხლზე დაყრდნობით, მაგრამ ეს იქნებოდა კანონმდებლის მიერ დადგენილი წერილობითი ფორმის უგულებელყოფა: წერილობითი ფორმის დაცვა არა მარტო ნების გამოვლენის მტკიცებულებას მოიცავს, არამედ მას გააჩნია, აგრეთვე, გამაფრთხილებელი ფუნქცია, რომლის მიხედვითაც, ფორმის დაცვა ხელს უშლის ნაჩქარევი და დაუფიქრებელი ხელშეკრულებებისა და გარიგებების დადებას<sup>22</sup>.

აქედან გამომდინარე, თავდების წერილობითი განცხადება აუცილებლად უნდა შეიცავდეს თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრულ თანხასაც, რის მიხედვითაც ეს ოფერტი წერილობითი ფორმის დარღვევის გამო არ უნდა ჩაითვალოს ნამდვილად.

ყოველივე ამის შედეგად, უკვე ზედმეტია ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტის, კერძოდ, ძირითადი ვალდებულების არსებობის განხილვა, რადგან ამ შემთხვევაში ეს არაპროდუქტიული იქნება.

### **3. მეორადი მოთხოვნები**

#### **ა. ზოგადი შენიშვნები**

მეორადი მოთხოვნების განხილვა ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში. ეს სხვადასხვა ფორმით შეიძლება მოხდეს: ვალდებულების დაგვიანებული შესრულებით (ვადის გადაცილება), ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით. ყველა ამ შემთხვევაში საუბარია ვალდებულების დარღვევაზე (შეადარეთ სკ-ის კარი მესამე). ეს დარღვევები ხშირად იწვევენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ან აიძულებენ რომელიმე მხარეს, უარი თქვან ხელშეკრულებაზე. შესაძლებელია, აგრეთვე, ზიანის ანაზღაურებისა და უარის თქმის კომბინაცია.

<sup>22</sup> შეადარეთ ბოლინგი/ჭანტურია, შემთხვევა 6, ბ, II, 1, დ) აა) - ფორმის წესების დაცვის სხვადასხვა ფუნქციის შესახებ.

ვალდებულების დარღვევის ძირითადი სამართლებრივი შედეგია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (სკ-ის 394-ე მუხლი). ამ ნორმის ფაქტობრივ გარემოებაში მოყვანილი ტერმინი „ვალდებულების დარღვევა“ მოიცავს ვალდებულების შეუსრულებლობის ყველა შემთხვევას. ამას მივყავართ შეკითხვამდე, თუ რა მოვალეობებს შეიცავს ვალდებულებითი ურთიერთობა. რადგანაც აქ ვერ მოხდება ამ საკითხის სამართლებრივ-დოგმატური განხილვა, ამიტომ შემოვიფარგლები მხოლოდ შემდეგი მოკლე განმარტებით: ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობა (მაგ. საკუთრების უფლების გადაცემა ნაყიდ ქონებაზე [სკ-ის 477- ე მუხლის I ნაწილი], ასევე შეთანხმებული ფასის გადახდის მოვალეობა [სკ-ის 477- ე მუხლის მე-2 ნაწილი], შესაბამისად, გაქირავებული ნივთის სარგებლობაში გადაცემისა და დათქმული ქირის გადახდის მოვალეობა [სკ-ის 531-ე მუხლი], ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისა და შეთანხმებული საზღაურის გადახდის მოვალეობა [სკ-ის 629-ე მუხლის I ნაწილი].

ხშირად ძირითადი ვალდებულება არ არის საკმარისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, რადგან მყიდველი მოელის უნაკლო ნივთს, დამქირავებელი – გათბობით უზრუნველყოფილ ბინას და შემკვეთი კი – სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაოს შესრულებას. ეს გვერდითი ვალდებულებები, რომელთაგან ზოგი კანონში არც არის გათვალისწინებული, აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის; ეს გვერდითი მოთხოვნები ძირითადი ვალდებულებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ არ მოიცავენ პირდაპირ, საპასუხო შესრულებას, როცა, მაგალითად, ნაყიდი ნივთის მიწოდების ვალდებულება პირდაპირ, დამოკიდებულ კავშირშია შეთანხმებული ფასის გადახდის მოვალეობასთან. ძირითადი ვალდებულების მსგავსად, შესაძლებელია ამ გვერდითი ვალდებულებების დამოუკიდებლად გასაჩივრება. თუ, მაგალითად, გამქირავებელი დამქირავებელს ზამთარში უარს ეტყვის გაქირავებული ბინის გათბობაზე, ამ უკანასკნელს შეუძლია სარჩელის შეტანა და სკ-ის 532-ე მუხლზე დაყრდნობით, გაქირავებული ფართის გათბობის მოთხოვნა (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 86-ე, 87-ე მუხლის მიხედვით).

ამას გარდა, ხელშეკრულების მხარეებისთვის წარმოიქმნება, აგრეთვე, სხვა ვალდებულებანი – მხარეები ვალდებულნი არიან, ყველაფერი ილონონ ვალდებულებითი ურთიერთობის კეთილსინდისიერად მოგვარებისათვის (სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ მოვალეობებს შეგვიძლია ვუნოდოთ დამცავი მოვალეობანი.

*მაგალითი 7:*

*შუშის ბოთლების გამყიდველი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, საზღაურის სანაცვლოდ ბოთლები მიაწოდოს მყიდველს. სატვირთო მანქანით ნივთის ტრანსპორტირებისას იმსხვრევა ბევრი ბოთლი, რადგან გამყიდველს ისინი ცუდად ჰქონდა შეფუთული.*

*ამოხსნა:*

*ბოთლები თავისთავად უნაკლო იყვნენ, ასე რომ, შეიძლება შესრულების უზრუნველყოფის მოთხოვნის გამოორიცხვა (სკ-ის 488-ე მუხლი). რადგან შესრულების ადგილი გამყიდველის სანარმო ან მისი საცხოვრებელი ადგილი უნდა იყოს (სკ-ის 362-ე მუხლის ა) პუნქტი) და ამას არ ცვლის ის გარემოება, რომ ნივთი მყიდველის ხარჯზე უნდა მიწოდებულიყო (შეადარეთ სკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ბოთლების დამსხვრევის რისკი ეკისრება მყიდველს. მაგრამ სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამყიდველის დაუნერვლი მოვალეობაა, გასაფრთხილებელი ძვირფასი ნივთის ჯეროვნად, ანუ, ტრანსპორტირების შესაბამისად (გამძლედ) შეფუთვა.*

**ბ. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას**

ძირითადი მოთხოვნის საფუძვლები სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის მოთხოვნებისათვის მოწესრიგებულია სკ-ის 394-ე მუხლით. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელშეკრულებო სამართლის სფე-



როში მოცემულია ძირითადი, არაძირითადი და დამცავი ვალდებულებები. აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის ამას შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

*არაძირითადი და დამცავი ვალდებულების* დარღვევისათვის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით.

*ძირითადი უფლების* დარღვევისას, შეიძლება ვიფიქროთ სამ ვარიანტზე:

- ვალდებულება საერთოდ არ სრულდება და მოვალის მიერ შესრულება ან, ყოველ შემთხვევაში, დროული შესრულება შეუძლებელია;
- ვალდებულება დაგვიანებით სრულდება;
- ვალდებულება არაჯეროვნად სრულდება.

ყველა მითითებულ შემთხვევაში, კრედიტორმა უნდა გადანწყვიტოს, სურს თუ არა მას საერთოდ მოვალისაგან შესრულების მოთხოვნა. თუ მას კვლავ გააჩნია ინტერესი მოვალის მიერ შესრულების მიმართ, მაშინ იგი ვალდებულია შეასრულოს თავისი ვალდებულება და შეუძლია მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მას, მაგალითად, დაგვიანებული შესრულებით წარმოეშვა.

თუ მას შესრულების მიმართ აღარ გააჩნია ინტერესი ან თუ შესრულების განხორციელება შეუძლებელია, კრედიტორმა უნდა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად.

შესაბამისად მას არც თავისი ვალდებულების შესრულება ენდომება; აღნიშნულს მივეყვართ ხელშეკრულების დარღვევამდე. აღნიშნული შემთხვევები მონესრიგებულია სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ვადის გადაცილებასა და ვადის განსაზღვრას, რათა მოვალისათვის თვალსაჩინო გახდეს მის მიერ ვალდებულების დარღვევის მნიშვნელოვანი შედეგები.

თუ საქმე ეხება ძირითადი ვალდებულების დარღვევას, რომელიც მოიცავს საპასუხო შესრულებას, მაშინ მოსამართლემ უნდა განსჭვრიტოს, სურს თუ არა მოსარჩელეს თავისი ახსნა-განმარტების მიხედვით ამ საპასუხო შესრულების მოთხოვნა. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მან ამის შესახებ უნდა იკითხოოს (სსკ-ის 222-ე მუხლი). საპასუხო შესრულება და

ძირითადი ვალდებულება ურთიერთდამოკიდებულია, რის გამოც იშვიათია შემთხვევა, როცა ძირითადი ვალდებულების დარღვევისას საპასუხო ვალდებულება ხელშეუხებელი რჩება; აქედან გამომდინარე, სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის გათვალისწინება პრაქტიკულად აღარ არის საჭირო. აქ საქმე შეიძლება გვექონდეს მხოლოდ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან, მის დაგვიანებით ან არაჯეროვნად შესრულებასთან.

- შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორი ნივთს ვერ მიიღებს, რის გამოც მის მიერ საპასუხო მოვალეობის შესრულებას ინტერესი ეკარგება, ასე რომ, იგი იმოქმედებს სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.
- ვალდებულების შესრულების დაგვიანების (ვადის გადაცილების) შემთხვევაში, ხდება სკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული წესის გამოყენება, რომელიც ეხება ვადის გადაცილების მიზეზით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას; ასე რომ, კრედიტორის მიერ საპასუხო მოვალეობის შესრულების საჭიროებისას აღარ განიხილება სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილი.
- არაჯეროვანი შესრულების ან დამცავი მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლ ნაწილს:

მაგალითი 8:

*ს ყიდის ნათურებს, რომლებსაც იგი გ-ს აწვდის. ეს უკანასკნელი კი მათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანაწილებს. ს ნათურებს მისი მომწოდებლისაგან – ლ-სგან – იღებს. ლ-ს შეცდომით მოხდა მეტალის ბუდის გამოდნობისა და დიდი რაოდენობის რკინის შერევა. ამან გამოიწვია ნათურების ბუდის დაფანგება და მოკლე ჩართვები. ამის გამო გ უკან იბრუნებს ნათურების დიდ რაოდენობას და მისი ზარალი მილიონებს აღწევს.*

### ამოხსნა:

გ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი შესაძლებელია იყოს სკ-ის 394-ე მუხლი და 394-ე მუხლის I ნაწილი. გ-სა და ს-ს შორის სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა ნათურების მიწოდებას. ნაყიდი საქონელი ნივთობრივი ნაკლის მქონეა, რადგან მიწოდებული ნათურების ბუდეებს დაჟანგვა ემუქრებოდათ. ნივთი ნივთობრივად ნაკლიანია, თუ იგი არ არის ხელშეკრულებით შეთანხმებული ხარისხის (სკ-ის 488-ე მუხლის I ნაწილი - ნივთობრივი ნაკლის განმარტება). შესაძლოა, არ მომხდარა შეთანხმება გარკვეული ქიმიური ნაერთის თაობაზე, მაგრამ ხარისხის შეთანხმება თავისთავად ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ მეტალის ბუდეები ვარგისი უნდა იყოს მხარეთა მიერ გათვალისწინებული სარგებლობისათვის - ანუ, აქ - ნათურების ჩაყენებისათვის. ეს თავისთავად მოიცავს დაჟანგების გამორიცხვას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, ბუდეები ნათურებისათვის გამოსაყენებლად უვარგისი აღმოჩნდა. ნათურები ნაკლის მქონეა, რადგან არ იყო გამორიცხული დაჟანგვა. სკ-ის 494-ე მუხლიდან გამომდინარე, გ-ს აქვს „ნივთის ნაკლით მიყენებული ზიანის“ ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით.

მოვალესაც შეუძლია განაცხადოს, რომ მისი ბრალით არ იყო გამოწვეული ვალდებულების დარღვევა (სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილი მე-2 წინადადება); ამ შემთხვევაში მას ეკისრება ახსნა-განმარტებისა და მტკიცების ტვირთი<sup>23</sup>. ბრალეულობა წესით მოიცავს განზრახ ან გაუფრთხილებელ მოქმედებას (სკ-ის 395-ე მუხლი). ს-ს თავად არ განუხორციელებია ბუდეებისათვის მეტალის გადადნობა, არამედ ისინი მან ლ-სგან მიიღო. ამიტომ ს-ს ბრალი აქ შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ მას შეეძლო ნივთის ნაკლის შემჩნევა, ან უნდა შეემჩნია იგი, ან კი, იმაში, რომ ს-ს მიერ მეტალის ნაერთის შეცდომით დამზადებაზე უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი. შეუძლებელია მყიდველის ვალდებულების დასაბუთება, რომლის მიხედვითაც იგი იძულებულია უზრუნველყოს მწარმოებლის

<sup>23</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ მოვალემ უნდა განმარტოს მისთვის შემამსუბუქებელი გარემოებები; ხოლო თუ კრედიტორი მის განმარტებებს არ ეთანხმება, ნაშინ მან, აგრეთვე, უნდა დაამტკიცოს ისინი. (შეადარეთ ბოელინგი/ჭანტურია პირველი ნაწილი, 5).

მიერ მონოდებული ნივთის შემონმება. ნესით, სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონანილე უფლებამოსილია დაეყრდნოს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების მხარე ხელშეკრულების გათვალისწინებით იმოქმედებს, ანუ, ჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებას. ეს საკითხი მაშინ დგას სხვაგვარად, როცა საქმე ეხება განსაკუთრებით მაღალი ხარისხისა და ცდომილების დიდი რისკის მქონე პროდუქტებს, ან, თუ ხელშეკრულების მხარეები ჩვენს მაგალითში შეთანხმდებოდნენ რაიმე განსაკუთრებული შემონმების თაობაზე.

აქედან გამომდინარე, ს იმ შემთხვევაში აგებს პასუხს, თუკი იგი კანონით ვალდებულია თავის თავზე აილოს ლ-ს მიერ ვალდებულების დარღვევა. ეს დასაშვებია, თუ ლ ს-ს კანონიერი წარმომადგენელია, ანუ, თუ ს-მ მას თავისი მოვალეობის შესრულება დაავალა ( სკ-ის 396-ე მუხლი – ე.წ. კანონიერი წარმომადგენელი). აქ არ გვაქვს ასეთი შემთხვევა, რადგან აქ საუბარია ს-ს, როგორც გამყიდველის მოვალეობის შესრულებაზე. და გამყიდველი, როგორც მოგახსენეთ, არ არის ვალდებული ანარმოს საქონელი და უზრუნველყოს მისი შემონმება<sup>24</sup>.

ყოველი შემთხვევისათვის, გ-ს აქვს ს-ს მიმართ შეთანხმებული ფასის უკან გამოთხოვის მოთხოვნის უფლება სკ-ის 491-ე და 352-ე მუხლების თანახმად, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნა დამოკიდებული არ არის გამყიდველის შესაძლო ბრალზე. თუმცა, სკ-ის 490-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, გ-მ პირველ რიგში უნდა მისცეს ს-ს ნაკლის გამოსწორების (ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი გამოცვლა) შესაძლებლობა.

გ-სათვის უფრო მნიშვნელოვანი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობის გამო, მას შეუძლია სკ-ის 499-ე და 494-ე მუხლებზე დაყრდნობით მხოლოდ ლ-ს მიმართოს.

სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილი ასევე ზემოთ მოყვანილ ცუდად შეფუთული შუშის ბოთლების მაგალითშიც<sup>25</sup> წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს:

<sup>24</sup> სხვაგვარად იქნებოდა საქმე, ს რომ თავად ყოფილიყო ნათურების მწარმოებელი. მაშინ მისი მოვალეობა იქნებოდა პროდუქციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის შექმნა (სკ-ის 641 მუხლის I ნაწილი). თუ მოვალე ვალდებულია ანარმოს, შექმნას ნივთი, მაშინ ის მოვალეა ასევე შეამონმოს გამოყენებული ნივთიერებების ვარგისიანობა.

<sup>25</sup> იხ. ზემოთ, გვ. 15.

### მაგალითი 9:

ბ-ს, შუშის ბოთლების შემკვეთს, სურდა თავის მხრივ ამ ბოთლების გავსება და გაყიდვა. შუშის გატეხვის შედეგად, მას გასაყვები ბოთლების ძალიან მცირე რაოდენობა შეემორჩა, რის გამოც მან ჩვეულ რაოდენობასთან შედარებით მხოლოდ ნახევრის გაყიდვა შეძლო. მოგების დაკარგვის გამო იგი მომწოდებლისგან – ლ-სგან – მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

### ამოხსნა:

შესაძლებელია ვალდებულების (მოთხოვნის) საფუძველს წარმოადგენდეს სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილი.

ვალდებულებითი ურთიერთობა მოცემულია იმით, რომ ბ-სა და ლ-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება შუშის ბოთლების მინოდების თაობაზე. „ვალდებულების დარღვევა“ აქ მდგომარეობს არა დაგვიანებით მინოდებაში (რადგან ლ-ს შეეძლო ბოთლების საჭირო რაოდენობის ხელმეორედ, მოგვიანებით მინოდება) ან არაჯეროვნად შესრულებაში (რადგან ბოთლების ნახევარი დაიმსხვრა), არამედ ცუდად, ნაკლიანად შეფუთვაში. რა თქმა უნდა, შეიძლება იმის თქმაც, რომ დამსხვრეული ბოთლების მინოდება მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას წარმოადგენს, რადგან ლ-ს მოვალეობა უვნებელი ბოთლების მინოდებაა. მაგრამ თუ დავა ამ გარემოებას დაეყრდნობა, შესაძლებელია, ლ-მ პროცესის მსვლელობისას მიუთითოს, რომ დარღვევა არ იყო გამონვეული მისი ბრალით, რადგან მძლოლმა განსაკუთრებულად დაზიანებული გზით ნასვლა არჩია, ან ტრანსპორტირებისას მესამე პირის ბრალით მოხდა ავარია.

ამით კამათი უფრო უმნიშვნელო მოვლენებს დაეყრდნობა და მოხდება ძირითადი პრობლემიდან გადახვევა, რომელიც უკავშირდება ნივთის ცუდ შეფუთვას.

ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე: ლ-ს მიერ ვალდებულების დარღვევა მდგომარეობს ბოთლების არაჯეროვნად შეფუთვაში. ამ გარემოებას ლ ვერ შეენინა აღმდეგება იმ არგუმენტით, რომ არ არსებობს მისი ბრალი,

ვინაიდან მას უნდა სცოდნოდა, რომ შუშა ადვილად იმსხვრევა და ტრანსპორტირებისას განსაკუთრებით დიდია მისი დამსხვრევის საფრთხე.

შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევებისათვის სკ-ის 404-ე მუხლი ითვალისწინებს განსაკუთრებულ წესს ვადის გადაცილებით გამონვეულ ზიანთან დაკავშირებით, ისე, რომ თუ კრედიტორის ვალდებულების შესრულება კვლავ არსებობს – სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის გამოყენება აღარ არის საჭირო. ასეთ შემთხვევებში საუბარია ვადის გადაცილებით გამონვეულ ზიანზე. შემთხვევათა ამ ჯგუფს განეკუთვნება ზიანი პროცენტის სახით, ანუ, ზიანი, რომელიც კრედიტორს წარმოეშვება იმით, რომ მან მოვალის მიერ გადახდა გვიან მოხდა და იგი თავის მხრივ იძულებული იყო, ბანკიდან აეღო კრედიტი, რომლისთვისაც მან ბანკს კრედიტი უნდა გადაუხადოს.

### **გ. ზიანის ანაზღაურება შესრულების მაგივრად**

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება (სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი) განიხილება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე ძირითად ვალდებულებას აღარ ასრულებს. ასეთ დროს საუბარია, აგრეთვე, შეუსრულებლობით გამონვეულ ზიანზე. ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით მოხდეს. იქნება ეს შემთხვევა, როცა მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება თუ, როდესაც კრედიტორს შესრულების მიმართ აღარ აქვს ინტერესი ვალკდებულების დარღვევის გამო.

სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილით კანონი შეუსრულებლობის ყველა შემთხვევას თავდაპირველად ერთნაირად ანესრიგებს; იგი სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის წინაპირობად განსაზღვრავს არა ვალდებულების დარღვევას, არამედ ვადის გადაცილებას. შესაბამისად ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასა და ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით განსხვავება არ ვლინდება; ეს საჭიროც არ არის, ვინაიდან თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება არ შეუძლია, ამას ყოველთვის ვადის გადაცილებამდე მივყავართ.

### მაგალითი 10:

ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერ ს-სა და გალერიის მფლობელ გ-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ძვირფასი ფერწერული ნამუშევრის თაობაზე, რომელიც ს-სთან კიდეა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ს-მ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიანდოს გ-ს სურათი და მასთან დაკიდოს. ნახატის ტრანსპორტირებისას მოხდება ავარია, რომელსაც გამოიწვევს მთვრალი ველოსიპედისტი, რის შედეგადაც სურათი მთლიანად ნადგურდება. გ-ს დაგეგმილი ჰქონდა გამოფენა, რომლის გახსნაც მას დაგვიანებით შეუძლია მხოლოდ იგივე მხატვრის სხვა ნამუშევრის შოვნის შემდეგ და ითხოვს მის მიერ სხვა ნამუშევრის ყიდვის შედეგად წარმოშობილი ხარჯის ანაზღაურებას.

### ამოხსნა:

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს სხვა ნამუშევრისათვის გაღებული ხარჯების თაობაზე შესაძლოა სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენდეს.

რადგან ნახატის ორიგინალი განადგურებულია და გ-ს სწორედ მისი მოპოვება უნდოდა, მისი მხრიდან შესრულების მოთხოვნას აზრი დაეკარგა. ასეთ შემთხვევაში დგება შესრულების მაგივრად ზიანის ანაზღაურების საკითხი.

სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობას მოვალის მიერ ვადის გადაცილება წარმოადგენს. აღნიშნული მოცემულ შემთხვევაში პრობლემატურია, ვინაიდან სკ-ის მე-400 მუხლის ა) პუნქტის გაგებით, შესრულების ვადაზე შეთანხმება არ მომხდარა (ეს სხვაგვარად იქნებოდა, თუ მოხდებოდა კონკრეტული თარიღის ან ვადის განსაზღვრა). აქედან გამომდინარე, ს პასუხს აგებდა მხოლოდ მაშინ, თუ გ-ს მიერ გაფრთხილების შედეგად სახეზე იქნებოდა ვადის გადაცილება (სკ-ის მე-400 მუხლის ბ) პუნქტი). დამატებით, გ-ს ვადის გადაცილების დადგომისას თავისი გაფრთხილებით ასევე უნდა განესაზღვრა ვადა, რათა შესრულებულიყო სკ-ის 394-ე

მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინაპირობა. თუმცა აღნიშნული აზრს მოკლებულია, ვინაიდან, რადგან სურათი განადგურებული იყო, ვადის განსაზღვრა არაფერს შეცვლიდა. ამ ნორმის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მოვალისათვის თვალსაჩინო გახდეს ის გარემოება, რომ ხელშეკრულება დარღვევის პირასაა. ეს პრაქტიკულად „გამაფრთხილებელი გასროლაა“, რომლის შედეგადაც მოვალემ უნდა მიმართოს ყველა ზომას თავისი ვალდებულების შესასრულებლად. თუ აღნიშნული აშკარად ზედმეტია, რადგან, როგორც ჩვენს შემთხვევაში, შესრულების განხორციელება შეუძლებელია, არც ვადის განსაზღვრაა კრედიტორის მიერ საჭირო. აღნიშნული საკმაოდ აშკარად გამომდინარეობს სკ-ის 394-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან. თუმცა, თუ ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის, მაშინ ასევე აზრს კარგავს, მოვთხოვოთ კრედიტორს, გამოიწვიოს მოვალის მიერ ვადის გადაცილება.

შესაბამისად, სკ-ის 394-ე მე-3 ნაწილის გამოყენებით (მე-5 მუხლის I ნაწილი) მოვალის გაფრთხილება საჭირო არ არის, როდესაც მას შედეგი არ ექნება. აღნიშნული ყველა იმ შემთხვევაში ივარაუდება, როდესაც მოვალეს შესრულების განხორციელება არ შეუძლია ან თუ მოვალე თვითონ განმარტავს, რომ იგი ვალდებულებას არ შეასრულებს.

ვინაიდან სურათი განადგურდა, ანუ, ს-ს შესრულება არ შეეძლო, სახეზეა გაფრთხილების გარეშე ვადის გადაცილება და ვადის განსაზღვრა სკ-ის 394-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საჭირო აღარ არის.

მაგრამ საკითხავია, თუ რა შედეგი მოყვება იმ გარემოებას, რომ ს-ს არ მიუძღვის ბრალი სურათის განადგურებაში. სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის მე-2 წინადადებისაგან განსხვავებით, მეორე ნაწილი არ ითვალისწინებს მოვალის გამართლების შესაძლებლობას.

აღნიშნული შესაძლებლობის მოწესრიგება კანონმდებელმა სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილში აშკარად არასაჭიროდ ჩათვალა, ვინაიდან მან მოვალის მიერ ვადის გადაცილების აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტი ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობად განსაზღვრა. ვადის გადაცილება არ არის სახეზე, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამონკვეულია ისეთი გარემოებებით, რომელზეც მოვალე პასუხს არ აგებს (სკ-ის 410-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში ეს ასეა, რადგანაც ავარია ს-ს ბრალით არ გამოწვეულა და არც სხვა გარემოებიდან გამომდინარეობს, თუ



როგორ შეეძლო ს-ს აღნიშნული შემთხვევის თავიდან აცილება. შესაბამისად გ-ს არ შეუძლია ს-სგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მას გააჩნია მხოლოდ მოთხოვნა დ-ს მიმართ დელიქტიდან (სკ-ის 992-ე მუხლი; იხ., აგრეთვე, ქვემოთ II. 2, ა.).

#### დ. მოვალის მიერ ვადის გადაცილება

სკ-ის მეორე თავი, სახელწოდებით – მოვალის მიერ ვადის გადაცილება, შეიცავს კრედიტორის მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკვებით თავისებურ, დამოუკიდებელ წესებს (სკ-ის მე-400-ე მუხლიდან). აქ განსაზღვრულია ორი მოთხოვნის საფუძველი, რომელიც კრედიტორს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია, გარკვეული მოთხოვნების უფლებებს ანიჭებს<sup>26</sup>. ორივე მოთხოვნის საფუძვლის წინაპირობაა მოვალის მიერ ვადის გადაცილება. ამიტომ, მოსამართლემ, რომელმაც უნდა განიხილოს ამ ნორმაზე დაყრდნობილი მოთხოვნის საკითხი, უნდა შეამოწმოს, აქვს თუ არა ადგილი მოვალის მიერ მოქმედების შესრულების ვადის გადაცილებას.

სკ-ის მე-400 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა არის ვადის გადაცილება, მაგრამ ეს განსაზღვრება არასრულყოფილია. აქ ჩამოთვლილ წინაპირობებთან ერთად (დადგენილ დროში ვალდებულების შეუსრულებლობა გაფრთხილების მიუხედავად) ასევე მოცემული უნდა იყოს მოვალის ბრალიც. ეს გამომდინარეობს სკ-ის 401 მუხლიდან, რომლის მიხედვითაც ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. თუ რა არის მოვალის ბრალი, ამას სკ-ის 395-ე მუხლი განსაზღვრავს, კერძოდ, განზრახვა და გაუფრთხილებლობა<sup>27</sup>.

გარდა ამისა, სკ-ის 401-ე განსაზღვრავს, რომ პროცესზე მტკიცების ტვირთი ვადის გადაცილებაში მისი ბრალის გამორიცხვასთან დაკავშირებით მოვალეს აკისრია და გათვალისწინებული იქნება შესაგებლის

<sup>26</sup> სკ-ის 403-ე მუხლის მე-2 ნაწილი: ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტის გადახდის მოთხოვნა, სკ-ის 404-ე მუხლი: ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

<sup>27</sup> სკ-ის 402-ე მუხლის მეორე წინადადება ითვალისწინებს მხოლოდ პასუხისმგებლობის გაძლიერებას იმ შემთხვევისათვის, როცა უკვე საუბარია ვადის გადაცილებაზე.

სახით (როგორც სკ-ის 394 მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში). აქედან გამომდინარეობს ასევე ის გარემოებაც, რომ მოვალე საერთოდ პასუხს აგებს ვალდებულების არადროულ შესრულებაზე, განსაკუთრებით კი მისი არასათანადო გადახდისუნარიანობა არ წარმოადგენს მოვალისათვის შემამსუბუქებელ გარემოებას.

მაგალითად, თუ მოვალე დროულად ვერ ასრულებს ვალდებულებას, რადგან თავისმა მიმწოდებელმა დაგვიანებით მიანოდა საქონელი, მას იმ შემთხვევაში ეხსნება პასუხისმგებლობა, თუ ამ ფაქტის წინასწარ განსაზღვრა სათანადო განსჯის შედეგადაც კი შეუძლებელი იყო. ის, რომ მიმწოდებელმა შეიძლება დააგვიანოს საქონლის მიწოდება, ისეთი ტიპიური რისკის ფაქტორია, რომელიც გადამყიდველმა უნდა გაითვალისწინოს. ასეთ შემთხვევებში მოვალე ბრალისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, როცა საუბარია გაუთვალისწინებელ და თავიდან აუცილებელ ბუნების მოვლენებსა და ოფიციალურ, სახელმწიფო შეზღუდვებზე (იმპორტის უცაბედი, გაუთვალისწინებელი აკრძალვა).

თეორიულად, არადროული შესრულებით გამონვეული ზიანი სკ-ის მუხ. 394 1-ლ ნაწილზე დაყრდნობით დასაბუთდება, რადგან მიწოდება ვადის გადაცილებით ამ ნორმით გათვალისწინებულ ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. ამიტომ სკ-ის 404-ე მუხლის გამოყენება, პრინციპში, ზედმეტია. მაგრამ სპეციალურობის პრინციპიდან გამომდინარე<sup>28</sup>, შესრულების ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანის განხილვისას უნდა მოხდეს სკ-ის 404-ე მუხლის გათვალისწინება.

შესრულების ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება მოიცავს ყველა იმ ზიანს, რომელიც წარმოიქმნა ვალდებულების დაგვიანებითი შესრულებით. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება რთული იყოს შესრულების ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანისა და „შესრულების მაგვირად ზიანის ანაზღაურების“ (შესრულებლობით გამონვეული ზიანი) გამოიჯენა.

<sup>28</sup> შეადარეთ სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, ანალოგიით.

### მაგალითი 11:

კ ვაჭრობს კასრებით. იგი პირველ მარტს ბ-სთან დებს შეთანხმებას 50 ხის კასრის ყიდვასა და მათი 1-ლ აპრილამდე მიწოდების შესახებ. 15 მარტს გამოჩნდება დაინტერესებული მყიდველი (ც), რომელიც კასრების 4 აპრილს მიწოდების შემთხვევაში, მას ბ-სთან შეთანხმებულ ფასზე  $1 \frac{1}{2}$ -ჯერ მეტ თანხას სთავაზობს. 29 მარტს ბ-ს განზრახული ჰქონდა კ-სთვის კასრების მიწოდება, მაგრამ ტრანსპორტირებისას მომხდარი ავარიის შედეგად საქონელი დაზიანდა. ბ აცხადებს, რომ ვერ შეძლებს დათქმულ ვადაში ახალი კასრების მიწოდებას. ც-სთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად კ ყიდულობს კასრებს ფ-სგან, რომელსაც იგი  $\frac{1}{4}$ -ით მეტ თანხას უხდის, ვიდრე მას ც-სთან ჰქონდა შეთანხმებული. კ ითხოვს ბ-სგან მიყენებული ზიანის (შეთანხმებული ფასის  $\frac{1}{4}$ ) ანაზღაურებას.

### ამოხსნა:

მოთხოვნის საფუძველს, შესაძლოა, სკ-ის 404-ე მუხლი წარმოადგენდეს: ბ-ს პირველ აპრილს უნდა მიეწოდებინა კასრები. აქედან გამომდინარე, 2 აპრილს ადგილი აქვს სკ-ის მე-400 მუხლით ა) პუნქტით გათვალისწინებულ ვადის გადაცილებას, რადგან დათქმულ ვადაში არ შესრულდა ვალდებულება. ბ პასუხისმგებელია ტრანსპორტირებაზე და აქედან გამომდინარე, ვალდებულია, გაითვალისწინოს ეს ფაქტორი თავისი საქმიანობის ფარგლებში შესაბამისი ორგანიზაციული ზომების მიღებისას. ამიტომ, ვადის გადაცილების ფაქტორისათვის არც იმ გარემოებას ექნებოდა გამომწვევითი მნიშვნელობა, რომ ავარია არ ყოფილიყო ბ-ს ბრალით გამოწვეული. საკითხავია, წარმოადგენს თუ არა ვალდებულების დასაფარად შესრულებული ნასყიდობით გამოწვეული ზიანი ვადის გადაცილებით გამოწვეულ ზიანს სკ-ის 404-ე გავებით. ვალდებულების დასაფარად შესრულებული ნასყიდობა ვადის გადაცილების კაუზალური შედეგია, რადგან რომ მომხდარიყო შეთანხმებულ ვადაში საქონლის მიწოდება,

მაშინ კ-ს აღარ დასჭირდებოდა ფ-სგან კასრების შექმნა. მაგრამ ვალდებულების დასაფარად შესრულებული ნასყიდობა არ წარმოადგენს მიწოდების ვადის გადაცილების უშუალო, პირდაპირ შედეგს, არამედ იგი ბ-ს შეუსრულებლობის შედეგია. კერძოდ, ბ-ს რომ ჰქონოდა კ-სთვის სხვა კასრების მიწოდების საშუალება, მაშინაც ადგილი ექნებოდა მიწოდების ვადის გადაცილებას, მაგრამ კ-ს მაინც ექნებოდა შესაძლებლობა, შეესრულებინა ც-სთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და არ იქნებოდა დამოკიდებული ვალდებულების დასაფარად შესრულებულ ნასყიდობაზე. აქედან გამომდინარე, კ-ს ბ-ს მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვერ დაეყრდნობა სკ-ის 404-ე მუხლს, იგი წარმოადგენს „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, ვალდებულების შესრულების ნაცვლად“ სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების მიხედვით. ეს წინაპირობები ამ შემთხვევაში მოცემულად ჩაითვლება, რადგან ბ-ს მიერ შესრულებაზე უარის თქმა (მან განაცხადა, რომ ვერ შეძლებს შეთანხმებულ ვადაში საქონლის მიწოდებას) გამორიცხავს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დროის დანიშვნის საჭიროებას.

ამ შემთხვევაში, კასრების დაზიანებიდან გამომდინარე არ უნდა ავყვეთ ცდუნებას და მოთხოვნა არ უნდა დაეფუძნოს სკ-ის 404-ე ი) პუნქტს სკ-ის 494-ე მუხლთან მიმართებაში. თუმცა კასრები დაზიანების შედეგად ნაკლის მქონეა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ავარია არ ყოფილა გამონვეული ბ-ს ბრალით, მას შეუძლია თავი იმართლოს იმით, რომ ვალდებულების დარღვევაში (კასრების დაზიანება) ბრალი არ მიუძღვის და ამით მოეხსნას პასუხისმგებლობა (სკ-ის 394-ე მუხლის 1 ნაწ. 1 ნინადადება). ასეთი განსხვავებული შედეგების მიღება შეგვიძლია ავიცილოთ თავიდან, თუ მოხდება არაჯეროვანი შესრულებისა და ვადის გადაცილების მკვეთრი გამიჯვნა.

## ე. კერძო ნაწილის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების განმსაზღვრელი ზოგადი წესების გარდა, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი მოიცავს ასევე ზიანის ანაზღაურების სპეციალურ ნორმებს, რომლებიც, როგორც წესი, დაკავშირებული არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის მხარეთა მიერ შესრულების ვალდებულებასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადად საქმე გვაქვს უზრუნველყოფის განმსაზღვრელ წესებთან. აქაც მოქმედებს ზემოთ აღნიშნული სპეციალურობის პრინციპი, ანუ, კერძო ნაწილის უზრუნველყოფის განმსაზღვრავ უფრო სპეციალურ ნორმებს უპირატესობა ენიჭებათ სკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებთან მიმართებაში.

### *მაგალითი 12:*

*ლ დაავალებს გადამზიდველს - უ-ს შუშის ბოთლების თბილისში გადაზიდვას. უ-ს მიერ დაქირავებული მძღოლის დაუკვირვებლობის გამო, სატვირთო მანქანა გზიდან გადაუხვევს და ტვირთი იმსხვრევა. ლ ითხოვს ზიანის ანაზღაურებას.*

### *ამოხსნა:*

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს სკ-ის 686-ე მუხლის I ნაწილი წარმოადგენს. ამის პირველი წინაპირობაა გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობა სკ-ის 686-ე მუხლის გაგებით. რადგან უ-მ აიღო შუშის ბოთლების თბილისში გადაზიდვის ვალდებულება, ეს წინაპირობა მოცემულად ჩაითვლება.

შემდეგი წინაპირობა მოიცავს ტვირთის დაზიანებას მისი მიღებიდან გადაზიდვამდე, რაც ამ შემთხვევაში ასევე მოცემულია. რადგან აქ არ გვაქვს საქმე სკ-ის 686-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევასთან, ამიტომ იმის შემონმების გარეშე, თუ რატომ

გადაუხვია ფ-მ გზიდან, უ პასუხს აგებს ზიანზე. მის ბრალეულობაზე იგი პასუხს აგებს სკ-ის 396-ე მუხლის თანახმად.

**ვარიაცია:**

ლ-მ უ-ს მაგივრად გადამზიდველ ს-ს დაავალა მოქმედების შესრულება, რომელმაც თავის მხრივ უ-ს დაავალა ამ მოქმედების შესრულება.

**ამოხსნა:**

აქ ვერ განიხილება ლ-ს პირდაპირი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება უ-ს მიმართ, რადგან ლ-მ ხელშეკრულება დადო ს-სთან და არა უ-სთან. რადგანაც ექსპედიციის სამართალში (სკ-ის 730-ე მუხლიდან) არ არსებობს გადამზიდველის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი წესების მსგავსი ნორმა, რომლის მიხედვითაც ექსპედიტორი პასუხს აგებს დამკვეთის წინაშე, უნდა დავეყრდნოთ სკ-ის 394 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ ზოგად ნორმას. საკითხავია, მოცემულია თუ არა ამ ნორმით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა. ექსპედიტორის ვალდებულებანი გამომდინარეობენ სკ-ის 730-ე და 731-ე მუხლებიდან. ისინი კონკრეტულად არ მოიცავს გადაზიდვის შესრულებას, არამედ მხოლოდ სათანადო სატრანსპორტო ორგანიზაციის შერჩევაში მდგომარეობს. ექსპედიტორი არ აგებს პასუხს გადამზიდვის ვალდებულების შესრულებაზე; სკ-ის 740-ე მუხლი გულისხმობს მხოლოდ წარმომადგენელს, რომელსაც დაევალია ექსპედიტორის ვალდებულების შესრულება. ამიტომ, თუ უ, რომელსაც ანდეს ტვირთის გადაზიდვა, სარგებლობდა სანდო, დასაყრდენი ადამიანის რეპუტაციით, მაშინ არ განიხილება ს-ს პასუხისმგებლობის საკითხი.

საბოლოოდ, უნდა მოხდეს უ-ს წინააღმდეგ არსებული მოთხოვნების ს-ს მიერ ლ-სთვის დათმობა (სკ-ის 741-ე მუხლი).

#### 4. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი შედეგი

სკ-ის 408–415-ე მუხლებით განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი შედეგი, რომლის გამოყენების წინაპირობაა ასეთი მოთხოვნის არსებობა.

##### ა. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა და კაუზალურობა

სკ-ის 412-ე მუხლი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის განმსაზღვრელ წესს. ძირითადად, ხდება მხოლოდ მოვალის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. გამოწვევა აქ გულისხმობს ე.წ. ბუნებრივ მიზეზ-შედეგობრიობას, კაუზალურობას (კაუზალურია ყველაფერი ის, რისი შეცვლითაც ასევე იცვლება გამოწვეული შედეგიც).

ზიანის შედეგის ასე ფართო გავრცობის გამო, სკ-ის 412-ე მუხლი შემდეგ შეზღუდვას ითვალისწინებს: ერთი მხრივ, ხდება მხოლოდ პირდაპირ, უშუალოდ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საკითხავია, ამ შეზღუდვით გამოირიცხება თუ არა არაპირდაპირი შედეგები.

##### *მაგალითი 13:*

*ფ-მ ს-სთან ერთად ტაქსით მგ ზავრობისას, ს-ს მიერ გამოწვეული ავარიის შედეგად ფეხი მოიტეხა. იგი მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც გაუკეთდა ფეხის ოპერაცია. ამის შემდეგ მოხდება ქრილობაში ინფექციის შეჭრა, რომელსაც მოგვიანებით აღმოაჩენენ. განვითარებული განგრენის გამო, საჭიროა ფეხის ამპუტაცია. ამას გარდა ფ ვერ ახერხებს ლატარიის ბილეთის ჩაბარებას და კარგავს მთავარ მოგებას. აგებს თუ არა ს პასუხს ამ შედეგებზე?*

*ამოხსნა:*

თუ სკ-ის 412-ე მუხლს სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, მაშინ გამოირიცხება ფეხის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რადგან იგი ავარიის არაპირდაპირ შედეგს წარმოადგენს; ამის პირდაპირი გამომწვევი მიზეზი იყო ინფექცია. ამ ნორმის ვიწრო გაგებით, კი, საერთოდ შეიძლება ს-ს პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება, რადგან მას ფეხი აღარ აქვს და ამიტომ, აღარ განიცდის მოტეხილობის შედეგად მიყენებულ ტკივილებს. ეს მსჯელობა, რომ არასწორია, ეს იოლი დასადგენია. „უშუალო“ სკ-ის 412-ე მუხლის გაგებით, უნდა განიმარტოს ამ ცნების აზრისა და მიზნის გათვალისწინებით. ამ ნორმას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ აქ უნდა მოხდეს ზიანის ისეთი შედეგების განცალკევება, რომლებიც კაუზალურ კავშირში არიან ზიანის გამომწვევ მოვლენასთან (რადგან ეს შედეგები არ გვექნებოდა ამ მოვლენის გარეშე), მაგრამ მათი შეფასებისას ირკვევა, რომ ისინი არანაირად არ არიან დაკავშირებულნი ზიანის გამომწვევ მოვლენასთან.

ამ შემთხვევაში, ფეხის ამპუტაცია პირდაპირ კავშირშია ფ-ს ს-ს მიერ დაზიანებასთან. ს-ს მიერ ფ-ს ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად წარმოიქმნა ოპერაციის შემდგომი ინფექციის საშიშროება. ამიტომ, ს-მ ამ ზიანზეც უნდა აგოს პასუხი.

ეს არ ეხება ლატარიის მოგების დაკარგვასაც. ავარიის შედეგად არ წარმოქმნილა იმის საკმარისად დიდი საშიშროება, რომ ფ ველარ შეძლებდა ლატარიაში მონაწილეობის მიღებას. ამიტომ, არ იქნება მართებული, ს-სთვის ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრება.

მეორე მხრივ, ზიანის გავრცელების წინაპირობაა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანის არსებობა. ეს წინაპირობა უნდა განიხილოს ამ ნორმით გათვალისწინებული დაცვის ფუნქციის ქრილში. ეს არ გულისხმობს კონკრეტული მოვალის პერსპექტივას, არამედ საუბარია ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ განხილვაზე, ანუ, ზოგადად, გონიერი და შეგნებული მოვალის პერსპექტივაზე. ამ კრიტერიუმებსაც მივყავართ ზემოთ აღნიშნულ დასკვნებამდე: ლატარიის ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა და ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურება,



რადგან შეგნებული მოვალისათვის გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საავადმყოფოში ჩატარებულ ოპერაციას შეიძლება მწვავე შედეგები მოჰყვეს.

### **ბ. რესტიტუცია და თანხის ანაზღაურება**

მოვალე ვალდებულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით ანაზღაუროს ზიანი (სკ-ის 408-ე მუხლის 1 ნაწილი). სკ-ის 409-ე მუხლის სისტემატიკის თანახმად და მისი სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად შესაძლოა ზიანის ანაზღაურება მდგომარეობდეს თანხის ანაზღაურებაში, თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა სხვა შემთხვევაში არ შეიძლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ფულადი ანაზღაურების სახით.

თუ, მაგალითად, მოვალემ ისე დააზიანა ველოსიპედი, რომ შესაძლებელია მისი შეკეთება, მაშინ კრედიტორმა მას თავდაპირველად მისი შეკეთება უნდა სთხოვოს. თუ მოვალე არ შეასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ კრედიტორს შეუძლია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 86-ე მუხლის თანახმად, მოითხოვოს უფლება, რომ თავად შეასრულოს ეს მოვალეობა მოვალის ხარჯზე. ხოლო თუ მოვალე თავად უზრუნველყოფს შეკეთებას, არ არის გამორიცხული, რომ სადავო გახდეს, მოხდა თუ არა ზიანის აღმოფხვრა ხარისხიანად და წესიერად.

აქედან გამომდინარე, სკ-ის 408-ე მუხლი უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში მოვალე ვალდებულია, გაიღოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯები (თანხა). სკ-ის 409-ე მუხლიდან გამომდინარეობს ასევე ის, რომ მოვალეს აქვს უფლება, უზრუნველყოს ფულადი ანაზღაურება, თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა არათანაზომიერად დიდ დანახარჯებს მოითხოვს (მაგალითად: მოვალე შემთხვევით ჩააგდებს ზღვაში კრედიტორის ბეჭედს. სკ-ის 409-ე მუხლის არარსებობის შემთხვევაში, კრედიტორს შეეძლო მისგან მოეთხოვა ზღვის ფსკერიდან ბეჭდის ამოღება; აქ მოვალეს უფლება აქვს, გაუწიოს კრედიტორს ფულადი ანაზღაურება).

## **B. კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლები**

### **1. ზოგადი მიმოხილვა**

კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლებზე საუბარია მაშინ, როცა მოცემულია გარკვეული კანონისმიერი წინაპირობანი, რომლებიც არ წარმოადგენენ მხარეთა ხელშეკრულებით დადებული შეთანხმების საგანს. თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული ურთიერთობანი არ გამორიცხავენ პარალელურად კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლების განხილვას. ასეთ შემთხვევაში საუბარია მოთხოვნათა კონკურენციაზე კანონისმიერ და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნის საფუძვლებს შორის.

#### *მაგალითი 14:*

ა თავის მანქანას ათხოვებს ბ-ს, რომელიც ბრალეულად გამოიწვევს მძიმე ავარიას. რადგან ბ თავს უხერხულად გრძნობს და ამასთან ფინანსურადაც შეზღუდულია, იგი მეტად უხარისხოდ შეაკეთებინებს მანქანას. იგი ა-ს ამის შესახებ არაფერს ეტყვის, რომელმაც ვერაფერი შეამჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაკლი ადვილი შესამჩნევი იყო.

როცა ა-ს ოთხი წლის შემდეგ უნდა მანქანის გაყიდვა და ამასთან დაკავშირებით იგი შეამოწმებინებს ავტომობილს, ყველაფერი ირკვევა. ა ითხოვს ბ-სგან ზიანის ანაზღაურებას.

ბ, რომელიც სხვა მიზეზების გამო ა-სთან ნაჩხუბარია, აცხადებს, რომ „ამდენი წლის შემდეგ“ აღარ უნდა აღარაფრის გაგონება. მართალია თუ არა?

#### *ამოხსნა:*

(1) ა-ს შესაძლოა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 408-ე, 409-ე, 394-ე, 615-ე და 618-ე მუხლების თანახმად:

ამის ნორმების მიხედვით, თხოვების ხელშეკრულების თანახმად გამნათხოვრებელს შეუძლია მოსთხოვოს მონათხოვრეს ზიანის ანაზღაურება, თუ ეს უკანასკნელი დაარღვევს თხოვების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

მოცემულია აქ თუ არა თხოვების ხელშეკრულება, თუ საუბარია მხოლოდ ე.წ. მეგობრულ ურთიერთობაზე ყოველგვარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების გამორიცხვით, რთული დასადგენია, რადგან საქმე გვაქვს უსასყიდლო ხელშეკრულებასთან. ძირითადად მხარეები ხაზგასმით არ თანხმდებიან ამ გარემოებაზე, მით უფრო კი წერილობით. სამართლებრივად არასავალდებულო, მეგობრული ურთიერთობებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმების ერთმანეთისაგან გამიჯვნა დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევასა და განმარტებაზე: სკ-ის 337-დან 340-მდე მუხლები გასათვალისწინებელია არა მხოლოდ იმის გარკვევისას, თუ რა შინაარსის არის ხელშეკრულება, არამედ მაშინაც, როცა ხდება იმის გარკვევა, დაიღო თუ არა საერთოდ რაიმე ხელშეკრულება. ყოველ შემთხვევაში, ეს ნორმები ანალოგიურად უნდა იქნენ გათვალისწინებულნი.

ზემოთ მითითებულის გამიჯვნისას ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია საკითხის მატერიალური მნიშვნელობა: რაც უფრო მნიშვნელოვანია იგი, მით უფრო შეგვიძლია საუბარი სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. ასე, რომ, შესაძლებელია აბსოლუტურად მსგავსი მოქმედებების სხვადასხვაგვარად შეფასება: თხოვნა, სრულიად უმნიშვნელო მისალოცი ბარათის ფოსტაში წაღებასთან დაკავშირებით სხვაგვარად შეფასდება, ვიდრე საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმიანი წერილის გაგზავნის თხოვნა.

ამ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება მანქანას, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულ ნივთს წარმოადგენს, ეს თუნდაც მეგობრული ურთიერთობის ფარგლებშიც ჩაითვლება უსასყიდლო თხოვების ხელშეკრულებად.

სკ-ის 618-ე მუხლის თანახმად, მონათხოვრეს შეუძლია ნათხოვარი ნივთით მხოლოდ ისე ისარგებლოს, როგორც ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. თუ რას ნიშნავს ეს, უნდა განიხილოს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – განმარტების საფუძველზე კონკრეტულ შემთხვევაში. ის კი შეიძლება ითქვას, რომ

მონათხოვრეს არ აქვს უფლება მანქანით ბრალეულად მოახდინოს ავარი. ხოლო თუ ეს მოხდება, ამით იგი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას და პასუხს აგებს ზემოთ აღნიშნული ზიანის ანაზღაურების განმსაზღვრელი ნორმების თანახმად, ხოლო სკ-ის 409-ე მუხლის მიხედვით კი, უზრუნველყოფს ფულად ანაზღაურებას.

ბ ამ შემთხვევაში მიუთითებს ხანდაზმულობაზე (სსკ-ის 128-დან 146-ე მუხლამდე). მართალია ბ ამას სიტყვა-სიტყვით არ აცხადებს, მაგრამ მისი მინიშნება დიდი დროის გასვლასთან დაკავშირებით ამ კუთხით უნდა იქნეს გაგებული. მხარეთა ასეთი განცხადებებიც ასევე ზემოთ აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით უნდა განიმარტოს (უნდა მოხდეს მათი ინტერპრეტაცია).

სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს (სკ-ის 129-ე მუხლი). ეს ვადა მოიცავს როგორც ძირითადი ვალდებულების შესრულების პირველად მოთხოვნას, ასევე მეორად მოთხოვნებსაც, რომლებიც უკავშირდებიან, მაგალითად, ზიანის ანაზღაურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, როგორც ჩვენს მაგალითში.

თუ გავითვალისწინებთ ასევე სკ-ის 130-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მივდივართ დასკვნამდე, რომ აქ ხანდაზმულობის ვადა გასულია. ავარიის შედეგები ადვილად შესამჩნევი იყო; ამიტომ, მანქანის უკან დაბრუნებით დაიწყო ხანდაზმულობის ვადის დენა, რომელიც დასრულდა სამი წლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ბ-ს შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე და შესაბამისად არ უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელი.

(2) ა-ს დელიქტის საფუძველზე სხვა მოთხოვნაც გააჩნია: სკ-ის 992-დან 1008-ე მუხლამდე და ასევე შესაბამისი ზიანის ანაზღაურების განმსაზღვრელი ზოგად-სამართლებრივი დებულებები (სკ-ის 408-დან 425 მუხლამდე).

ამ ნორმების მიხედვით, პირი, რომელიც ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი.

არის თუ არა მოქმედება მართლსაწინააღმდეგო, ეს კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიხილოს.

მოქმედება შეიძლება მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვალოს,

– თუ იგი ობიექტურად მიმართულია რომელიმე კანონისმიერი აკრძალვის ნორმის წინააღმდეგ (აკრძალულია უცხო ნივთების დაზიანება, რაზეც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელი);

– ან მოქმედება არღვევს სხვა ვალდებულებებს, განსაკუთრებით კი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (მონათხოვრე ვალდებულია, სათანადოდ მოუაროს ნათხოვარ ნივთს და არ დააზიანოს იგი – სკ-ის 618-ე მუხლი);

– ასევე საგანგებოდ დაცული უფლებების დარღვევისას (სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა, საკუთრება, საერთო პირადი უფლებები): ასეთი დარღვევებისას ძირითადად საუბარია მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე; ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედმა პირმა უნდა წარადგინოს გასამართლებელი საფუძველი<sup>29</sup>.

ჩვენს მაგალითში სამივე შემთხვევა მოცემულია და შესაბამისად დადგენილია მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი მესამე ელემენტის დასადგენად უნდა გაირკვეს ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის საკითხი. საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, ეს უკანასკნელიც მოცემულად ჩაითვლება.

შესაბამისად მოცემულია დელიქტით გამოწვეული მოთხოვნის საფუძვლის ყველა წინაპირობა. აქედან გამომდინარე, ა-ს ამ მოთხოვნის უფლებაც მიეკუთვნება.

ბ ამ შემთხვევაშიც მიუთითებს ხანდაზმულობაზე: სკ-ის 128-დან 146-ე მუხლამდე.

სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა, განსაკუთრებით კი, კანონისმიერი მოთხოვნების ვადა, შეადგენს 10 წელს. ეს ვადა მოცემულ მაგალითში ჯერ არ გასულა. თუმცა სკ-

<sup>29</sup> შეადარეთ სკ-ის 116-დან 118-ე მუხლამდე. მტკიცებულებისა და წარდგენის ტვირთთან დაკავშირებით, შეადარეთ სკ-ის 993-ე მუხლი.

ის 1008-ე მუხლი განსაზღვრავს განსხვავებულ წესს, რომელსაც სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უპირატესობა გააჩნია სხვა ნორმების მიმართ: ამ ნორმის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

სკ-ის 130-ე მუხლისაგან განსხვავებით, აქ საუბარია რეალურ ცოდნაზე (შეიტყო) და არა შეტყობის უბრალო შესაძლებლობაზე. ჩვენს შემთხვევაში ა-მ ავარიიდან ოთხი წლის შემდეგ შეიტყო ზიანის შესახებ.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დელიქტით გამონვეული მოთხოვნის უფლება არ არის ხანდაზმული.

სახელმწიკრულებო მოთხოვნათა განმსაზღვრელი წესების დელიქტურ სამართალზე ანალოგიით გამოყენება სკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, დაუშვებელი უნდა იყოს სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის განსაზღვრებიდან გამომდინარე (სპეციალური ნორმის უპირატესობა).

### *შედეგი:*

რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის თავმოყრის შემთხვევაში (მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია), მოსამართლემ იმ შემთხვევაში უნდა შეამოწმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან არასრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შედეგს. იგივე ევალება მას, როცა რომელიმე მოთხოვნის საფუძვლის წინაპირობა სადავო ხდება და აქედან გამომდინარე, საჭიროებს მტკიცებულებების მიღებას, როცა სხვა მოთხოვნის საფუძვლის განხილვის შემთხვევაში ეს არ იქნებოდა საჭირო, რადგან ამ უკანასკნელის წინაპირობები არ არის სადავო<sup>30</sup>.

<sup>30</sup> შეადარეთ ბოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის, პირველი ნაწილი, 6.

## 2. ცალკეული კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლები:

### ა) დელიქტი – სკ-ის 992-ე მუხლიდან 1008-ე მუხლამდე

ზემოთ მოყვანილ მაგალითში განვიხილეთ მნიშვნელოვანი მოთხოვნის საფუძვლის – დელიქტური ვალდებულების წინაპირობანი.

აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამ შემადგენელ ელემენტს:

- მოქმედება
- მართლწინააღმდეგობა
- ბრალეულობა.

ერთი შეხედვით შეიძლება ეს სამი ნიშანი (ელემენტი) მოცემულად მივიჩნიოთ, მაგრამ ხშირად ეს ასე არ არის.

შემდეგში მოყვანილი მაგალითები ამას უფრო ნათელს გახდიან:

#### *მაგალითი 15:*

*ველოსიპედისტ ა-ს უკნიდან მთვრალი მძღოლი ბ დაეჯახება და წააქცევს. დარტყმის შედეგად ველოსიპედი მოხვდება ც-ს ვიტრინის მინას და დაამსხვრევს მას. ბ გაიქცევა. ც ითხოვს ა-სგან ზიანის ანაზღაურებას.*

#### *ამოხსნა:*

(1) დელიქტით გამოწვეული მოთხოვნების განხილვა – სკ-ის 992-ე მუხლი. სანამ მოხდება იმის განხილვა, იმოქმედა თუ არა ა-მ მართლწინააღმდეგოდ და ეკისრება თუ არა მას ბრალი, უნდა გაირკვეს, მოცემულია თუ არა საერთოდ რაიმე მოქმედება. მოქმედება გულისხმობს გარკვეულ გაცნობიერებულ, შეგნებულ ან ნებიერად შესრულებულ ქცევას, ქმედებას. გაუცნობიერებელი და რეფლექსური ქცევა მოქმედებად არ მიიჩნევა.

(2) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აქ არ არის მოცემული მოქმედება; ა მხოლოდ დარტყმის შედეგად გახდა მოქმედების ობიექტი, რაზეც

მას გავლენა არ მოუხდენია. ასე, რომ, დელიქტიდან გამომდინარე, იგი არ აგებს პასუხს. მოთხოვნის, ანუ, ვალდებულების განხილვა ამ ნორმის ნორმის აღწერილობითი ნაწილის პირველივე შემადგენელი ელემენტის შემოწმებისას მთავრდება. ახლა უკვე უმნიშვნელოა მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის განხილვა.

(3) შესაძლებელია, სკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის განხილვა (შეადარეთ ქვემოთ აღნიშნული ვარიაცია): ასევე ამ მოთხოვნის საფუძვლის წინაპირობაა იმ პირის მოქმედება, რომელსაც წაეყენება მოთხოვნა (აქ: ა). ეს ნორმა დელიქტისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ იგი არ ითვალისწინებს ზიანის მიმყენებელი პირის მართლწინააღმდეგო მოქმედებას. მაგრამ მოქმედება, როგორც აღვნიშნეთ, აქაც მოთხოვნის საფუძვლის წინაპირობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ც ვერც ამ ნორმაზე დაამყარებს თავის მოთხოვნას.

ვარიაცია:

ა ხედავს მისკენ დიდი სიჩქარით მომავალ ბ-ს. იგი შეგნებულად გადაუხვევს გზიდან თავისი ველოსიპედით, ადის ტროტუარზე და ბტება ველოსიპედიდან.

ველოსიპედი ვარდება და ეცემა:

ა. ც-ს ვიტრინას და ამსხვრევს მას

ბ. ფეხით მოსიარულეს – დ-ს და აზიანებს მას.

ც და დ ითხოვენ ა-სგან ზიანის ანაზღაურებას.

ამოხსნა:

(1) დელიქტით გამონვეული მოთხოვნები (სკ-ის 992-ე მუხლი)?

ამ შემთხვევის თავდაპირველი ვერსიისაგან განსხვავებით, აქ მოცემულად მიიჩნევა ა-ს მოქმედება. მისი „შეგნებული“ გადახვევა გზიდან მიუთითებს ამ მოქმედების შეგნებულად წარმართვაზე.



ამასთან საჭიროა, რომ მისი მოქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო. საგანგებოდ დაცული უფლებების დარღვევისას, როგორცაა – საკუთრება, სიცოცხლე და მესამე პირის ჯანმრთელობა, ძირითადად საუბარია მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე, თუ გამოწვევის შემთხვევაში არ არსებობს მისი გასამართლებელი მიზეზი. აქ დაზიანდა ც-ს საკუთრება და დ-ს ფიზიკური ჯანმრთელობა.

შესაძლებელია სკ-ის 117-ე მუხლი ამ შემთხვევაში წარმოადგენდეს გასამართლებელ საფუძველს. ეს ნორმა სიტყვა-სიტყვით არ განსაზღვრავს, რომი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ ეს შეგვიძლია დავასკვნათ ამ ნორმის ინტერპრეტაციითა და სკ-ის 116-ე და 118-ე მუხლებიდან გამომდინარე, რომლებიც ითვალისწინებენ ორივე გასამართლებელ მიზეზს. სკ-ის 117-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მისი პირობების შესაბამისი მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო. ეს რომ სხვაგვარად ყოფილიყო, მაშინ ზედმეტი იქნებოდა ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების განსაკუთრებული შემთხვევის განსაზღვრა, რადგანაც ეს უკვე მოცემული იქნებოდა დელიქტის განმსაზღვრავი ზოგადი ნორმების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, სკ-ის 117-ე მუხლის მიხედვით, მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, თუ ის მიმართულია რეალური საშიშროების თავიდან ასაცილებლად და მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია<sup>31</sup>.

საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, ა-ს გზიდან გადახვევასთან დაკავშირებული მოქმედება წარმოადგენს ა-სთვის საშიშროების თავიდან ასაცილებელ აუცილებელ მოქმედებას.

რაც შეეხება ამ გასამართლებელი საფუძველის მეორე წინაპირობას, აქ უნდა მოხდეს ც-სა და დ-ს ზიანის ცალ-ცალკე განხილვა:

სკ-ის 117-ე მუხლის თანახმად, გამართლებული შეიძლება იყოს მხოლოდ შედარებით ნაკლები ფასეულობის მქონე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. რაიმე ნივთის დაზიანება, ადამიანის სხეულისა და სიცოცხლისათვის შექმნილ საფრთხესთან შედარებით, ყოველთვის ნაკლები ფასეულობის მქონე სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს.

<sup>31</sup> აქ კარგად ჩანს განსხვავება აუცილებელ მოგერიებასთან (სკ-ის 116-ე მუხლი), სადაც თავიდან ასაცილებლად შესრულებული მოქმედება თავდაპირველი წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო სკ-ის 117-ე მუხლში კი – მესამე, არამონაწილე პირის საწინააღმდეგოდ.

აქედან გამომდინარე, ა არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, როცა იგი გზიდან გადახვევისას ც-ს ვიტრინას დააზიანებს. ც-ს არ აქვს დელიქტით გამოწვეული მოთხოვნის უფლება სკ-ის 992-ე მუხლზე დაყრდნობით, რადგან მართლსაწინააღმდეგო მოქმედება მოცემულად არ მიიჩნევა<sup>32</sup>.

დ-სთან მიმართებაში კი, საქმე სხვაგვარადაა: აქ ერთმანეთს უპირის-პირდება ორი ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, როგორც ორი თანასწორად ფასეული სამართლებრივი სიკეთე. ა-ს მოქმედება აქ არ არის გამართლებული და ამიტომ ის მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ საუბარია ორ პრინციპულად თანასწორ სამართლებრივ სიკეთეზე, შესაძლებელია აქაც ვიფიქროთ სკ-ის 117-ე მუხლის გამოყენებაზე, როცა სხვადასხვა მოსალოდნელი ზიანი თავისი მოცულობით განსხვავებულია.

ა-ს ბრალეულობის საკითხი მისი მოქმედებისას, რომელიც სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს, უნდა განიხილოს ცალკეული შემთხვევიდან გამომდინარე. აქ ალბათ მართებული იქნებოდა გაუფრთხილებლობაზე საუბარი. ბრალეულობა შეიძლება უარყოფილ იქნეს, თუ ა იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, ან მან დასაფრთხილებლად ვერ შეამჩნია, ან ამ უკანასკნელს მხოლოდ უმნიშვნელო ზიანი ემუქრებოდა და თუ არ იყო სხვა არჩევნის შესაძლებლობა. თუ ა-ს მოქმედებას ბრალეულად მივიჩნევთ, მაშინ იგი, ძირითადად როგორც სოლიდარული მოვალე, ზიანის ძირითად გამომწვევთან – მძღოლ ბ-სთან ერთად, პასუხს აგებს დ-ს მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე (სკ-ის 463-დან 476-ე მუხლამდე). ამასთან, დ-ს შეუძლია ცალკეულ მათგანს წაუყენოს თავისი მოთხოვნა, ანუ, მხოლოდ ა-საც (სკ-ის 463-ე მუხლი).

ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, აქვს უფლება, ბ-ს პოვნის შემთხვევაში, წაუყენოს მას უკუმოთხოვნა სკ-ის 473-ე მუხლის თანახმად. გამომდინარე იქედან რომ, ბ-ს ბევრად დიდი წვლილი მიუძღვის ზიანის გამოწვევაში, მას ა-სთან მიმართებაში, მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება (სკ-ის 473-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

<sup>32</sup> სკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, იხილეთ ქვემოთ პუნქტი (2).

(2) ც-ს, რომელსაც ზემოთ აღნიშნულის მიხედვით არ აქვს ა-ს წინააღმდეგ მოთხოვნის უფლება, რადგან არ დადასტურდა ა-ს ბრალეულობა, მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ნორმაზე დაყრდნობით (სკ-ის 117-ე მუხლი): სკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობებზე დაყრდნობით, ა მართლზომიერად მოიქცა, რადგან მან ც-ს უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე (ვიტრინის მინა სიცოცხლესა და ჯენმრთელობასთან მიმართებაში) დააზიანა. მაგრამ, რადგან საფრთხე ც-ს მხრიდან არ მომდინარეობდა, ა ვალდებულია აუნაზღაუროს მას წარმოქმნილი ზიანი. ამ უკანასკნელს ამ შემთხვევაშიც აქვს ბ-ს მიმართ უკუმოთხოვნის უფლება.

ხოლო თუ გამოვრიცხავთ დ-ს მიმართ ა-ს ბრალეულობას, რადგან ამ უკანასკნელს სიტუაციიდან გამომდინარე ასეთ მოკლე დროში არ შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა, გამოირიცხება ასევე დ-ს დელიქტით გამოწვეული მოთხოვნის უფლებაც ა-ს მიმართ.

ამ შემთხვევაში დ-საც ანალოგიურად მიეკუთვნება სკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება. თუმცა ამ ნორმის წინაპირობანი არ არის მოცემული, რადგან აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი თანასწორი სამართლებრივი სიკეთე (ა-სა და დ-ს ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა) და ა-ს არ აქვს უფლება, თავისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, დ-ს სიკეთეს მიაყენოს ზიანი. აქედან გამომდინარე, ა-ს მოქმედება მიიჩნევა არაბრალეულად, მაგრამ მართლსაწინააღმდეგოდ.

როცა კანონი ითვალისწინებს, რომ პირმა, რომელიც მოქმედებს მართლზომიერად, სკ-ის 117-ე მუხლის თანახმად მაინც უნდა აანაზღაუროს ზიანი, მაშინ ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, როცა მოქმედი პირი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს და არაბრალეულად<sup>33</sup>.

დელიქტური მოთხოვნები, ძირითადად, როგორც აღვნიშნეთ, ითვალისწინებენ სამ წინაპირობას, ელემენტს:

- მოქმედება
- მართლწინააღმდეგობა
- ბრალეულობა.

ამასთან, ძირითადად, მაგრამ არა ყოველთვის, პასუხისგება მოიცავს საკუთარ ბრალეულობას.

<sup>33</sup> კანონის ამ განმარტების მეთოდოკასთან დაკავშირებით „erst-recht-Schluss“ შეადარეთ Bölling, Georgian Law Review 2004, ...

**მაგალითი 16:**

ხელოსანს (ოსტატს) – ა-ს დაავალებენ ბ-ს სახლის გარედან შეღებვას. მუშის – ც-ს უყურადღებობის გამო, გადმოყირავდება საღებავის ვედრო და დააზიანებს გამვლელი დ-ს ტანსაცმელს, რომელიც მიმართავს უფროსს (მარნმუნებელს) – ა-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ეს უკანასკნელი კი, მოთხოვნას უარყოფს იმ განმარტებით, რომ მას თვითონ არანაირი ზიანი არ გამოუწვევია და ც-ც, საერთოდ, ყოველთვის სანდო მუშაკის სახელით სარგებლობდა, რომლის წინააღმდეგაც არასდროს გამოთქმულა არანაირი პრეტენზია.

**ამოხსნა:**

(1) ამ შემთხვევაში გამორიცხულია სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლის განხილვა, რადგან ა-სა და დ-ს შორის არ არსებობს არანაირი სახელშეკრულებო ურთიერთობა და ეს უკანასკნელი არც ა-სა და ბ-ს სამართლებრივ ურთიერთობაში ყოფილა რაიმე ფორმით გათვალისწინებული.

რადგან ა-სა და დ-ს შორის არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, ამიტომ არ მოხდება სკ-ის 396-ე მუხლის დამხმარე ნორმის გამოყენება, რომლის მიხედვითაც მარნმუნებელმა თავისი კანონიერი წარმომადგენლისა და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს: ეს ნორმა არ წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს, იგი ე.წ. დამხმარე ნორმა<sup>34</sup>, რომლის მეშვეობითაც ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ერთი წინაპირობის (მოვალის საკუთარი ბრალეული მოქმედება) ჩანაცვლება სხვის ბრალეულ მოქმედებაზე პასუხისგებით.

(2) ამ შემთხვევაში, ა პასუხს აგებს დელიქტური ვალდებულებების საფუძველზე, სკ-ის 997-ე მუხლზე დაყრდნობით. ეს ნორმა მოიცავს თა-

<sup>34</sup> შედარეთ ზემოთ ა)-ს ბოლო ნაწილი და ბ) 1. 3) ბ): „ნათურების შემთხვევა“ (მაგალითი).

ვისებურ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც, მარწმუნებელი პასუხს აგებს ზიანზე, რომელიც წარმოიქმნა მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებისას. ამ ნორმის წინაპირობის დასაკმაყოფილებლად, ც ა-ს მუშაკი უნდა იყოს. მუშაკი გულისხმობს პირს, რომელიც მონვეულ იქნა სხვა პირის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად და რომელიც მარწმუნებელთან გარკვეულ დამოკიდებულ ურთიერთობაში იმყოფება. ამ შემთხვევაში ეს წინაპირობა მოცემულია, რადგანაც ც დაქირავებულ მუშაკს წარმოადგენს.

მართლსაწინააღმდეგო მოქმედება დაკავშირებული უნდა იყოს შრომითი მოვალეობის შესრულებასთან. აქ უნდა მოხდეს იმ მოქმედებათა გამიჯვნა, რომლებიც სრულდება შრომითი მოვალეობის შესრულების საფუძველზე მოცემული შესაძლებლობიდან გამომდინარე: მაგალითად, ც იყენებს უცხო პირის ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობას, ბ-ს სახლის გაქურდვის მიზნით. ასეთი გამიჯვნა ყოველთვის იოლი არ არის და დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე.

მოცემულ შემთხვევაში აშკარაა კავშირი შრომითი მოვალეობის შესრულებასთან.

რაც შეეხება ც-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, ეს საკითხიც ნათელია (უცხო სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, იხილეთ ზემოთ).

და ბოლოს, ზემოთ აღნიშნული ნორმის მიხედვით, მოცემული უნდა იყოს ბრალეული მოქმედება. აქ, ა-ს პასუხისგების განხილვისას, განმსაზღვრელია ც-ს ბრალეული მოქმედება და არა იმის გარკვევა, იმოქმედა თუ არა ბრალეულად მარწმუნებელმაც, განსაკუთრებით კი, მისი მუშაკების შერჩევისა და ზედამხედველობისას!

თუ ეს ბრალეულობაც წარმოადგენს განსჯის საგანს, რადგან ა-მ დაიქირავა თავისი ნაცნობი ლოთი, რომლისგანაც სავსებით მოსალოდნელი იყო საღებავის ხარაჩოდან გადმოღვრა, მაშინ განიხილება სკ-ის 997-ე მუხლის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული პასუხისგება საკუთარ ბრალეულობაზე!

სკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, ა პასუხს აგებს სხვა პირის ბრალეულობაზე, კერძოდ კი – ც-ს ბრალეულ მოქმედებაზე. და კიდევ ერთი თავისე-

ბურება: სკ-ის 997-ე მუხლის მე-2 წინადადების მიხედვით, სწორედ აღნიშნული ბრა ლეულობა ივარაუდება<sup>35</sup>!

**ბ) მესაკუთრის მიერ უკან გამოთხოვის მოთხოვნა მფლობელის წინააღმდეგ – ვინდიკაცია: სკ-ის 172-ე მუხლის I ნაწილი:**

ამ მოთხოვნის საფუძვლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს მფლობელს ნივთის დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს აქვს ფლობის უფლება. ეს მნიშვნელოვანი ვალდებულება ცნორმის აღწერილობითი ნაწილის სამ შემადგენელ ელემენტს მოიცავს, რომელთა განხილვაც უნდა მოხდეს ცალ-ცალკე და ერთმანეთისაგან გამოყოფილად:

- (1) მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე;
- (2) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და (ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ე.წ. უარყოფითი ელემენტი);
- (3) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება.

ამ მოვალეობის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს შემდეგი წესებისა და მოსაზრებების გათვალისწინება:

მესაკუთრის მიერ დაბრუნების მოთხოვნა თანაბრად უკავშირდება, როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ნივთსაც.

საკუთრების მდგომარეობის განხილვისას, უმჯობესია, ისტორიული თანმიმდევრობით მუშაობა, ანუ, განხილვის დაწყება იმ პირით, რომელიც მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით, პირველ მესაკუთრეს წარმოადგენდა.

„მხარეთა ახსნა-განმარტება“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან<sup>36</sup> გამომდინარე, სასამართლომ აუცილებელი არ არის დაადგინოს, თუ ვინ იყო ნამდვილად მესაკუთრე, არამედ, თუ მხარეთა ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, არ არსებობს სხვა მოსაზრება, მიიჩნიოს ის პირი უფლება-

<sup>35</sup> ასეთი ვარაუდის შედეგებთან დაკავშირებით, იხილეთ აქვე ც), „კამერის შემთხვევა“ (მაგალითი).

<sup>36</sup> სსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები.

მოსილად, რომელსაც მხარეები პირველ მესაკუთრედ ასახელებენ. აქედან გამომდინარე, ეს დასკვნები ძალაშია მხოლოდ მხარეთა ურთიერთმიმართებაში. სსკ-ის 10-ე მუხლის განსაზღვრებების მიუხედავად, სასამართლოს შეუძლია სხვა პროცესის მსვლელობისას, სხვა მხარეების მონაწილეობით, გამოიტანოს ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავებული დასკვნები.

#### *მაგალითი 17:*

ა, თავის საკუთრებაზე მითითებით, მოთხოვნას წაუყენებს ბ-ს მანქანის დაბრუნებაზე. ამასთან დაკავშირებით ბ აცხადებს, რომ ეს მანქანა მან ა-სგან საჩუქრად მიიღო.

პროცესის მსვლელობისას, ვერ მოხდება ჩუქების დადგენა<sup>37</sup>. ბ-ს დაეკისრება ა-სთვის მანქანის დაბრუნება.

მოგვიანებით, ამ ყველაფრის შესახებ ც შეიტყობს. იგი განაცხადებს, რომ სინამდვილეში ის წარმოადგენს უფლებამოსილ პირს. აღნიშნული მანქანა დიდი ხნის წინ მისთვის მოუპარავთ. მისი შემდგომი ბედი კი, ც-სთვის უცნობი იყო. მაგრამ, მისი განცხადებით, ა-ს არ შეეძლო საკუთრების შექმნა.

ა განაცხადებს, რომ მან მანქანა მანქანების ბაზარზე იყიდა. ქურდობის შესახებ მან არაფერი იცოდა და მას შემდეგ შეიტყო, რაც ც-მ მას პოლიციაში წარდგენილი განცხადება აჩვენა.

#### *ამოხსნა:*

აღნიშნულ მაგალითში, ა ბ-სთან მიმართებაში მესაკუთრედ მიიჩნევა, მხარეთა განმარტებების ურთიერთდამთხვევის საფუძველზე: სასამართლოს არ აქვს საბაზი, პრობლემატური გახადოს ეს საკითხი, როდესაც მხარეები თვითონ ამ ფაქტს მოცემულად მიიჩნევენ და დაობენ ჩუქების ნამდვილობაზე. შესაბამისად, მართებულია ბ-სთვის დაბრუნების დაკისრება, თუ დადგენილია, რომ ჩუქება არ არის მოცემული<sup>38</sup>.

<sup>37</sup> მტკიცებულების ტვირთთან დაკავშირებით, შედარეთ ქვემოთ „კამერის შემთხვევა“ (მაგალითი).

<sup>38</sup> შედარეთ წინა სქოლიოს.

მომდევნო პროცესზე კი საქმის ვითარება სხვაგვარია. აქ ა-ს საკუთრება სადავო ხდება. უდავოა ის გარემოება, რომ ც ისტორიულად თავდაპირველ მესაკუთრეს წარმოადგენს.

უნდა მოხდეს განხილვა, შეიძინა თუ არა ა-მ მოგვიანებით საკუთრება.

ძირითადად, საკუთრების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ უფლებამოსილი პირისაგან (სკ-ის 186-ე მუხლი). ეს ჩვენს შემთხვევაში არ მომხდარა, ა-ს ც-სგან საკუთრება არ შეუქმნია, შესაბამისი შეთანხმება არ არის მოცემული.

შესაძლებელია, რომ ა-ს საკუთრება კეთილსინდისიერად შეეძინა: სკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, შემძენი ხდება მოძრავი ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო უფლებამოსილი პირი (ნივთის მესაკუთრე), მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.

პირი კეთილსინდისიერია მაშინ, როცა მან არ იცოდა და არც მოვალე იყო, რომ სცოდნოდა ის გარემოება, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე (სკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილის მე-2 წინადადება).

მოცემულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოება ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად არ მოგვახსენებს. მანქანებთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი ხშირად დამოკიდებულია პოლიციის მიერ გაცემული საბუთებისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული საბუთების სისრულეზე და გარემოებაზე, მიუთითებენ თუ არა ეს საბუთები გამსხვისებელზე, როგორც უფლებამოსილ პირზე. თუმცა ეს უკვე ადმინისტრაციული სამართლის საკითხებს წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, მათ არ აქვთ პირდაპირი გავლენა სამოქალაქო სამართალზე<sup>39</sup>. მაგრამ ყოველთვის, როცა აღნიშნული საბუთების საფუძველზე საეჭვო ხდება გამსხვისებლის უფლებამოსილების საკითხი, საკუთრების შექმნა არ მიიჩნევა კეთილსინდისიერად.

ამასთან დაკავშირებით, საქმის ფაქტობრივი გარემოება არ გვანვდის დანვრილებით მონაცემებს. მაგრამ, სასამართლო არ არის ვალდებული, ბოლომდე ჩაეძიოს ამ საკითხებს. უდავოა, რომ ც-ს მოპარეს მანქანა და

<sup>39</sup> შეადარეთ ბოელინგი/ჭანტურია, შემთხვევა მე-5, ბ, I, 1).ა), ასევე ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი მე-2, გვ. 201.



ამის შედეგად მან იგი დაკარგა სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით. აქედან გამომდინარე, ა-ს არც კეთილსინდისიერად შეეძლო საკუთრების შექმნა.

იგი ვალდებულია, დაუბრუნოს ც-ს მისი ნივთი, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ს წინააღმდეგ გამართული პროცესის მსვლელობისას, ა მიჩნეულ იქნა ნივთის მესაკუთრედ!

აღნიშნული მაგალითი მოიცავს ვინდიკაციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხთა მთელ რიგს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, გახლავთ ის წესი, რომ ამ საკითხთა განხილვისას საჭიროა მუშაობის პროცესის ისტორიული თანმიმდევრობით წარმართვა. ამოსავალი წერტილი და თავდაპირველი სამართლებრივი მდგომარეობა ყოველთვის უდავო არ არის. მაგალითად, ა-ს შეეძლო ედავა იმის თაობაზე, რომ ც არ ყოფილა ნამდვილი მესაკუთრე. რადგან ა-ს არ ევალება ამ გარემოების ცოდნა, აქ დაშვებულად და საკმარისად მიიჩნევა ზოგადი ხასიათის უარყოფა<sup>40</sup>. ც, ამ შემთხვევაში, ვალდებული იქნება განმარტოს და დაამტკიცოს მანქანაზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი, და ეს, თუ საჭირო გახდა, მისი წარმოებიდან მოყოლებული, რათა შეძლოს თავისი უფლებამოსილების დამტკიცება. ეს ხშირად გადაუჭრელ ამოცანას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში მას დაეხმარება სკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმცია: აღნიშნულის მიხედვით, ივარაუდება, რომ წინა მფლობელი მისი ფლობის პერიოდში იყო მესაკუთრე. ეს მიუთითებს ც-ს უფლებამოსილებაზე, რომელიც ა-მ სადაო უნდა გახადოს.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, სკ-ის 158-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით ივარაუდება, რომ ნივთის ახლანდელი მფლობელი მისი მესაკუთრეა. აღნიშნული მიუთითებს ა-ს საკუთრებაზე მას შემდეგ, როცა იგი ბ-სგან მიიღებს ნივთს. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო პრეზუმფციათა კონფლიქტის მოგვარებაში სკ-ის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება დაგვეხმარება: საკუთრების პრეზუმფცია ახლანდელი მფლობელის სასარგებლოდ არ გამოიყენება ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი

<sup>40</sup> შეადარეთ ბოელინგი/ჭანტურია, პირველი ნაწილი, 5.

დაკარგა ან განსაკუთრებით კი, თუ მოპარეს. ეს დებულება ეხმაურება ზემოთ აღნიშნულ სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

ამით ნავარაუდებია ც-ს საკუთრება მისი მფლობელობის პერიოდში. რადგან უკვე დადგენილია ქურდობის ფაქტი, გამოირიცხება შემდგომ პერიოდში საკუთრების კეთილსინდისიერი შექენა. არც ერთ ამჟამინდელ მფლობელს არ შეუძლია დაეყრდნოს ც-ს წინააღმდეგ სკ-ის 158-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ პრეზუმფციას. ხოლო ა-ს სასარგებლოდ, აღნიშნული საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს ნებისმიერ სხვა პირთან მიმართებაში, რომელიც მის საკუთრებას გახდის სადაოდ. სკ-ის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის I წინადადება გამოირიცხავს ამ პრეზუმფციის მოქმედებას, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ ვრცელდება ავტომანქანის პოლიციაში რეგისტრაციისას, რადგან იგი არაფერს ავლენს საკუთრების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ზემოთ აღნიშნულში იგულისხმება რეესტრი სკ-ის 311 - 315-მდე მუხლების გაგებით, რომელიც მოიცავს საკუთრებასა და სხვა უფლებებს, განსაკუთრებით კი – უძრავ ნივთებზე. სკ-ის 312-ე მუხლის I ნაწილი მართლაც ითვალისწინებს მოძრავი ნივთების ფლობის განსაზღვრების მსგავს პრეზუმფციას: უფლება-მოსილად მიიჩნევა ის, ვინც შეყვანილია რეესტრში.

საკუთრების დაკარგვასა და გადაცემასთან დაკავშირებით, შემდეგ მნიშვნელოვან თემას ზემოთ აღნიშნული ნივთის დაკარგვა წარმოადგენს სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით. ეს საკითხი წარმოჩინდება მხოლოდ მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით.

### *მაგალითი 18:*

*ა ათხოვებს ბ-ს თავის ძვირფას კამერას. ბ მას ც-ს მიჰყიდის. როცა ა ამის შესახებ შეიტყობს, ითხოვს ც-სგან კამერის დაბრუნებას. ც კი უარს ამბობს დაბრუნებაზე და მიუგებს, რომ მას ბ მესაკუთრედ მიაჩნდა.*

*ამოხსნა:*

განვიხილოთ ა-ს მოთხოვნა სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე დაყრდნობით. უდაოა, რომ ა თავდაპირველად წარმოადგენდა კამერის მესაკუთრეს. საკითხავია, შეიძინა თუ არა ც-მ ამ კამერაზე საკუთრება. რადგან მას ა-სთან არ დაუდია ნასყიდობის ხელშეკრულება, სკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ სკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერი შექენა.

სკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე, შემძენის კეთილსინდისიერება ივარაუდება. ე.ი. შესაძლებელია, რომ ც მივიჩნიოთ კეთილსინდისიერ შემძენად, სანამ ა რაიმე საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს. თუმცა კეთილსინდისიერება ც-ს ბევრს ვერაფერს მოუტანს, თუ ა-მ ნივთი დაკარგა.

დაკარგვა გულისხმობს ნივთის პირდაპირი მფლობელობიდან არანებაყოფლობით გასვლას (პირდაპირ მფლობელობასთან დაკავშირებით, იხილეთ სკ-ის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამ შემთხვევაში ა-მ ბ-ს ნებაყოფლობით გადასცა ნივთი; მან პირდაპირი (უშუალო) მფლობელობა არ დაკარგა თავისი ნების საწინააღმდეგოდ. მას ნივთი არც დაუკარგავს და არც მოპარეს, აქედან გამომდინარე, ც-ს შეეძლო კეთილსინდისიერად შეეძინა საკუთრება.

ზემოთ აღნიშნული მაგალითები ისევ და ისევ მიგვანიშნებენ კანონის-მიერი პრეზუმფციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. იგი სამოქალაქო პროცესისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ეს უკანასკნელი მოსამართლეს მიუთითებს, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს მან იმ შემთხვევაში, როცა მას არ ძალუძს სიმართლის გარკვევა. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არ შეუძლია უარი თქვას გადაწყვეტილებაზე იმ მიზეზით, რომ შეუძლებელია ქეშმარიტების დადგენა<sup>41</sup>. ასეთ ვითარებაში საჭიროა ორიენტაციის აღება მტკიცების ტვირთზე: თითოეულმა მხარემ უნდა წარადგინოს და დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს<sup>42</sup>. აქ იგულისხმება ის ფაქტები, რომლებიც აუცილებელი და საჭიროა ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი

<sup>41</sup> სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>42</sup> სკ-ის 102-ე მუხლის I ნაწილი.

ცალკეული ელემენტის შესავსებად. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ცვლის ამ წესს: გარკვეული ფაქტები ითვლება მიჩნეულად და მოწინააღმდეგე მხარემ ისინი სადაო უნდა გახადოს.

*მაგალითი 19:*

*ზემოთ უკვე განიმარტა, რომ მოვალე, ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს თავისი მოვალეობის დარღვევაზე, როცა მას ეს პასუხისმგებლობა ეკისრება (სკ-ის 394-მუხლის I ნაწილი). ამ დებულების მე-2 წინადადება ნათელჰყოფს, რომ აღნიშნული ბრალეულობა ივარაუდება: კრედიტორმა კი არ უნდა დაამტკიცოს იგი, არამედ მოვალემ მტკიცების საფუძველზე უნდა გააბათილოს ეს უკანასკნელი.*

ასეთ პრეზუმფციას ითვალისწინებს ასევე სკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილი: ძირითადად, პირმა, რომელმაც არასათანადო პირისაგან შეიძინა საკუთრება, უნდა დაამტკიცოს თავისი კეთილსინდისიერება, როგორც საკუთრების შეძენის ერთ-ერთი წინაპირობა. მაგრამ სკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილის მე-2 წინადადება ითვალისწინებს საწინააღმდეგო წესს: „კეთილსინდისიერად ან ჩაითვლება შემძენი, თუ...“. ამით კანონი ითვალისწინებს, რომ პირმა, რომელსაც პრეტენზია აქვს კეთილსინდისიერებაზე, უნდა დაასაბუთოს იგი.

კანონისმიერ პრეზუმფციებს ორი ფუნქცია აქვთ: საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი:

პირველი გამოიხატება იმაში, რომ ეს პრეზუმფციები ცალკეულ შემთხვევაში ცვლიან სსკ-ის 102-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ მტკიცების წესს და მტკიცების ტვირთს აკისრებენ მეორე მხარეს, რაც ამ უკანასკნელისათვის დაკავშირებულია რისკთან, რომ მან შეიძლება წააგოს პროცესი, თუ მტკიცებულება არ იქნა მიღებული.

მატერიალურ-სამართლებრივი ფუნქცია კი მდგომარეობს იმაში, რომ ნორმის აღწერილობითი ნაწილის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი კონკრეტულ პროცესთან მიმართებაში და კონკრეტულ მხარეთა შორის

მაშინაც მოცემულად ჩაითვლება, როცა ობიექტურად ვერ მოხერხდა ამ გარემოების დადგენა.

ეს პრეზუმფციები ასევე მნიშვნელოვანია ვინდიკაციური მოთხოვნის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელ უარყოფით ელემენტთან მიმართებაში, რომელიც მოიცავს მფლობელისაგან ნივთის უკანონო ფლობას: სკ-ის 172-ე მუხლის I ნაწილი. უარყოფით შემადგენელ ნიშანზეა საუბარი, როცა კანონი ანებსებს სამართლებრივ შედეგს მაშინ, როცა რაიმე გარემოება არ არის მოცემული. ასეთი უარყოფითი გარემოებანი ძნელი დასამტკიცებელია, რადგან თეორიულად მათი არსებობის ურცხვი შესაძლებლობა არსებობს<sup>43</sup> : მაშინ მესაკუთრე მისი ვინდიკაციური მოთხოვნის განსახორციელებლად, ვალდებული იქნებოდა დაემტკიცებინა, რომ მფლობელს არ აქვს ფლობის უფლება არც ქირავნობის, არც თხოვების, არც ლიზინგის ხელშეკრულებისა და ა.შ. საფუძველზე.

კანონი აქაც ჩაენაცვლება აღნიშნულ მტკიცების წესს და ეხმარება მესაკუთრეს თავისი პრეზუმფციით: მფლობელმა უნდა დააბრუნოს ნივთი „გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება“. ასეთი ფორმულირებით კანონი განსაზღვრავს, თუ ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი: კერძოდ, მას, ვინც ეყრდნობა ზემოთ აღნიშნულს<sup>44</sup>. ამით კანონი კვლავ შეესაბამება სსკ-ის 102-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ ძირითად წესს.

აქედან გამომდინარე, მფლობელმა ყველა შემთხვევაში უნდა დაამტკიცოს მფლობელობის უფლება.

#### **ამოხსნა:**

*ზემოთ აღნიშნულ, ვინდიკაციასთან დაკავშირებულ მაგალითში, ბ ა-სა და მისი უკან გამოთხოვის მოთხოვნის წინააღმდეგ დაეყრდნო ამ უკანასკნელის მიერ მანქანის ჩუქებას.*

*შესაძლებელია გვევარაუდა, რომ ეს ჩუქება და ამით მის საფუძველზე წარმოქმნილი ნივთის ფლობის უფლება ბ-ს უნდა დაემტკიცებინა ზემოთ*

<sup>43</sup> შეადარეთ ბოელინგი/ჭანტურია, პირველი ნაწილი, 5.

<sup>44</sup> მტკიცების ტვირთის შემობრუნებისათვის ძირითადად დამახასიათებელია შემდეგი სახის ფორმულირება: „გარდა იმ შემთხვევისა...“, „ეს წესი არ მოქმედებს...“ და ა.შ.

აღნიშნული მტკიცების ტვირთის განმსაზღვრელი წესებისა და პრეზუმფციების მიხედვით.

აქ მას მართლაც ეხმარება სკ-ის 158-ე მუხლის სხვა პრეზუმფცია: აღნიშნულის მიხედვით, ბ მიიჩნევა მის მფლობელობაში მყოფი ნივთის მესაკუთრედ, როცა იგი ამტკიცებს, რომ იგი ფლობს ამ უკანასკნელს, როგორც მესაკუთრე.<sup>45</sup>

სკ-ის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, ეს პრეზუმფცია მოქმედებს, აგრეთვე, უწინდელი მფლობელის მიმართ, ა-ს მიმართ, თუ ა-მ ეს ნივთი არ დაკარგა. ნივთის მფლობელობიდან არანებყოფლობით გასვლაზე არც ერთ მხარეს არ განუცხადებია. რაც შეეხება ბ-ს მტკიცებას ჩუქების თაობაზე, ა-მ უნდა დაასაბუთოს, რომ ბ სხვაგვარად (სხვა გზით) გახდა ნივთის მფლობელი. აქედან გამომდინარე, ა-მ სადაო უნდა გახადოს სკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმფცია და დაამტკიცოს თავისი საკუთრების უფლების არსებობა.

დაკვირვებული მკითხველი ან მსმენელი შენიშნავდა, რომ ჩვენ გამოვტოვეთ ვინდიკაციის აღწერილობითი ნაწილის ერთი (სამიდან) შემადგენელი ელემენტი: აქამდე განხილულ იქნა (1) საკუთრება და (3) მფლობელობის უფლების არქონა და მასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა დაკარგვა, კეთილსინდისიერება და კანონისმიერი პრეზუმფციები. რაც შეეხება მოპასუხის მიერ ნივთის ფლობას, ანუ, მეორე შემადგენელ ნიშანს, მისი განხილვა ჯერ არ მომხდარა. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ, ძირითადად, ეს საკითხები აღნიშნულ კონტექსტში, ყველაზე ნაკლებად პრობლემატურია ხოლმე. ნივთის ფლობა უფრო ფაქტობრივი საკითხია, ვიდრე სამართლებრივი: სკ-ის 155-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, მფლობელია ის პირი, რომელიც ნივთზე ნებით მოიპოვებს ფაქტობრივ ბატონობას, იქნება ეს თავის სასარგებლოდ (პირდაპირი მფლობელი) თუ სხვის სასარგებლოდ (არაპირდაპირი მფლობელი, სკ-ის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი). აღნიშნული ფაქტობრივი ბატონობა, ძირითადად, მხარეებისათვის უდაოა და პროცესის მსვლელობისათვის – ნაკლებად პრობლემატური.

<sup>45</sup> ე.წ. პირდაპირი მფლობელი და არაპირდაპირი მფლობელი, რომელიც სხვა პირის სასარგებლოდ ახორციელებს ბატონობას ნივთზე (სკ-ის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი). პრეზუმფცია არ მოქმედებს, თუ ბ დაეყრდნობა, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულებას: ფლობს ეს უფლება მან უნდა დაამტკიცოს!

**გ) მფლობელობასთან დაკავშირებული მოთხოვნები – პოსესორული<sup>46</sup> მოთხოვნები (სკ-ის 160-ე და 161-ე მუხლები)**

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მფლობელობასთან დაკავშირებული საკითხები მესაკუთრის ვინდიკაციურ მოთხოვნასთან მიმართებაში, ძირითადად, ყველაზე ნაკლებად პრობლემატურია და პირველ რიგში, ფაქტობრივ საკითხს წარმოადგენს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მფლობელობასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები ნაკლებ მნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს: მართალია, ფლობა ფაქტობრივ ბატონობას ნიშნავს, მაგრამ მფლობელს კანონი მოთხოვნათა მთელ რიგს მიაკუთვნებს, რომელთა გამოყენებაც პრაქტიკაში არანაკლებ სირთულეებს წარმოაჩენს.

*მაგალითი 20:*

ა მიაქირავენ ბ-ს მალა ზიას. გარკვეული დროის შემდეგ, ბ არასტაბილურად იხდის ქირას და ბოლოს კი საერთოდ შეაჩერებს მის გადახდას. ა-ს ეს სიტუაცია „ყელში ამოუვა“: იგი შეამტვრევს მალა-ზიის კარს, გამოცვლის საკეტს და ორი ძლიერი მეგობრის დახმარებით, ბ-ს გარეთ გამოსვავს. ამასთან იგი, სხვა გამომნათქვამებთან ერთად, ახსენებს „ხელშეკრულების მოშლას გათვალისწინებულ ვადამდე“.

ბ მიუგებს მას, რომ ქირის გადახდა შეაჩერა სადგომის უვარგისი მდგომარეობის გამო: მან განმარტა, რომ წვიმის დროს ყველგან წყალი ჩამოდის და მიუხედავად მისი მრავალი მიმართვისა, ა-ს არ მიუღია ზომები ამის მოსაგვარებლად. აქედან გამომდინარე, მან შეაჩერა ქირის გადახდა, რადგან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. ხოლო მისი საქონლის ნაწილი, ნესტისგან დაღუპა; იგი გაქვითავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. პირველ რიგში კი, ბ ითხოვს დაუყოვნებლივ მიეცეს მას სადგომში შესვლის შესაძლებლობა, რათა თავიდან აიცილოს დამატებითი ზიანი.

ა სადაოს ხდის აღნიშნულ ნაკლს.

<sup>46</sup> *possesio* – ლათინურად – „მფლობელობა“. იგულისხმება მოთხოვნები, რომლებიც ეყარება მხოლოდ მფლობელობას, როგორც ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.

*ამოხსნა:*

(1) შესაძლოა, სკ-ის 531-ე მუხლის მიხედვით, ბ-ს ჰქონდეს სადგომის ხელახალ სარგებლობაში გადაცემის მოთხოვნის უფლება, იმდენად, რამდენადაც, მხარეთა შორის ჯერ კიდევ ძალაშია ქირავნობის ხელშეკრულება. მაგრამ, ეს საკითხი საეჭვოა. გამქირავებელმა- ა-მ ვადამდე მოშალა აღნიშნული ხელშეკრულება, ხოლო ამის უფლებას მას, შესაძლოა, რომ სკ-ის 558-ე მუხლი ანიჭებდეს. აღნიშნული საკითხები მხარეებისათვის სადაოა: ბ აცხადებს, რომ სკ-ის 536-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, იგი უფლებამოსილია, შეამციროს ქირა, ხოლო სკ-ის 537-ე მუხლზე დაყრდნობით კი – მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან სკ-ის 442 – 447-ე მუხლების თანახმად გაქვითა. მისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, გაქვითვა გამოიწვევს ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნის შეწყვეტას<sup>47</sup>. აქედან გამომდინარე, ბ-ს აღარ მართებს შეთანხმებული ქირის გადახდა.

ყველა ეს საკითხი სადაოა. სასამართლო მათ გადაწყვეტას მხოლოდ საკმარის მოცულობის მტკიცებულებათა ამოღების შედეგად შეძლებს.

(2) ეს პრობლემები კანონმა გაითვალისწინა და მით უფრო კი – ის გარემოება, რომ მფლობელობის ძალით ჩამორთმევისას, საჭიროა ისეთი ნესის გამოყენება, რომელიც დაუყოვნებლივ, სწრაფად აღკვეთს ასეთ არამართლზომიერ ვითარებას.

ა) სკ-ის 160-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, ვინც მას ჩამოართვა აღნიშნული ნივთი. სკ-ის 159-ე მუხლის მიხედვით, კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელსაც აქვს ნივთის ფლობის უფლება, ან რომელიც სავალდებულო შემონმების საფუძველზე უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

აქვს თუ არა ბ-ს ნივთის ფლობის უფლება, ეს მხარეთა შორის სადაოა. ამ საკითხის გარკვევა ისევ (1)-ლ პუნქტში აღნიშნულ პრობლემებამდე

<sup>47</sup> სკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) პუნქტი ცოტა გაურკვეველია: გაქვითვის მოქმედებისათვის არ არის საჭირო შეგებებული სარჩელი. აქ საქმე გვაქვს მატერიალურ-სამართლებრივ აღმჭურველ უფლებასთან, როგორც, მაგალითად, ხელშეკრულების მოშლა და შეცილება მხოლოდ უფლებამოსილის შესაბამისი ნების გამოვლენით შედის ძალაში. შეადარეთ ასევე ბოელინგი/ჭახტურია, პირველი ნაწილი, 4, 20-ე სქოლიო.



მიგვიყვანს. ეს მოთხოვნის საფუძველი არ ითვალისწინებს მფლობელის უპირატესობას და მის გაუმჯობესებულ დაცვას.

(ბბ) სკ-ის 160-ე მუხლის თანახმად, ასეთი დაცვა არ ვრცელდება ახალი მფლობელის მიმართ, თუ მას აქვს ფლობის უპირატესი უფლება. ასეთი უპირატესი უფლება გააჩნია მესაკუთრეს, როდესაც მისი საკუთრება არ არის დატვირთული რაიმე ვალდებულებით-სამართლებრივი ვალდებულებით, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულებით.

ამ შემთხვევაში, ესეც სადაოა მხარეებს შორის და ასევე მიგვიყვანდა აღნიშნულ პრობლემაზე.

(გგ) ამ ყოველივეს თავიდან ასაცილებლად და მფლობელის დასაცავად, რომელსაც განზრახ ან ძალით ჩამოერთვა მფლობელობა, ასევე იმ პირის მიმართ, რომელსაც აქვს ფლობის უპირატესი უფლება, სკ-ის 160-ე მუხლის მე-3 წინადადება ითვალისწინებს, რომ კეთილსინდისიერი მფლობელი, იმ პირთან მიმართებაშიც, რომელსაც აქვს ფლობის უპირატესი უფლება, უფლებამოსილია, მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, თუ მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ძალის გამოყენებას.

ასეთ მოთხოვნას პოსესორული მოთხოვნა<sup>48</sup> ეწოდება, რომელიც განსხვავდება ე.წ. პეტიტორული მოთხოვნებისაგან<sup>49</sup>: პოსესორული მოთხოვნები გულისხმობს მოთხოვნებს, რომლებიც ემყარება მხოლოდ მფლობელობას. აქ ასევე იგულისხმება მფლობელის დაცვა მფლობელობის ძალით ჩამორთმევისა და სხვა დარღვევებისაგან, იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა მას ჯერ კიდევ სამართლებრივი უფლებები ნივთზე, განსაკუთრებით კი, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ეს საკითხები უნდა გადაწყდეს ჩვეულებრივი საქმის წარმოების გზით. მოთხოვნის ძალადობით განხორციელების უფლება თვითდახმარების გზით, არც უპირატესი უფლების მქონე პირს არ აქვს. ასეთი მოქმედება დასაშვები და შეზღუდულია მხოლოდ სკ-ის 116-ე (აუცილებელი მოგერიება) და 118-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების საფუძველზე. ასეთი წინაპირობები, კი აღნიშნული მაგალითის მსგავსი შემთხვევებისას, ძირითადად, არ არის მოცემული, რადგან მფლობელობის უკანონო

<sup>48</sup> იხ. 46-ე სქოლიო.

<sup>49</sup> *Petito* – ლათინურად – „მოთხოვნის უფლება“. იგულისხმება მოთხოვნები, რომლებიც მხოლოდ განსაზღვრული უფლებების (მაგალითად, სანივთო უფლება) საფუძველზე წარმოიშობა.

გაგრძელება არ წარმოადგენს მესაკუთრეზე „თავდასხმას“. აქ არ მიიჩნევა მოცემულად თვითდახმარების წინაპირობანი, რადგან მესაკუთრეს, ძირითადად, აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს სასამართლოს დახმარებით და საჭიროების შემთხვევაში, საქმის წარმოების გზით, განახორციელოს სარჩელი<sup>50</sup>. თუ ეს ზომები სწრაფად ვერ განახორციელებენ სიკეთის დაცვას, მაგალითად, სადგომის შემთხვევაში<sup>51</sup>, მაშინ იგი მით უფრო ვერ განხორციელდება მესაკუთრის მიერ ძალის გამოყენებით და თვითდახმარების გზით.

მოცემულ შემთხვევაში ითვლება, რომ ბ-ს კეთილსინდისიერად მიაჩნია, რომ მას აქვს მალაზიის ფლობის უფლება, რადგან არ არსებობს ქირის გადახდასთან დაკავშირებული დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები. მას ასევე მიაჩნია, რომ ხელშეკრულების მოშლა არ შეიძლება იყოს ნამდვილი, რადგან არ არსებობს ამის საფუძველი. აქედან გამომდინარე, ა-ს მიერ მფლობელობის ძალით ჩამორთმევა მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა. შესაბამისად, სასამართლომ ა-ს უნდა დააკისროს ბ-სთვის მფლობელობის უკან დაბრუნება<sup>52</sup>.

(დდ) ა, ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავებით, დაცულია: მას შეუძლია მოშლილი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ნივთის დაბრუნებასთან<sup>53</sup> და ასევე საკუთრებასთან (სკ-ის 172-ე მუხლის 1 ნაწილი – ვინდიკაცია, იხ. ზემოთ) დაკავშირებული მოთხოვნების განხორციელება, იმ შემთხვევაში, თუ მოშლამ გამოიწვია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა და აქედან გამომდინარე, ბ-ს აღარ აქვს ფლობის უფლება. ამისათვის ა-მ უნდა მიმართოს სასარჩელო წარმოებას, სადაც მოხდება ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხის გარკვევა.

ა-ს ასევე შეუძლია თავისი მოთხოვნის განხორციელება შეგებებული სარჩელის გზით, ბ-ს მიერ აღძრული პროცესის ფარგლებში, და წაუყენოს

<sup>50</sup> სკ-ის 191-დან 199-ე მუხლამდე.

<sup>51</sup> აღიარებულია ის გარემოება, რომ მფლობელს სადგომი ვერ ჩამორთმევა სასამართლოს მიერ სასწრაფო წარმოების გზით, თუ თავად მფლობელის მიერ არ მოხდა სადგომის ძალით მოპოვება.

<sup>52</sup> სხვათა შორის საუბარია იმაზეც, რომ მესაკუთრის ძალისმიერი ჩარევისაგან მფლობელობის დაცვის პოსესორული ფუნქცია ასევე გავრცელდეს არაკეთილსინდისიერ მფლობელზეც (შეადარეთ ბოელინ-გიჭანტურია, შემთხვევა №2, ბ, 7), რადგან კანონი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში (და ეს ასეც უნდა იყოს) უშვებს მართებული მოთხოვნების ძალისმიერ განხორციელებას. როგორც მოგახსენეთ, მოცემული მაგალითის მსგავსი შემთხვევები არ იგულისხმებიან აღნიშნულ იშვიათ შემთხვევათა შორის.

<sup>53</sup> აღნიშნული კანონის მიერ სიტყვიერად არ არის გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებად, მაგრამ, მაგალითად, სკ-ის 567-ე მუხლის თანახმად, მიიჩნევა აუცილებელ წინაპირობად.

მას პოსესორული მოთხოვნა მფლობელობის დაბრუნების თაობაზე. (სსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტი). სარჩელსა და შეგებებულ სარჩელზე დაფუძნებული აღნიშნული მოთხოვნები ლოგიკურად ერთმანეთის გამომრიცხავ მოთხოვნებს წარმოადგენენ. ურთიერთგანსხვავებული წინაპირობებიდან გამომდინარე, მათი გადაწყვეტა არ ხდება ერთდროულად. ჯერ განიხილება პოსესორული სარჩელი, რომელიც შედარებით ნაკლებად მომთხოვნია, ხოლო შემდეგ კი – პეტიტორული შეგებებული სარჩელი, მთელი თავისი ფართომასშტაბიანი საკითხებით. სწორედ დროის მიხედვით ამ გამიჯვნიდან გამომდინარეობს უფლებამოსილება და სიკეთის დაცვის აუცილებლობა აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით<sup>54</sup>.

## დ) უსაფუძვლო გამდიდრება

I. კანონიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობების მომდევნო ჯგუფი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილშია მოცემული უსაფუძვლო გამდიდრების სახელით. ამ სამართლებრივი ინსტიტუტის შინაარსი არის ისეთი ქონების მოძრაობის უკუქცევა, რომელიც საფუძველს მოკლებულია ან რისი საფუძველიც არასოდეს არსებობდა. აქედან გამომდინარე, აქ განსაკუთრებული ფორმით გამოიყენება კეთილსინდისიერების პრინციპი (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამის მიხედვით, ქონების მიმოქცევა, რომელიც ამ პრინციპზე ორიენტირების შესაბამისად არ მოხდებოდა, უკან უნდა დაბრუნდეს. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის მეორე თავში (976-991-ე მუხლები) გათვალისწინებულია ეს ნორმები, 385-ე მუხლი მიუთითებს უკვე ამ ინსტიტუტის გამოყენების პირველ შემთხვევაზე: ვალდებულების გარეშე გადახდის გამოთხოვის წესზე. ეს ოდნავ დამაბნეველია, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი არა მარტო გადახდის, არამედ ნებისმიერი ვალდებულების გარეშე შესრულების შემთხვევას მოიცავს. 385-ე მუხლი ნათელს ხდის, რომ ამ სამართლებრივი ინსტიტუტის მიერ დასაბუთებული მოთხოვნა ახალ ვალდებულებით ურთიერთობას წარმოშობს მხარეებს შორის.

<sup>54</sup> შეადარეთ ბოლინგი/ჭანტურია, შემთხვევა №23, 2. ბ).

პრინციპულად განასხვავებენ ე.წ. „შესრულების კონდიქციას“ და ე.წ. „არაკონდიქციას“ (*condictio* – ქონებრივი მოძრაობის უკუქცევა). „შესრულების კონდიქცია“ (განსაკუთრებით კი: სკ-ის 976-ე მ.) ეფუძნება ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეების მიერ გამიზნული ვალდებულებითი ურთიერთობა ქონების გადაცემის მიზნით გაქრა ან არ შედგა. „არაკონდიქცია“ კი (განსაკუთრებით: სკ-ის 991-ე მ.) მოიცავს შემთხვევებს, რომლებიც დგას გამიზნული თუ არსებული ვალდებულებების წარმოშობის ფარგლებს გარეთ, ანუ, პირველ რიგში, იმ შემთხვევებს, როდესაც პირადი ჩარევით მოხდა ქონების მოძრაობა.

კანონის სტრუქტურა ერთმანეთისგან არ განაცალკევებს ამ ორი კონდიქციის სახეს. სკ-ის 979-981-ე მუხლების მოთხოვნები ორივე ფორმას შეესაბამება. 982-985-ე მუხლები განიხილავს არაკონდიქციას, ხოლო 986-ე, 989-ე და 990-ე მუხლები მოიცავს, აგრეთვე, შესრულების კონდიქციის შემთხვევებსაც.

რამდენადაც შესრულების კონდიქციის შემთხვევებში აღმჭურველი უფლების<sup>55</sup> გამოყენება (მაგ, შეცილების) გამოიწვევს ვალდებულებითი ურთიერთობის გაუქმებას, საჭიროა, პირველ რიგში, შემოწმდეს, ხომ არ გამოდინარეობს თვით ვალდებულებითი ურთიერთობიდან სამართლებრივი განონანსწორების უფრო უკეთესი პირობები, მაგალითად, როგორც ეს ხდება საგარანტიო უფლებების შემთხვევებში.

### *მაგალითი 21:*

*გ ყიდის მ-ზე მანქანას. გ-მ იცის, რომ მანქანის ძრავი ზეთს ღვრის, მაგრამ გაყიდვის მოლაპარაკებისას ის ამ ფაქტს მალავს.*

### *ამოხსნა:*

*მ-ს ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უფლება აქვს ნასყიდობის ხელშეკრულების შეცილება მოითხოვოს (სკ-ის 81 II<sup>56</sup>), რის შედეგადაც ხელშეკრულება უკუქცევითად ბათილი იქნება. მ-მ უნდა მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის ა პუნქტის შესაბამისად. ეკონომიკურად უფრო უკეთეს შედეგს ის მიაღწე-*

<sup>55</sup> უფლება, რომელიც ახალ უფლებას წარმოშობს ან არსებულ უფლებას ცვლის.

<sup>56</sup> სამოქალაქო კოდექსის 81 მუხლის მეორე ნაწილი.

ვს, თუ სკ-ის-ის 488-ე, 494-ე და 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გ-საგან მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას ნივთის ნაკლის გამო. ამასთან, საგარანტიო უფლებები მას აძლევს შესაძლებლობას, სხვა დამატებითი საშუალებები გამოიყენოს (ნასყიდობის ფასის შემცირება, ნაკლის გამოსწორება – იხ: სკ-ის 490-ე და მომდევნო მუხლები), რაც ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობას მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, შესრულების კონდიქცია პრაქტიკაში მოიცავს მხოლოდ ბათილ გარიგებებს.

### მაგალითი 22:

1. 17 წლის მ ყიდულობს გამყიდველ ვ-სთან მოტოროლერს (რომელსაც არ სჭირდება სპეციალური გაფორმება) ისე, რომ მისმა მშობლებმა ეს არ იციან. ამასთან, ვ-ს მ მისი გარეგნობისა და თავდაჯერებული საქციელიდან გამომდინარე ჰგონია, რომ იგი სრულწლოვანია. შეთანხმებული ფასიდან - 500 ლარიდან მ იხდის მხოლოდ 400 ლარს, რომელიც წინასწარ ნასესხები ჰქონდა მეგობარი ს-საგან, და ჰპირდება ვ-ს, რომ დარჩენილ 100 ლარს გადაუხდის მომდევნო კვირის ბოლოს. ამ ყველაფრის შემდეგ ვ მოტოროლერს გადასცემს მყიდველს. სახლისაკენ მიმავალ მ-ს მოსახვევში სატვირთო მანქანა მოუჭრის გზას და მოხდება ავარია. ავარიის შედეგად მოტოროლერი ისე ზიანდება, რომ მისი გამოყენება მხოლოდ ჯართის სახით შეიძლება. მ-ის მშობლები ვ-ს ყველა მოთხოვნას უარყოფენ და მისგან 400 ლარის დაბრუნებასაც კი მოითხოვენ, პროცენტების ჩათვლით.

### ამოხსნა:

a. 17 წლის მ-ის კუთვნილი მოთხოვნა თანხის უკან დაბრუნებაზე, რასაც მისი მშობლები, როგორც კანონიერი წარმომადგენლები ეყრდნობიან, (სკ-ის მე-12 მუხლის I და II ნაწილები, მე-15 მუხლი), ვერ დაეფუძნება სახელშეკრულებო პირობებს, რადგანაც მ მისი არასრულწლოვანების გამო ქმედუუნარო იყო – შესაბამისად, არც შეეძლო ნამდვილი

ნების გამოვლენა მოეხდინა, რაც ხელშეკრულების დადების საფუძველად ჩაითვლებოდა (იხ: სკ-ის 63 l). აქედან გამომდინარე, მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ სკ-ის 976 l ა პუნქტს დაეყრდნოს.

(a.) სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი შემთხვევა და მოიცავს ე.წ. შესრულების კონდიქციის შემთხვევებს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ წარუმატებელი ვალდებულებითი ურთიერთობების უკან დაბრუნება შესაძლებელია ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად ამ წარუმატებლობის მრავალი სხვადასხვა შესაძლო მიზეზისა. სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს სამ მაგალითზე:

- გარიგება ბათილია ან სხვა რაიმე მიზეზით ძალადაკარგული;
- გარიგება არ შედგა;
- გარიგება მოგვიანებით უქმდება.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სამივე შემთხვევას ერთი რამ აქვს საერთო – სავარაუდო კრედიტორის მიმართ უნდა არსებობდეს შესრულება, რომელიც მიმართული იყო ვალდებულების შესრულებაზე. ამ შემთხვევაში შესრულებაში ვგულისხმობთ სხვისი ქონების გააზრებულ, მიზანმიმართულ გამრავლებას. „მიზანმიმართული“ ნიშნავს, რომ შესრულება ემსახურება ფაქტობრივად არსებული ან სავარაუდო ვალდებულებითი ურთიერთობის განხორციელებას. ნაგულისხმევი ვალდებულებითი ურთიერთობა შესაბამისად გვევლინება ქონების გამრავლების „სამართლებრივ საფუძველად“. ამით შეიძლება გაივლოს ზღვარი უსაფუძვლო გამდიდრების სხვა შემთხვევებთან, სადაც ქონების გამრავლება მიმღების მხარეს არა გამიზნულად, არამედ სხვა გზით ხდება (ე.წ. არაკონდიქცია, სკ-ის 991).

ზემოთხსენებული სამივე ჯგუფი მოიცავს მაგალითებს, სადაც ეს სამართლებრივი საფუძველი თავიდანვე არ არსებობს, ან მერე ქრება.

(01) სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტში აღწერილ პირველ ჯგუფს განეკუთვნება, ერთი მხრივ, კანონისმიერი ბათილობის საფუძველები (მაგ. სკ-ის 54-ე და მომდევნო მუხლე-

ბი [მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი], სკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი [აუცილებელი ფორმის დაუცველად ან საჭირო ნებართვის გარეშე დადებული გარიგება] და, მეორე მხრივ, შემთხვევები, როდესაც გარიგება შეცილების შემდეგ ხდება უკუქცევითად ბათილი (სკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილი [მაგ. შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებების შეცილება]). როდესაც ასეთ შემთხვევაში ვალდებულებითი ურთიერთობის ერთი ან ორივე მონაწილე რაიმე მოქმედებას ასრულებს, გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ მხარეები ამ შესრულებების უკან დასაბრუნებლად თითოეულ ამ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას დაეყრდნონ – ის ხომ აღარ არსებობს სწორედ უკუქცევითი ბათილობის გამო.

- (02) სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული მეორე ჯგუფი მოიცავს შემთხვევებს, სადაც მხარეები თუმცა განიზრახავენ ვალდებულებითი ურთიერთობის დამყარებას და ერთმა ან ორივე მხარემ აქედან გამომდინარე, შესაბამისი მოქმედებაც კი შეასრულა, მაგრამ მეორე მხარის ბრალის გარეშე მაინც აღარ ხერხდება სასურველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დადგომა.

### მაგალითი 23:

ა და ბ არიან დაზიანებული ბინის მესაკუთრეები, რომლის გაქირავებაც სურთ. მათ ასევე გამიზნული აქვთ, მდგმურისაგან მოითხოვონ ბინის შეკეთება. ამას შეიტყობს საკმაოდ ხელმარჯვე გ, რომელიც ბ-ს არყოფნისას მოელაპარაკება ა-ს და გამოართმევს ბინის გასაღებს დათვალეირების მიზნით. გ შეცვლის ელექტროკაბელებს იმ იმედით, რომ ქირავნობის ხელშეკრულებას გააფორმებს. ბ-ს დაბრუნების შემდეგ ა და ბ უარს განუცხადებენ მას ბინის გაქირავებაზე, ვინაიდან მათ უკეთესი კლიენტი – დ ჰყავთ, რომელიც უფრო დიდ თანხას იხდის. გ მოითხოვს მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურებას.

ამოხსნა:

ვითომდა სახელშეკრულებო მოთხოვნები ა-სა და ბ-ს მიმართ (სკ-ის 317-ე მუხლის III ნაწილის შესაბამისად) გამორიცხულია, ვინაიდან მათ არ გადაუციათ ბინა გ-სათვის გარემონტების მიზნით და, აქედან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევა მოცემული ვერ იქნება. გ-მ იმის იმედით განია შეკეთების ხარჯები, რომ გააფორმებდა ქირავნობის ხელშეკრულებას, აქედან გამომდინარე, მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

(03) სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული მესამე ჯგუფი – ეს ის შემთხვევებია, როდესაც თავდაპირველად არსებობდა ვალდებულებითი ურთიერთობები, ხოლო შემდგომში, რაიმე პირობის დადგომით ან ხელშეკრულების მოშლით დასრულდა და მხარემ – უცოდინრობითა თუ შემთხვევით – კიდევ გასწია შესრულება მეორე მხარის სასარგებლოდ.

მაგალითი 24:

ქირავნობის ურთიერთობა გამქირავებელ ა-სა და დამქირავებელ ბ-ს შორის წყდება მხარის გასვლის საფუძველზე 31. 03. 2008 წლის 31 მარტს. მცირე შეცდომის გამო, ბ ატყობინებს თავის ბანკს, რათა ყოველთვიური საგადახდო დავალება ქირის თანხის გადარიცხვაზე შეწყდეს 2008 წლის 31 აპრილიდან. შესაბამისად, ბანკი 2008 წლის 30 აპრილს კიდევ ერთხელ გადაურიცხავს ერთი თვის ქირას ა-ს.

ამოხსნა:

ამ მომენტისათვის ქირავნობის ხელშეკრულება უკვე დასრულებულია და, შესაბამისად, ვერ იქნება გამოყენებული ბ-ს მიერ ა-საგან უკან გადახდის მოთხოვნის საფუძველად. არც ა-ს ეკუთვნოდა ამ ქირის მიღება, ასე რომ ბ-ს შეუძლია მიმართოს სკ-ის 976-ე მუხლის პირველ ნაწილს.



არასრულწლოვანი მ-ს შესახებ ზემოთ მოყვანილ მაგალითში „შესრულება“ ფაქტობრივად მოცემულია სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან მ შეგნებულად აძლევს თანხას ვ-ს, ორივე მხარისათვის სასურველი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზნით. სამართლებრივი საფუძველი ამ შესრულებისათვის (შესრულების გამამართლებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა) – სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის მეორე ტიპის ფაქტობრივი გარემოება – არც აქ გვაქვს სახეზე: ნასყიდობის გამიზნული ხელშეკრულება არ შედგა მ-ის ქმედუნარიანობის ნაკლოვანების გამო (სკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი); წარმომადგენლობის უფლების მქონე მშობლების თანხმობაც აქ გვაქვს მოცემული.

ნასყიდობის ხელშეკრულება არ ჩაითვლება ნამდვილად, ვინაიდან ის მ-ს „უპირატესობას“ ანიჭებს სკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ამ ნორმის მიხედვით „უპირატესობა“ გულისხმობს არა ეკონომიკურ, არამედ სამართლებრივ შეფასებას. ხელშეკრულება, რომელიც არასრულწლოვანისათვის გარკვეულ ვალდებულებებს წარმოშობს – იურიდიულად წამგებიანი, აღმჭურველია. არასრულწლოვანისათვის რაიმეს ჩუქება მას უპირატესობას ანიჭებს, ვინაიდან მას ამით არ ეკისრება ვალდებულება, ნასყიდობის ხელშეკრულება კი მისთვის წამგებიანია – ვინაიდან აკისრებს ვალდებულებას, გადაიხადოს თანხა.

- (b.) სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის იურიდიული შედეგი არის შესრულების შედეგად მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა (იხ: სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამით მ-ს, წარმოდგენილს თავისი მშობლების მიერ, შეუძლია, ვ-საგან მოითხოვოს ავანსის – 400 ლარის უკან დაბრუნება. ვინაიდან სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა ვალდებულებით ურთიერთობას ასაბუთებს მოთხოვნის კრედიტორსა (მ-ს) და მოთხოვნის მოვალეს (ვ-ს) შორის, როგორც კი ვ დაუგვიანებს გადახდას, მ-ს შეუძლია სკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოთხოვოს ასევე პროცენტების გადახდა.

- b. საკითხავია, შეუძლია თუ არა ვ-ს, თავის მხრივ, წამოაყენოს საპირისპირო მოთხოვნა მოტოროლერის დაზიანების გამო. აქ ზიანის ანაზღაურება გამოირიცხება: სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაზე დაფუძნებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ვინაიდან არ არსებობს ამისათვის აუცილებელი (ნამდვილი) ხელშეკრულება (იხ. ზემოთ). სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, მოთხოვნაც უსაფუძვლო იქნება: დელიქტის წინაპირობა ბრალეულობაა, რაც ამ შემთხვევაში არ დამდგარა, ვინაიდან მ-ს სატვირთო მანქანამ მოუჭრა გზა. ხსენებულ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველი ვ-ს მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე გააჩნია.
- c. თუმცა, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის იურიდიული შედეგი, პირველ რიგში, გადაცემულის (შესრულებულის) დაბრუნებაა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ფიზიკური გადაცემა შეუძლებელია – თუ ნივთი დაზიანდა ან განადგურდა - და მიმღებს არც ამ ნივთის რაიმე სხვა სახის შემცვლელი მიუღია (მაგ, სადაზღვევო პრემია), მაშინ სკ-ის 979-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიცვლება ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით. აქედან გამომდინარე, ასანაზღაურებელი იქნებოდა მოტოროლერის მთლიანი ღირებულება მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის, ანუ ჩვენს შემთხვევაში – ვ-ს მიერ მ-სთვის ნივთის გადაცემისას. თუ ჩავთვლით, რომ მოტოროლერის ღირებულება მისსავე ფასს შეესაბამება, ვ-ს აქვს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 400 ლარის ოდენობით.
- d. თუმცა, სკ-ის 979-ე მუხლის II ნაწილი იზღუდება ამავე მუხლის მე-3 ნაწილით: მისი მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების პასუხისმგებლობა არ დგება, თუ მიმღები არ გამდიდრებულა გადაცემული საგნის განადგურების გამო. ეს, ერთი შეხედვით, პარადოქსულად ჟღერს, ვინაიდან ჩვეულებრივი შეფასებით, მიმღები არასოდეს გამდიდრდება, თუ შემდგომში შესრულება ან საგანი განადგურდება, ვინაიდან ეს გადაცემული ნივთი მის ქონებას აღარ განეკუთვნება. ანუ, სკ-ის 979-ე მუხლის III ნაწილი ამ კუთხით რომ განვმარტოთ,

ამავე მუხლის მეორე ნაწილის ფორმულირება უკვე ზედმეტი იქნებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც გადაცემული საგანი ნადგურდება, არასოდეს დადგება ღირებულების ანაზღაურების საკითხი. აქედან კი ჩანს, რომ კანონმდებელს ე.წ. „გამდიდრების გამორიცხვის“ შემთხვევები სხვანაირად აქვს შეფასებული. აქ არა მხოლოდ იმაზეა საუბარი, კიდევ არსებობს თუ არა გადაცემული საგანი, არამედ იმაზე, თუ რამდენად და რა ფორმით აისახება მიმღების ქონებაზე გადაცემულის ღირებულება.

#### მაგალითი 25:

საპენსიო ფონდი შეცდომით უხდის პენსიონერ პ-ს ერთი წლის განმავლობაში 500 ლარით ზედმეტ პენსიას. პ-ს, რომელსაც ჰგონია, რომ პენსია მოემატა, იყენებს ნამატ თანხას და ისტუმრებს სესხს ბ-სთან.

#### ამოხსნა:

აქ მიღებული თანხა აღარ არსებობს, რადგან პ მას აღარ ფლობს, მაგრამ ზედმეტად გადახდილი თანხის ეკონომიკური ღირებულება ჯერ კიდევ არსებობს, ვინაიდან აქამდე არსებული ვალდებულება ბ-ს წინაშე გაქვითულია. ანუ ეს უპირატესობა ჯერ კიდევ არსებობს. აქედან გამომდინარე, პ ვერ დაეყრდნობა გამდიდრების გამორიცხვას.

#### ცვლილება:

იგივე შემთხვევაა, როგორც ზევით, თუმცა პ ხარჯავს ამ თანხას ძვირიან პროდუქტებზე და უმასპინძლებს მეგობრებს. აქ ამ თანხის თანაბარი ღირებულების არაფერი შემატებია პ-ს ქონებას, ასე რომ გამდიდრება მართლაც გამოირიცხა.

წინარე შემთხვევაში მოტოროლერიც და მისი ღირებულებაც სრულად გადის მ-ს ქონებიდან, მას არც ხარჯები დაუზოგავს, ასე რომ თავისუფლად შეუძლია განაცხადოს გამდიდრების გამორიცხვა.

- e. გამდიდრების გამორიცხვის განცხადება შეუძლია მხოლოდ შესრულების კეთილსინდისიერ მიმღებს (სკ-ის 981-ე მუხლის პირველი ნაწილი). არაკეთილსინდისიერმა, ან სარჩელში მოპასუხედ გამოცხადებულმა მიმღებმა იცის, რომ მან არამართლზომიერად მიიღო შესრულება, ორივე შემთხვევაში მან უნდა დააბრუნოს შესრულება და, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ნივთს. ეს ორივე შემთხვევა ე.წ. „გამძაფრებულ პასუხისმგებლობას“ გულისხმობს. ის გარემოება, რომ სკ-ის 981-ე მუხლის პირველი ნაწილი მხოლოდ (!) 979 პირველ და მეორე ნაწილებზე მიუთითებს, ნიშნავს, რომ ასეთი შესრულების მიმღებები ვერ დაეყრდნობიან სკ-ის 979-ე მუხლის მესამე ნაწილის ნორმას.

თუმცა, აქაც გვაქვს შეზღუდვა განადგურების ან გაუარესების შემთხვევაში: სკ-ის 989-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, არაკეთილსინდისიერი მიმღები მხოლოდ ბრალეულ განადგურებაზე ან ბრალეულ გაუარესებაზე აგებს პასუხს.

წინამდებარე შემთხვევაში მ არის არაკეთილსინდისიერი მიმღები, ვინაიდან სავარაუდოა, რომ 17 წლის პირმა უნდა იცოდეს წესები ქმედუნარიანობის შესახებ; ანუ მას უნდა სცოდნოდა, რომ არ შეეძლო ნამდვილი ხელშეკრულების დადება ვ-სთან, აქედან გამომდინარე, არამართლზომიერად გახდა მოტოროლერის მფლობელი. ვინაიდან მ-ს არ მიუძღვის ბრალი ავარიის მოხდენაში, მას აქვს უფლება, განაცხადოს გამდიდრების გამორიცხვის შესახებ.

პროცესუალურად აქ იგულისხმება შეცილება, ანუ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმღები განაცხადებს ამ გარემოების შესახებ.

2. დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შესრულების კონდიქციის შემდეგი გარემოებები სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით:

- მოთხოვნის მოვალეს ქონებრივი უპირატესობა უნდა ჰქონდეს მიღებული, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით;
- ქონების მატებას უნდა ედოს საფუძვლად შესრულება – ქონებრივი უპირატესობის მიზანმიმართული გადაცემა;
- შესრულებას არ უნდა გააჩნდეს იურიდიული საფუძველი, განსაკუთრებით კი არ უნდა ედოს საფუძვლად ნამდვილი ვალდებულებითი ურთიერთობა.

II. შესრულების კონდიქციის მომდევნო შემთხვევას ანესრიგებს სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, შესრულების უკან გამოთხოვა შეიძლება მაშინაც კი, როდესაც ამ შესრულების მოთხოვნის წინააღმდეგ მისი დადგომის მომენტშივე არსებობდა შეპასუხება. მნიშვნელოვანია, რომ ეს წესი არ ეხება შეცილებას ხანდაზმულობის გამო.

#### *მაგალითი 26:*

*მ-ს აქვს კ-ს ვალი, რომელიც გამომდინარეობს 2003 წელს დადებული ხელშეკრულებიდან – 150 ლარი. კ-ს დავინყებულები ჰქონდა ეს გარემოება. 2007 წლის დასაწყისში მას გაახსენდა თავისი მოთხოვნა და ამის შესახებ მან გააფრთხილა მ. კეთილგანწყობილი მ რამდენიმე დღის შემდეგ უხდის კ-ს თანხას. ცოტა ხნის შემდეგ მ შეიტყობს, რომ კ ყველგან ყვებოდა, თითქოს მ „საშინელი მოვალეა“ და ბრაზდება. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ნაცნობი ადვოკატი მ-ს უხსნის ხანდაზმულობის შესახებ.*

#### *ამოხსნა:*

*ვინაიდან მოთხოვნა წარმოიშვა 2003 წელს, მისი ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2006 წელს (სკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი). როდესაც კ-ს გაფრთხილება მოვიდა და მ-მ თანხა გადაიხადა, მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არსებობდა ხანდაზმულობის ვადის შესაგებელი (მ-ს რომ ის გა-*

მოყენებინა). მიუხედავად ამისა, მ-ს არ შეუძლია მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან სკ-ის 144-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით ეს გამორიცხულია, აგრეთვე, იმ შემთხვევებშიც, როდესაც შესრულების გამღებმა არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ.

სხვა შემთხვევებში ამ ნორმის გამოყენება პრაქტიკულად არც თუ ისე დიდი მნიშვნელობისაა.

III. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის II ნაწილით მონესრიგებული შესრულების კონდიქციის გამორიცხვის შემთხვევები იმის შედეგია, რომ უსაფუძვლო გამდიდრება წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის გავრცობას. ეს შეეხება შემთხვევებს, როცა მომხდარი გარემოებებიდან გამომდინარე, არასამართლიანი იქნებოდა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე წარმოშობილი ქონების ბრუნვის უკუქცევა მოგვეხდინა. პროცესუალურად აქ საუბარია სასამართლოს მიერ საკუთარი შეხედულებით გასათვალისწინებელ შესაგებლებზე, რაც განსაკუთრებით მეორე შემთხვევაში სისტემურ შეცდომას ნიშნავს, რადგან ხანდაზმულობის ვადაზე მითითება პრინციპულად მხოლოდ მოვალის მიერ უნდა მოხდეს (სკ-ის 144 I).

#### *მაგალითი 27:*

*მ აძლევს თავის შვილს შ-ს სესხს 1500 ლარის ოდენობით, სამომავლოდ უმაღლესში სწავლის საფასურის გადასახდელად. თუმცა, სესხს უკავშირებს ვალდებულებას, რომ შ-მ, აბიტურიენტმა, ჯერ წარმატებით უნდა დაასრულოს სააბიტურიენტო განათლება. ვინაიდან შ ბუნებით ძალიან ზარმაცია, მას ეს მოტივაციაც არ შევლის და ბოლო გამოცდას ის ვერ აბარებს.*

#### *ამოხსნა:*

*მ-ს კი იქნებოდა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით უკან დაბრუნების მოთხოვნა, ვინაიდან სესხის ხელშეკრულება*

დაკავშირებული იყო აუცილებელ პირობასთან<sup>57</sup> – აბიტურიენტის გამოცდის წარმატებით ჩაბარებასთან (იხ. სკ-ის 90-ე და 97-ე მუხლები). სესხის გაცემა კი ამ შემთხვევაში მოხდა ჩვეულებითი ვალდებულების (შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ვალდებულებისაც კი) – რჩენის ვალდებულების ფარგლებში, ასე რომ უკან დაბრუნება გამოორიცხულია.

**IV.** კიდევ ერთი შემთხვევა, სადაც გამოიყენება შესრულების კონდიქცია – ესაა შესრულების უკან მოთხოვნა მიზანთან შეუსაბამობის გამო (სკ-ის 977-ე მუხლის პირველი ნაწილი). ეს შემთხვევა უნდა გამოეყოს ვალდებულებით სამართალში არსებულ ნორმას ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებების შესახებ, როდესაც ორივე მხარე ხელშეკრულების საგანთან კონკრეტულ მიზანს აკავშირებს და თუ ამ მიზნის მიღწევლობა არც ერთი მხარის რისკის სფეროში არ შედის (სკ-ის 398-ე მუხლის III ნაწილი). უსაფუძვლო გამდიდრებიდან მოთხოვნა სკ-ის 977-ე მუხლის მიხედვით ითვალისწინებს ცალმხრივ მიზანს, რომელიც თუმცაღა შესრულების მიმღებს არ უნდა გამოჰპარვოდა მხედველობიდან.

#### *მაგალითი 28:*

*70 წლის ქვრივ მამაკაცს ქ-ს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ უფლის მომვლელი მ, რომელიც 24 საათის განმავლობაში ემსახურება მას. ქ ჰპირდება მ-ს ხარჯების ანაზღაურებას და ბინას, თუმცა ძალიან პატარა (შეუფერებლად მცირე) ხელფასს უხდის, ვინაიდან მ-მ სამომავლოდ უნდა იანდერძოს ქ-ს ნაკვეთი. გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ქ გადაიფიქრებს და თავის ძმისწულს, ძ-ს ნიშნავს თავის მოანდერძედ. შეუძლია თუ არა მ-ს მოითხოვოს ძ-საგან ნაკვეთის გადაცემა?*

1. სახელშეკრულებო მოთხოვნა მ-საგან ძ-ს მიმართ შეიძლება მხოლოდ გარდაცვლილი ქ-საგან გადასული უფლებიდან წარმოიშვას (სკ-ის 1484-ე მუხლი). ქ-ს სასარგებლოდ მომხდარი შესრულების

<sup>57</sup> პირობა, რომლის დადგომის შემთხვევაშიც გაფორმდება ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება არ ითვლება დადებულად.

საფუძველი არის ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც არსებობდა ქ-სა და მ-ს შორის (სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა, ეს ხელშეკრულება არ წარმოშობს აუცილებლად ნაკვეთის გადაცემის მოთხოვნის უფლებას მ-ს სასარგებლოდ, ვინაიდან, ერთი მხრივ, ქ-ს არ უნდოდა ნათლად ეკისრა მ-სათვის ნაკვეთის გადაცემის ვალდებულება. მეორე მხრივ, ასეთი ვალდებულება წერილობითი ფორმით უნდა გაფორმებულიყო (სკ-ის 183-ე მუხლი). აქ მ-ს დაეხმარება სკ-ის 977-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმა. შესრულება, რომელიც მან – ქონებრივად – მიღებულ ანაზღაურებაზე (კვება, ცხოვრება, გასამრჯელო) მეტობით გასწია, არ არის ნარდობის ხელშეკრულებაში შესული, არამედ სცილდება ამ ხელშეკრულების მიზანს და სრულდებოდა მხოლოდ ნაკვეთის ჩუქების მიზანთან შესაბამისად. ამით მ-ს უნდა ჰქონდეს მოთხოვნა ასეთ სავალდებულოზე ზედმეტად განეული (ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილ შესრულებაზე მეტი) შესრულების დაბრუნებაზე. ვინაიდან ასეთი შესრულების დაბრუნება შეუძლებელია მათი თვისობრივი ხასიათიდან გამომდინარე, ამიტომ ამ შემთხვევას შეესაბამება ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა (სკ-ის 979-ე მუხლის II ნაწილი). ამით მ-ს არ უჩნდება ნაკვეთის გადაცემის სამაგიერო გათანაბრების მოთხოვნა, არამედ ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ განეული მომსახურების ფულადი გათანაბრების მოთხოვნა.

2. სკ-ის 977-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმაც კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვიდან გამომდინარე წარმოადგენს გათანაბრების კონტროლის მექანიზმს. მიმღებს რომ სცოდნოდა, რომ დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო ან თუ თვითონ შეუშალა ხელი ამ მიზნის დადგომას, მაშინ უკან დაბრუნება გამორიცხულია (მე-2 ნაწილი).

#### V. გამდიდრების გათანაბრება სამი პირის ურთიერთობაში.

1. შემთხვევები, სადაც ვალდებულებით ურთიერთობებში ორ პირზე მეტი მონაწილეობს, რთული გადასაწყვეტია უსაფუძვლო გამდიდრების თვალსაზრისით.



### მაგალითი 29:

ა პოულობს ანდერძით მიღებული სახლის სხვენზე ნახატს და ყიდის მას ხელოვნების დიდ მცოდნეზე, ბ-ზე 1000 ლარად. ბ ხვდება, რომ ეს შესანიშნავი გარიგებაა, ვინაიდან პიკასოს ეს ნახატი სინამდვილეში ათჯერ მეტი ღირს. ის სასწრაფოდ ყიდის ნახატს 10 000 ლარად გ-ზე და უდებს პირობას ა-ს, სურათი პირდაპირ გ-ს გადაეცეს. გ-საგან მიღებულ თანხას ბ მთლიანად წააგებს კაზინოში. როდესაც ა გაზეთში წაიკითხავს „კვლავ ნაპოვნ პიკასოზე“, ის მშინათვე საცილოდ ხდის ხელშეკრულებას ბ-სთან შეცდომისა და განზრახ მოტყუების გამო. შეუძლია თუ არა ა-ს მოითხოვოს გ-საგან თანხის გადახდა?

### ამოხსნა:

ა-სა და გ-ს შორის სახელშეკრულებო მოთხოვნები არ არსებობს; გ არანაირად არ მონაწილეობდა ა-სა და ბ-ს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ა-ს არც ვინდიკაციური მოთხოვნა გააჩნია, ვინაიდან მან თავისი საკუთრება ნამდვილად გადასცა ბ-ს. ამ უკანასკნელმა ეს გადასცა გ-ს ისე, რომ გ გახდა საბოლოოდ სურათის მფლობელი. [რომც ჩავთვალოთ, რომ ბ-ს საკუთრების უფლება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის შემდეგ უკუქცევითად უქმდება, შედეგი მაინც არ შეიცვლება, ვინაიდან გ კეთილსინდისიერი შემძენია და სკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნამდვილად შეიძინა ქონება]. აქედან გამომდინარე, საკითხავია, შეუძლია თუ არა ა-ს დააფუძნოს თავისი მოთხოვნა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამის წინაპირობაა ის, რომ ა-მ პირდაპირ შესრულებით გადასცა გ-ს სურათი. ეს ამ შემთხვევაშიც არ დამდგარა: თუმცა გ-მ მართლაც და პირდაპირ ა-საგან მიიღო ნახატზე მფლობელობის უფლება, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი შესრულებით გადაცემის ფაქტობრივი გარემოებისათვის, შესრულების კონდიქციის შემთხვევაში. აქ მნიშვნელოვანია ის, თუ რა მიზნით შეასრულა ა-მ ეს მოქმედება [მნიშვნელოვანია: შესრულება არის ქონების მიზანმიმართული გამრავლება!].

ა-მ გადასცა მფლობელობა გ-ს იმ მიზნით, რომ ბ-სთან შესრულებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულება, აი, ეს იყო მისი შესრულების მიზანი. აქედან გამომდინარე, ა-ს შესრულება მოხდა ბ-სა და არა გ-ს მიმართ. ამით შესრულების კონდიქციიდან მოთხოვნაც გამოირიცხება. ა-ს არ შეუძლია რაიმე მოთხოვნა წაუყენოს გ-ს. ეს სავსებით მართებულიც არის, ვინაიდან გ კეთილსინდისიერი მყიდველია და მის ამ კეთილსინდისიერებასაც კანონი იცავს (იხ. სკ-ის 187-ე პირველი ნაწილი).

2. დაახლოებით მსგავსი რამ ხდება საბანკო გადარიცხვების დროს:

**მაგალითი 30:**

ა თავის ბანკს, ბ-ს აძლევს დავალებას, გ-ს სასარგებლოდ გადარიცხოს 1000 ლარი, როგორც მანქანის ნასყიდობიდან დარჩენილი გადასახდელი თანხა. ვინაიდან ა-ს ანგარიშზე არ დევს თანხა, ბანკი ფულს არ რიცხავს. ა-ს შემოაქვს ჩეკი, რომლის შესახებაც მან წინასწარ იცის, რომ ეს ჩეკი ყალბია. ჩეკი გამოწერილია ვინმე დ-ს მიერ 1200 ლარის თანხაზე. ბანკი ჩარიცხავს ამ თანხას ა-ს ანგარიშზე და გადარიცხავს საჭირო თანხას გ-ს სასარგებლოდ. ჩეკი არ განაღდება, ვინაიდან დ ამტკიცებს მის სიყალბეს. შეუძლია თუ არა ბ-ს მოითხოვოს გ-საგან თანხის დაბრუნება?

**ამოხსნა:**

აქაც შესრულების შინაარსზეა დამოკიდებული ამოხსნა: გ რომც ყოფილიყო ბ-ს კლიენტი, სინამდვილეში ბ-ს თანხის გადარიცხვით უნდოდა შეესრულებინა თავისი ვალდებულება (სკ-ის 861-ე მუხლი) ა-ს მიმართ. ამავე დროს, ა-ს უნდოდა ამ გადარიცხვით თავისი ნასყიდობიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებები შეესრულებინა გ-ს მიმართ. ანუ, უნდა გამოვეყოთ ორი სამართლებრივი ურთიერთობა: ერთი მხრივ, განკარგულების გამცემისა (ა) და განკარგულების მიმღების (ბ) ე.წ. გადაფარვა და ე.წ. სავალუტო ურთიერთობა განკარგულების გამცემსა (ა) და განკარგულების მიმღებს (გ) შორის. შესრულების კონდიქცია ხდება ყო-

ველთვის აღნიშნული ურთიერთობების შესაბამისად, შესრულების მიზნის დადგენის შედეგად. ამაზე მეტყველებს შემდეგი:

ცვლილება:

ა-ს ანგარიშზე საკმარისი თანხაა, მაგრამ მანქანა ისეთი ნაკლოვანია, რომ ა მოკლე ხანში გადის გ-სთან დადებული ხელშეკრულებიდან. სამწუხაროდ, ამასობაში გ გადახდისუუნაროა.

აქ ა-ს შეუძლია ბ-ს მიმართოს, რომელმაც გადახდა აწარმოა, ვინაიდან ბ-ს მიერ ა-ს მიმართ ვალდებულების შესრულებისათვის (გ-ს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესრულება) სამართლებრივი საფუძველი არსებობს. ა-ს კი არანაირი შესრულება არ გაუწევია ბ-სათვის, არამედ გასწია შესრულება გ-ს მიმართ, ვინაიდან ბანკოსათვის გაცემული საგადახდო დავალება ა-სა და გ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულება იყო.

## VI. არაკონდიქცია (არშესრულების კონდიქცია).

1. თუ ქონების გადაცემა არ ხდება ზემოთ მოყვანილი „შესრულების“ გზით, მაშინ ასევე გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები უკან მოთხოვნის საფუძვლებისათვის. ამ შემთხვევებს ეწოდებათ „არაკონდიქციის“ შემთხვევები, ან შემთხვევები „სხვის ხარჯზე“. ძირითადი ნორმა აქ არის სკ-ის 991-ე მუხლი. ამასთან, პირველ რიგში, იბადება შეკითხვა, თუ რა დამოკიდებულება არსებობს შესრულების კონდიქციასა და არაკონდიქციას შორის.

მაგალითი 31:

სამშენებლო ფირმა ს თავისი დამკვეთი ა-სათვის აშენებს საცხოვრებელ სახლს. ს დებს ხელშეკრულებას ი-სთან, რომელიც აყენებს სახლში გათბობასა და წყლისა და გათბობის მილებს. ი ასრულებს თავის დავალებას. ს არ უხდის მას დაპირებულ თანხას, ვინაიდან ა სახურავის ნაკლის გამო გარკვეულ თანხას დაუკავებს ს-ს. მოგვიანებით ს გაკოტრდება. რა შეუძლია ი-ს?

*ამოხსნა:*

რასაკვირველია, ი-ს აქვს ს-ს მიმართ შეთანხმებული საზღაურის გადახდის მოთხოვნის უფლება (სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი); მაგრამ ეს თანხა არანაირ ღირებულებას აღარ წარმოადგენს, ვინაიდან ს-ს ქონება აღარ გააჩნია. საკითხავია, ხომ არ შეუძლია ი-ს, მოსთხოვოს ა-ს დამონტაჟებული საგნების უკან დაბრუნება, ან შესაბამისი ფულადი ანაზღაურების გადახდა. დამონტაჟებული საგნების დაბრუნების მოთხოვნა ვერ დაეფუძნება სახელშეკრულებო პირობებს, ვინაიდან ა-სა და ი-ს ერთმანეთთან არანაირი ხელშეკრულება არ დაუდიათ. ვინდოკაციური მოთხოვნაც (სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი) ვერ დაეხმარება ა-ს მიზნის მიღწევაში. ი კი იყო დამონტაჟებამდე ამ საგნების მესაკუთრე, მაგრამ მან, სავარაუდოდ, დაკარგა საკუთრების უფლება სკ-ის 193-ე მუხლის შესაბამისად: ამ ნორმის მიხედვით წინანდელი მესაკუთრე კარგავს საკუთრების უფლებას მოძრავ ნივთზე, თუ ის გახდა ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი (სკ-ის 150-ე მუხლის II ნაწილი). აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება ჩამონტაჟებული გათბობისა და წყლის გაყვანილობა, ვინაიდან მათი ამოღება სახლის კედლებიდან შეუძლებელი იქნება, დაზიანების გარეშე. გათბობის აგრეგატთან მიმართაც შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იგი გახდა არსებითი შემადგენელი ნაწილი, როგორც ამას სკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი განმარტება ცხადჰყოფს: საკმარისია, რომ „არსებითი“ შემადგენელი ნაწილის გამოყოფას მოსდევდეს მთავარი ნივთის დანიშნულების დაზიანება / ხელშეშლა. ეს პირობები კარგად შეესაბამება საცხოვრებელი სახლის შემთხვევას, ვინაიდან გათბობის გარეშე ზამთარში სახლის გამოყენება შეუძლებელი ხდება. შედეგად ი-მ დაკარგა თავისი ქონება (იხ. სკ-ის 196-ე მუხლი), ხოლო სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი აქ არ გამოიყენება.

თუმცა კანონი ანიჭებს საკუთრების დამკარგველს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას (სკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგრამ ჩვენს შემთხვევაში იგივე ნორმის მეორე ნაწილი გამოიყენება ა-ს სასარგებლოდ – მან ხომ ბ-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო გათბობა და გაყვანილობა.

აქედან გამომდინარე, ისმის შეკითხვა, ხომ არ შეუძლია ი-ს მოითხოვოს ღირებულების ანაზღაურება შერულების კონდიციის ნორმებიდან გამომდინარე (სკ-ის 976-ე მუხლი, 979-ე მუხლის II ნაწილი). ამის წინაპირობა კი არის ი-ს „შესრულება“ ა-ს მიმართ. ვინაიდან შესრულების ცნება გულისხმობს ქონების შეგნებულ და გამიზნულ გადაცემას (იხ. ზევით), ამ შემთხვევაში არ გვაქვს ი-ს მიერ შესრულება ა-ს მიმართ (!), ვინაიდან ი-ს სურვილი იყო, მონტაჟის შედეგად სახელშეკრულებო ვალდებულება შეესრულებინა ს-ს მიმართ და არა ა-ს მიმართ – ის ხომ ა-სთან არანაირი ურთიერთობით არ იყო დაკავშირებული.

საკითხავია, შეუძლია თუ არა ი-ს თავისი მოთხოვნა დაამყაროს სკ-ის 987-ე ან 991-ე მუხლს.

თავიდან ჩანს, თითქოს სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობა სიტყვასიტყვით ემთხვევა მოცემულ შემთხვევას: ი-მ გათბობის დამონტაჟებით ხარჯები განია [განსაზღვრება: ხარჯები ქონებაზე, რომლებიც ნივთის სასარგებლოდ ხდება, ემსახურება ნივთის აღდგენას, შენარჩუნებას, მოვლას] ა-ს სახლზე, ვინაიდან გათბობის დამონტაჟებით და გაყვანილობის დაყენებით სახლს ღირებულება მოემატა. მოთხოვნა კი ითვალისწინებს იმასაც, რომ ა უნდა „გამდიდრებულიყო“. კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში, კანონი ზუსტად არ აღწერს, მაგრამ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების ზოგადი შინაარსიდან ადვილად გამოგვაქვს დასკვნა, რომ: სკ-ის 976-ე და მომდევნო მუხლების მიზანი არის გაათანაბროს ისეთი ქონებრივი მოძრაობა, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოხდა, ისე რომ არსებული ქონებრივი მდგომარეობა კეთილსინდისიერების პრინციპის დებულებებთან შესაბამისობაში იყოს. სკ-ის 987-ე მუხლის მიხედვით გამდიდრება მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც მისი გამოყენებისათვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ეს შემთხვევა არ დგება მაშინ, როდესაც გამოყენება ხდება არსებული ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, იმიტომ რომ აქ მოცემულია ქონების მოძრაობის საფუძველი, რომელსაც აღიარებს კანონიც. აქედან გამომდინარე, ი ვერაფერს მოითხოვს სკ-ის 987-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან დამონტაჟების დროს ა-სა და ს-ს შორის

არსებობდა ნარდობის ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის აშენების თაობაზე. ქონების მოძრაობა ა-ს სასარგებლოდ მოხდა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, ხოლო იმის საჭიროება, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ი-ს სასარგებლოდ მოხდეს უკან დაბრუნება, არ არსებობს.

სკ-ის 991-ე მუხლიც მხოლოდ იმ შემთხვევებში გამოიყენება, როდესაც მოვალე გამდიდრდა სხვა, კანონის მიერ გაუთვალისწინებელი გზით. კანონი აქაც ნათლად განსაზღვრავს გამდიდრების ტერმინს – ქონების მოძრაობა უნდა მოხდეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან ორი რამ გამომდინარეობს:

- არაკონდიქციის შემთხვევებშიც (გამდიდრება სხვის ხარჯზე) ყოველთვის მოცემულია წინაპირობა, რომ არ უნდა არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი ქონების მოძრაობისათვის; ასეთი საფუძველი, როგორც წესი, ვალდებულებითი ურთიერთობა, აქარწყლებს მოთხოვნის საშუალებებს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმებზე დაყრდნობით.
- შესრულების კონდიქციისა და არაკონდიქციის შეფარდებისას წარმოიშობა შესრულების კონდიქციის ე.წ. უპირატესობა, რაც ნიშნავს, რომ ყოველთვის, როდესაც ქონების მოძრაობას საფუძველად უდევს შესრულება ზემოთხსენებული გაგებით – ანუ, როგორც წესი: (არშემდგარი) ვალდებულებითი ურთიერთობა, ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის დაყენება შეიძლება მხოლოდ შესრულების კონდიქციის საფუძველზე. არაკონდიქციის გამოყენება აქ გამოირიცხება. გამდიდრების გათანაბრება უნდა შემონმდეს მხოლოდ (!) შემსრულებლის მხრიდან მიმღების მიმართ ურთიერთობაში; თუ შესრულების კონდიქცია არ გახდება საჭირო (მაგალითად თუ შესრულების ეტაპზე არსებობს სამართლებრივი საფუძველი [როგორც ზემოთხსენებულ მაგალითში]), მაშინ არაკონდიქციასაც ვეღარ გამოვიყენებთ. ეს იმას ეფუძნება, რომ ქონების მოძრაობას, შესრულების ლოგიკიდან გამომდინარე, მხოლოდ შესრულება ან სხვა ჩარევა უნდა ედოს საფუძველად – ორივე სამართლებრივი ინსტიტუტი ერთმანეთს გამოირიცხავს.

2. არაკონდიქციის კლასიკური შემთხვევა არის უცხო პირთა უფლებებში ჩარევა. აქ არ არის საუბარი იმაზე, მართლწესრიგი კრძალავს თუ არა ასეთ ჩარევას, ან ეს ჩარევა დელიქტურად ხომ არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას. არაკონდიქციის შემთხვევებისათვის მნიშვნელოვანია უფრო ის, რომ მიღებულ უპირატესობას მართლწესრიგი სხვა პირს მიაკუთვნებს. არც ისაა მნიშვნელოვანი, რა გზით ხდება ჩარევა. ჩარევის კონდიქციის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც ქმედება, ასევე ბუნებრივი მოვლენები.

### *მაგალითი 32:*

*ც-ს ცხვრის ფარა გაძვრა ქარბუქით და ზიანებულ ლობეში და ე-ს მინდორზე ძოვს ბალახს. ამით ც გამდიდრდა, ვინაიდან იმ დროის განმავლობაში, როდესაც ცხვრები ე-ს ბალახს ძოვდნენ, ც-ს არ დასჭირვებია საკვების შეძენა ცხვრებისათვის; ხოლო ე დაზარალდა, ვინაიდან ბალახის საფარი დაკარგა.*

### *ამოხსნა:*

*ეს მაგალითი ეყრდნობა ბუნებრივ გარემოებას, მაგრამ კანონი სკ-ის 991-ე მუხლში ითვალისწინებს გარემოებას, რომ ც-მ მიღებული გამდიდრება ე-ს სასარგებლოდ გაათანაბროს. აქ ც-ს, რა თქმა უნდა, მიღებულის უკან დაბრუნება არ შეუძლია, მაგრამ რჩება გამდიდრებული, ვინაიდან საკვების ყიდვა არ დასჭირდა – ამიტომ მან უნდა აანაზღაუროს ღირებულება (სკ-ის 979-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი).*

სირთულეები წარმოიშობა ე.წ. ჩარევის კონდიქციაში ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხდება მისი თანხვედრა სხვა არაკონდიქციურ შემთხვევებთან ან როდესაც არსებობს კანონის ურთიერთსანიანაღმდეგო ნორმები.

მაგალითი 33:

ბინის მესაკუთრე ე ტოვებს დროებით ბინას და ცოტა ხნით საზღვარგარეთ მიემგზავრება. როდესაც ამას მისი მეზობელი ნ შეიტყობს, თითქოს ე საზღვარგარეთ გარდაიცვალაო, დაესაკუთრება ბინას და დაამონტაჟებს მასში კონდიციონერის სისტემას. მას შემდეგ რაც ნ ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ბინაში, ე უეცრად დაბრუნდება სახლში და სარჩელს აღძრავს ნ-ის წინააღმდეგ - თავისი საკუთრების, ანუ ბინის დაცლის მოთხოვნით, რასაც სასამართლო დააკმაყოფილებს (სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი). შეუძლია თუ არა ე-ს, მოითხოვოს ნ-საგან ზიანის ანაზღაურება ბინაში ცხოვრების გამო? შეუძლია თუ არა ნ-ს საპირისპიროდ კონდიციონერის სისტემის დამონტაჟების ხარჯის ანაზღაურება მოითხოვოს?

ამოხსნა:

- a. სახელმშეკრულებო მოთხოვნები ე-სა და ნ-ს შორის, რა თქმა უნდა, არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობდა არც ვალდებულებითი ურთიერთობა. სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე დაყრდნობაც უსაფუძვლოა, ვინაიდან ნ-ს მიერ ბინის გამოყენებამ ე-ს არანაირი ზიანი არ მიაყენა; მისი ქონება არ შემცირებულა უნებართვო მფლობელობის გამო. მოთხოვნები შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე (სკ-ის 976-ე მუხლი), აგრეთვე, არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ქონებრივი უპირატესობა, რომელიც ნ-მ მიიღო, არ იყო ე-ს მიერ მიზანმიმართული შესრულების შედეგი. აქ ნ-მ სარგებელი მიიღო ე-ს ქონებრივ უფლებებში - აქ, საკუთრების უფლება - საკუთარი ჩარევის შედეგად.
- b. ამ შემთხვევისათვის არაკონდიქციის (ჩარევის კონდიქციის) სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი სპეციალური წესები უნდა გამოვიყენოთ. თუმცა, სამართლებრივ შედეგში აღწერილია, რომ ხელმოკვდა პირმა უნდა აანაზღაუროს ზიანი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს ნორმა განლაგებულია სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების სხვა



ნორმებთან ერთად, იმაზე მიგვანიშნებს, რომ სინამდვილეში არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრებასთან გვაქვს საქმე. ეს განსაუთრებით სკ-ის 985-ე მუხლიდან ჩანს, რომელიც კრედიტორს აძლევს უფლებას, ხელმყოფისაგან მიყენებული განზრახვი ზიანისათვის მოითხოვოს ხელყოფიდან წარმოშობილი მოგება. სკ-ის 982-ე მუხლის პირველ ნაწილში მართლაც რომ იყოს ზიანის ანაზღაურება ნაგულისხმები, მაშინ პირს, რომელსაც ზიანი მიაღდა, უკვე სკ-ის 411-ე მუხლიდან გამომდინარე ექნებოდა (დაკარგული) მოგების მოთხოვნის უფლება – და ამით სკ-ის 985-ე მუხლი საერთოდ ზედმეტი იქნებოდა. გარდა ამისა, 411-ე მუხლი ანიჭებს მოთხოვნის უფლებას იმის მიუხედავად, კეთილსინდისიერია თუ არა ხელმყოფი – სკ-ის 985-ე მუხლის მიხედვით კი, ამის საპირისპიროდ, მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა განზრახვა, რაც კვლავ იმას ადასტურებს, რომ ეს ორი ნორმა სხვადასხვა შემთხვევებს არეგულირებს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში იარსებებდა ქონების ანაზღაურების მოთხოვნა ამოუხსნელი დარჩებოდა.

სკ-ის 982-ე მუხლის იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. გათანაბრების მოთხოვნის მოცულობის დადგენისას – ისევე როგორც შესრულების კონდიქციისას – უნდა მოვიშველიოთ სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი, ანუ მიღებული სარგებელი უნდა დაბრუნდეს. ვინაიდან ეს უკვე შეუძლებელია, რადგან სარგებელი „გახარჯულია“ ბინაში ცხოვრებით, აქ ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა უნდა გამოვიყენოთ – სკ-ის 979-ე მუხლის II ნაწილი. ეს კი პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია ისე, რომ მსგავსი ბინის ქირაობა უნდა მოხდეს, ჩვეულებრივ, ადგილის შესაბამის ფასად. შესამონშმებელია, აგრეთვე, ნ-ს ხომ არ შეუძლია პროტესტი გამოთქვას იმის თაობაზე, რომ ბინის გამოყენებიდან მიღებული უპირატესობა მის ქონებაში აღარ შედის და რომ გამდიდრება აღმოფხვრილია (იხ. ზევით I.1.ც.). ჩარევის კონდიქციის შემთხვევისათვის კანონში არსებობს ცალკე ნორმა – სკ-ის 984-ე მუხლი: თუ

ხელმყოფმა უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ იცოდა უფლების ხარვეზის შესახებ. ეს შეგვიძლია ცალსახად უარყოთ. ნ-ს რომც ზუსტად ცოდნოდა, რომ ე საზღვარგარეთ გარდაიცვალა (თუმცა ფაქტებიდან ჩანს, რომ მას ეს არ შეიძლებოდა ზუსტად ცოდნოდა), მაშინ მას ის უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ბინა ე-ს მემკვიდრეებს ეკუთვნოდათ და არამც და არამც, მას თვითონ.

შედეგად, ნ-მ უნდა აუნაზღაუროს ე-ს ბინის გამოყენების ღირებულება.

- c. იგივე შედეგი დგება მაშინაც, როდესაც მოთხოვნა მფლობელობის უფლების დაცვიდან გამომდინარეობს (სკ-ის 155-ე და მომდევნო მუხლები). ე არის უფლებამოსილი პირი, ვინაიდან ის მესაკუთრე იყო და არის. ნ არის ბინის მფლობელი და, რალა თქმა უნდა, არაკეთილსინდისიერი, ვინაიდან მას უნდა სცოდნოდა, რომ ბინას ასე უბრალოდ ვერ დაისაკუთრებდა. ის ვალდებულია, მიღებული სარგებელი აანაზღაუროს, აგრეთვე, სკ-ის 164-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.
- d. საკითხავია, ნ-ს ხომ არ აქვს მის მიერ კონდიციონების სისტემის მონტაჟისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. აქაც გამოირიცხება როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნები, ასევე შესრულების კონდიქციის წესები [ნ-ს უნდოდა სისტემის დაყენება პირადი მოხმარებისათვის, და არა ე-სათვის]. ეს შემთხვევა არის ე.წ. გამოყენების კონდიქციის მაგალითი, ანუ ქონების ისეთი მოძრაობის, რომელიც ემყარება სხვის ნივთზე გაწეული ხარჯის გადაცემას.
- (a) აქაც შეგვიძლია, პირველ რიგში, სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა გავიხსენოთ. სინამდვილეში ხომ კონდიციონების სისტემის დაყენება „შეგნებული ხარჯია“ ამ მუხლის მიხედვით [იხ. ზევით VI.1. პუნქტში ხარჯის განმარტება]. თუმცა ეს მოთხოვნა ძალას კარგავს სკ-ის 984-ე მუხლის მეორე ნაწილის გამო, ვინაიდან ეს ნორმა ჩარევის კონდიქციისას ადგენს, რომ ხარჯები, რომელსაც განეც ხელმყოფი გამოყენებულ ქონებაზე, მის გამდიდრებას არ ამცირებს. ეს ნიშნავს, რომ ხელმყოფი ამით არც სრულად და არც ნაწილობრივ არ თავისუფლდება გამდიდრების გათანაბრების ვალ-

დებულებისაგან, იმის მიუხედავად, რომ მან მისაკუთრებულ ქონებაზე ხარჯები გასწია, ნ-ს არ შეუძლია კონდიციონების სისტემის გამო ე-საგან რაიმე მოითხოვოს.

- (ბ) თუმცა, ეს შედეგი არ შეესაბამება მესაკუთრისა და მფლობელის ურთიერთობას (სკ-ის 155-ე და მომდევნო მუხლები). სკ-ის 164-ე III ნაწილის მიხედვით, ნ-ს როგორც არაკეთილსინდისიერ მფლობელს ექნებოდა იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რითიც ე ნიუთის უკან გადაცემის მომენტში გამდიდრდებოდა. ამას მივყავართ შეკითხვამდე, რომელი ნორმა უნდა გამოვიყენოთ ასეთი შემთხვევის განხილვისას. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესები მხოლოდ ინსტრუმენტია არსებული შემთხვევების დამუშავებისათვის, სადაც კანონი სხვა გზას არ გვიტოვებს გარდა იმისა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე გათანაბრდეს მდგომარეობა მონაწილეთა შორის. ანუ ეს ნორმები სუბსიდიარული<sup>58</sup> ხასიათისაა სხვა კანონისმიერ ინსტრუმენტებთან შედარებით. თუ კანონში, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია, მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობისათვის კონკრეტული ნორმა არსებობს, მაშინ ამ ნორმას უპირატესი ხასიათი აქვს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებთან შედარებით (*lex specialis ante lex generalis*<sup>59</sup>).

3. მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის გარდა გამოყენების კონდიქციას საკუთარი, დამოუკიდებელი მნიშვნელობაც გააჩნია.

#### **მაგალითი 34:**

ც-ს ცხვრის ფარა (იხ. მაგალითი 12) შეერევა ე-ს ფარას და მას ე-ს თანამშრომლები გაპარსავენ.

<sup>58</sup> დამხმარე ხასიათი

<sup>59</sup> სპეციალური ნორმა ზოგად ნორმაზე უპირატესია (ლათ.)

*ამოხსნა:*

რასაკვირველია, ც-ს აქვს ე-საგან მატყლის მოთხოვნის უფლება (სკ-ის 991-ე მუხლი). ამის საპირისპიროდ ე-ს შეუძლია ც-საგან მოითხოვოს სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ც-ს ცხვრის გაპარსვისათვის განუვლი ხარჯების ანაზღაურება.

4. არაკონდიციის შემთხვევებშიც გვხვდება ე.წ. „სამკუთხედი“ – მოთხოვნები სამი პირის ურთიერთობიდან. ამ შემთხვევებს არეგულირებს სკ-ის 982-ე და 983-ე მუხლები.
  - a. აქ, პირველ რიგში, ჩარევის კონდიციის შემთხვევებზეა ლაპარაკი, როდესაც გამდიდრების მოვალე განკარგვიდან, ანუ უფლების ცვლილებიდან გამომდინარე, მესამე პირის სასარგებლოდ ერევა გამდიდრების კრედიტორის ქონებაში (ე.წ. არამართლზომიერი პირის მიერ განკარგვა).

*მაგალითი 35:*

ა ათხოვებს ბ-ს ძვირფას ნახატს. ბ აჩვენებს მას გ-ს, ხელოვნების დიდ თაყვანისმცემელს და რომელსაც ნებისმიერ ფასად უნდა ამ ნახატის შეძენა. ბ დაეკითხება ა-ს, რომელიც განუცხადებს, რომ 1500 ლარად გაყიდის ნახატს, თუ ბ დაითანხმებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ა-ს მამას, ვ-ს. ბ მისწერს ვ-ს წერილს, სადაც აღუწერს სიტუაციას. ვ-საგან პასუხი არ არის. ბ მას დაურეკავს, მაგრამ ტელეფონს პასუხობს მოსამსახურე, რომელიც ეუბნება ბ-ს, თითქოს ვ-ს თანხმობა განუცხადებია (რაც სინამდვილეს არ შეესაბამება). გახარებული ბ ყიდის ნახატს 3000 ლარად გ-ზე, რომელსაც, თავის მხრივ, ჰგონია, რომ ნახატის მესაკუთრე არის ბ.

*ამოხსნა:*

ბ არ იყო ნახატის მესაკუთრე, ც კი გახდა სკ-ის 187 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნახატის მესაკუთრე, ვინაიდან ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე არ ჩანს, რომ მას უნდა სცოდნოდა იმის შესახებ, რომ ბ არ იყო უფლებამოსილი. ა-ს მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ბ-ს წინააღმდეგ თხოვნების ხელშეკრულების ვალდებულების დარღვევის გამო (სკ-ის 394-ე პირველი ნაწილი, 615-ე მუხლი) ან დელიქტიდან გამო (სკ-ის 992-ე მუხლი) უსაფუძვლო იქნება, თუ ა არ დაადასტურებს, რომ ბ-მ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ის ფაქტი, რომ ვ-ს არ გაუცია თანხმობა და, შესაბამისად, ბრალეულად მოქმედებდა. გ-ს წინააღმდეგ ა-ს არანაირი მოთხოვნის უფლება არ აქვს, ვინაიდან მან ა-ს საკუთრების უფლება ბრალის გარეშე ხელყო. ა-ს მიერ გ-ს მიმართ მოთხოვნა არც სკ-ის 982 I მიხედვით არის გამართლებული, ვინაიდან არაკონდიქცია იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ქონების მოძრაობას „შესრულება“ არ უდევს საფუძვლად; რაც ამ შემთხვევაში არ გვაქვს მოცემული – ვინაიდან გ-მ ნახატი შეიძინა ბ-სთან დადებული სამართლებრივად ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ხოლო იმის მიზეზი, რომ კანონისაგან დაცული ეს ნასყიდობა არაკონდიქციის მოთხოვნით სადავო გახდეს (იხ. ზევით VI.1.), არ არსებობს.

საწინააღმდეგოდ ა-ს შეუძლია სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი გამოიყენოს ბ-ს წინააღმდეგ, რადგან ბ-მ, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა, განკარგვის გზით – საკუთრების გადაცემა ა-დან გ-ზე – ხელყო ა-ს ქონება. აქაც, კანონის შესაბამისად, დგება ზიანის ანაზღაურება როგორც სამართლებრივი შედეგი. თუმცა, რამდენად მართებულია ეს ნორმების სისტემატური განლაგებისა და შინაარსის მიხედვით, სადავოა. თუ ჩავთვლით, რომ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არსებობს, მაშინ ა-ს ექნებოდა ნახატის საბაზრო (ბრუნვის) ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა. რადგან ეს ღირებულება შეადგენს 1500 ლარს, მოთხოვნაც ამ თანხით შემოიფარგლება. ა-ს არ აქვს გ-ს მიერ გადახდილი თანხის – 3000 ლარის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან სკ-ის 985-ე პირველი ნაწილის მიხედვით, მას მხოლოდ განზრახვის შემთხვევაში შეეძლება მოითხოვოს ეს ბ-საგან. სხვანაირად არის მდგომარეობა,

თუ ამ ნორმას განვმარტავთ როგორც გამდიდრების გათანაბრებას; მაშინ ბ-მ „მიღებული“ უნდა დააბრუნოს, რაც, თავისთავად, გ-საგან მიღებული თანხის გაცემას ნიშნავს.

**ცვლილება:**

ნახატის ღირებულება შეადგენს 3000 ლარს, ბ-მ კი ნახატი გ-ს 1500 ლარად მიჰყიდა.

**ამოხსნა:**

თუ სკ-ის 982-ე პირველ ნაწილს განვმარტავთ, როგორც ზიანის ანაზღაურებას, მაშინ ა-ს აქვს 3000 ლარის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან ამ შემთხვევაში მას შეუძლია საბაზრო ღირებულება მოითხოვოს. თუ ამ ნორმას მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნად განვიხილავთ, მაშინ ბ-მ მიღებული უნდა დააბრუნოს – ანუ მხოლოდ 1500 ლარი. აქ შეიძლება გამოვიყენოთ სკ-ის 979-ე II ნაწილის ნორმა, ვინაიდან ბ-ს უნდა დაებრუნებინა ნახატი და რადგან მას ეს არ შეუძლია, მაშინ უნდა ანაზღაურდეს მთლიანი ღირებულება – 3000 ლარი.

- b. აღნიშნულისაგან უნდა გამოვიყოთ შემთხვევები, როდესაც ქონების მიმოქცევა ნამდვილია და მას ადგილი აქვს გამდიდრების მოვალის სასარგებლოდ (არაუფლებამოსილი პირის სასარგებლოდ მომხდარი გადაცემა).

**მაგალითი 36:**

ბიზნესმენ კ-ს აქვს ნახატის მიწოდების მოთხოვნა ვ-ს მიმართ. ბანკისაგან – გ-საგან სესხის უზრუნველყოფისათვის კ უთმობს ბ-ს თავისი კლიენტების მიმართ სხვადასხვა მოთხოვნის უფლებებს და, მათ შორის, გ-საგან ნახატის გადაცემის მოთხოვნასაც. როდესაც ბ ემუქრება კ-ს კრედიტის გაუქმებით, კ მოსთხოვს ვ-ს ნახატის გა-

დაცემას. ვ გადასცემს მას ნახატს. მომდევნო დღეს ბანკი აუქმებს სესხის ხელშეკრულებას, ატყობინებს კ-ს კლიენტებს ამის თაობაზე და მოითხოვს მათგან შესრულებას.

**ამოხსნა:**

ვინაიდან ბ დათმობის (სკ-ის 198 I) შედეგად გახდა ვ-ს მიმართ მოთხოვნის მფლობელი, მას შეუძლია მოითხოვოს ამ ნახატის გადაცემა. ვ-ს შეუძლია გააპროტესტოს მოთხოვნა იმის საფუძველზე, რომ იგი უკვე გაქვითულია გადახდის გზით – სკ-ის 200-ე მუხლის მიხედვით. ვ-მ უფრო ადრე გადასცა ნივთი კ-ს, ვიდრე შეიტყობდა სესხის გაუქმების შესახებ. ბ-ს რჩება მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ კ-საგან მოითხოვოს ნახატის გადაცემა სკ-ის 983-ე მუხლის მიხედვით; ბ-სთან ურთიერთობიდან გამომდინარე, კ-ს არ ჰქონდა უფლება, ვ-საგან მოეთხოვა შესრულება, რადგან მას ეს მოთხოვნის უფლება უკვე დათმობილი ჰქონდა ბ-ს სასარგებლოდ. ვ-ს შესრულება ამ შემთხვევაში იყო შესრულება არაუფლებამოსილი პირის მიმართ.

**VII. განკარგვები ღირებულების გარეშე**

ზემოთ ხსენებულ შემთხვევებში კანონი იცავს გარეშე მდგომ მესამე პირებს, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების გათანაბრება მხოლოდ შემსრულებელსა და შესრულების მიმღებს, ან ხელმყოფსა და ხელყოფის მსხვერპლს შორის ხდებოდა. ღირებულების არმქონე განკარგვის შემთხვევაში მესამე პირის ასეთი დაცვა არ ხდება. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ კანონი ისეთ შეძენას, რომელსაც არ გააჩნია ღირებულება, ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევს და მის დაცვას არ ითვალისწინებს.

**მაგალითი 37:**

ა ყიდულობს ფსიქიურად დაავადებული (ისე, რომ მან ეს ფაქტი არ იცის) ბ-საგან ძვირფას ნახატს და ჩუქნის თავის მეუღლეს, ფ-ს.

*ამოხსნა:*

ვინაიდან ა-სა და ბ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ბ-ს აქვს სურათის გადაცემის მოთხოვნა ა-ს მიმართ სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით (შესრულების კონდიცია). ვინაიდან ა-მ ეს ნახატი ფ-ს უსასყიდლოდ გადასცა, მასაც საპასუხო ანაზღაურების გარეშე შეუძლია მოსთხოვოს ფ-ს ნახატის დაბრუნება სკ-ის 989-ე მუხლის შესაბამისად.

*მაგალითი 38:*

ა ათხოვებს ბ-ს ძვირფას ნახატს, რომელსაც ბ შემდგომში ჩუქნის გ-ს. გ აქ მესაკუთრე ხდება, თუ მან კეთილსინდისიერად იცოდა ბ-ს უფლებამოსილების შესახებ. თუმცა ა-ს შეუძლია გ-ს მოსთხოვოს სკ-ის 990-ე მუხლის მიხედვით ნახატის უკან დაბრუნება, ვინაიდან გ-ს ნივთი უსასყიდლოდ აქვს მიღებული.



## ნანილი 3

### III. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ მოთხოვნათა საფუძვლების ჩამონათვალი

შემოკლებების განმარტება:

მაგ.: მუხ. 38 II 2 = 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება

მუხ. 164 2 წ. = 164-ე მუხლის მე-2 წინადადება

#### ზოგადი ნაწილი

#### სახელის უფლება:

- მუხ. 18 I** პირის სახელით უნებართვო სარგებლობის შემთხვევაში მოქმედების შეწყვეტის ან უარის თქმის მოთხოვნა
- მუხ. 18 II** პატივისა და ღირსების შელახვისაგან კანონიერი დაცვის მოთხოვნა
- მუხ. 18 IV** პატივისა და ღირსების შელახვის საპასუხო ცნობების გამოქვეყნების მოთხოვნა
- მუხ. 18 VI 2** ზიანის (ზარალის) ანაზღაურების მოთხოვნა პატივისა და ღირსების შელახვისას
- მუხ. 181 I** პერსონალური მონაცემების მოთხოვნის უფლება
- მუხ. 181 III** პერსონალური მონაცემების მოთხოვნის უფლება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე
- მუხ. 19** მესამე პირის მოთხოვნა პირის პატივისა და ღირსების (მუხ. 18 II-თან ერთად) შელახვის შეწყვეტაზე, უარყოფაზე ან საპასუხო ცნობების გამოქვეყნებაზე
- მუხ. 27 IV** არასამეწარმეო იურიდიული პირის მოთხოვნა სახელით უნებართვო სარგებლობის შემთხვევაში მოქმედების შეწყვეტაზე ან ზიანის ანაზღაურებაზე

**მუხ. 27 V** არასამენარმეო იურიდიული პირის მოთხოვნა საქმიანი (მუხ. 18 II-თან ერთად) რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში შემლახველი ცნობების უარყოფაზე, შეწყვეტაზე ან საპასუხო ცნობების გამოქვეყნებაზე

#### გარდაცვლილად გამოცხადება:

**მუხ. 23 II** გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მოთხოვნა მისი ქონების მფლობელისაგან უკან დაბრუნებაზე

**მუხ. 23 III** გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მოთხოვნა მისი ქონების შემქენის მიმართ

**მუხ. 23 IV** გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მიერ ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის სახელმწიფოსაგან უკან დაბრუნების მოთხოვნა

#### არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები:

**მუხ. 28 V** არასამენარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნა

**მუხ. 37 I** მესამე პირის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მოქმედების გამო

**მუხ. 37 II 2** არასამენარმეო იურიდიული პირის მოთხოვნა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე

#### წარმომადგენლობა:

**მუხ. 113 I** ხელშეკრულების მეორე მხარის მოთხოვნა წარმომადგენლის მიმართ, რომელიც წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ ადასტურებს

**უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში  
ნარმოშობილი ზიანის  
ანაზღაურება**

- მუხ. 117 I** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უკიდურეს აუცილებლობაში მოქმედი ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ
- მუხ. 117 II** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ პირის მიმართ, რომლის ინტერესებშიც მოქმედებდა ზიანის მიმყენებელი
- მუხ. 120** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უკიდურესი (მუხ. 118-თან ერთად) აუცილებლობის მდგომარეობის არსებობის მცდარი ვარაუდის შემთხვევაში

**სანივთო სამართალი**

- მუხ. 154 V** არაუფლებამოსილი მფლობელის მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურებაზე
- მუხ. 160** კეთილსინდისიერი მფლობელისათვის მფლობელობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში ახალი მფლობელის მიმართ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა
- მუხ. 161** ხელის შეშლის აღკვეთის (შენწყვეტის) მოთხოვნა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ხელშემშლელის მიმართ
- მუხ. 163 I** ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა უფლებამოსილი მფლობელის მიერ არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ
- მუხ. 163 II** ნივთის გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უფლებამოსილი მფლობელის მიმართ
- მუხ. 164 1 ნ.** მართლზომიერი მფლობელის მიერ არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა
- მუხ. 164 2 ნ.** მართლზომიერი მფლობელის მიერ არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ მიუღებელი ნაყოფის ანაზღაურების მოთხოვნა

**მუხ. 164 3 6.** არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ მართლზომიერი მფლობელის მიმართ ნივთზე განუული ხარჯებისა და გაუმჯობესების ანაზღაურების მოთხოვნა

### საკუთრების უფლება:

**მუხ. 172 I** მესაკუთრის მიერ მფლობელისაგან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა (ვინდიკაციური სარჩელი)

**მუხ. 172 II** მესაკუთრის მიერ ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა ხელის შემშლელის მიმართ

**მუხ. 172 III 1** უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა შემშლელის მიმართ

**მუხ. 175 III** მესაკუთრის მოთხოვნა მეზობლის მიმართ მეზობლური ზემოქმედების თმენის ფულად კომპენსაციაზე

**მუხ. 176** მესაკუთრის მიერ მეზობლის მიმართ ისეთი ნაგებობის აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვის მოთხოვნა, რომელიც დაუშვებლად ხელყოფს ნაკვეთით სარგებლობის უფლებას

**მუხ. 177** მესაკუთრის მიერ საფრთხის აღკვეთის მოთხოვნა მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ

**მუხ. 179 I** თმენის მოთხოვნა მეზობლის მიმართ მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე ნაკვეთის საზღვრების გადაცდენის დროს

**მუხ. 179 II** ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე მიწის ნაკვეთის საზღვრების გადაცდენის თმენის გამო

**მუხ. 180 I 1** თმენის მოთხოვნა მეზობლის მიმართ აუცილებელი გზებისა და გაყვანილობების გამო

**მუხ. 180 I 2** ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა მეზობლის მიერ აუცილებელი გზის თმენის გამო

**მუხ. 181 I** სასაზღვრო მიწის აღმართვაში მონაწილეობის მოთხოვნა მეზობლის მიმართ

**მუხ. 191 III 1** ნაპოვარისათვის ჯილდოს (საპოვარის) მოთხოვნის უფლება

**მუხ. 197 I 1** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ნივთის გადამუშავების, (მუხ. 193-195-თან ერთად) შერწყმის და სხვა შემთხვევებისას საკუთრების დაკარგვის გამო

### **ბინის საკუთრებიდან წარმოშობილი მოთხოვნები**

- მუხ. 217** ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დაშლის მოთხოვნა
- მუხ. 218 I** თანამესაკუთრეთა მიმართ ბინის მესაკუთრის მოთხოვნა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ნივთის ან ნივთის ნაწილის ხელშეუხებლობის დაცვაზე
- მუხ. 220 I** ბინის მესაკუთრის მოთხოვნა მისი წილის შესაბამისად თანასაკუთრებით სარგებლობაზე
- მუხ. 220 II** ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მოთხოვნა ცალკეული ბინის მესაკუთრეთა მიმართ საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული ხარჯების (რემონტი, შენახვა, მართვა და სარგებლობა) განწევის გამო
- მუხ. 222 I** ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მოთხოვნა ბინის მესაკუთრის მიმართ ბინის (იძულებით) გასხვისებაზე
